ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 2009 | №314 (5055) | ფასი: 30 თეთრი

## დაჩი ცაგურია საქართველოს ევროსასამართლოში უჩივის

გვ.2



# ცოტნე გამსახურდია შეიძლება გაათავისუფლონ



გვ.4

## დაჭრილი დავით ბაჯელიძე სკანდალურ ჩვენებას იძლევა

## არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებულია



გვ.3

## ჯემალ გოგიტიძის ძმის მკვლელი ციხიდან გამოუშვეს

გვ.3

რუსეთის ქართული დიასპორა სააკაშვილისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს



გვ.2

## პატრიარქის შეურაცხყოფა ხელისუფლების შეკვეთილია

## რა ახალი პროვოკაცია მზადდება პანკისში



გვ.6

ინგუშები საქართველოს მოქალაქეობას ითხოვენ



გვ.7

## გრიგოლ ვაშაძეს რუსებისთვის პასპორტი არ დაუბრუნებია

ქიპაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრს უნდობლობას უცხადებს

## როდის შეიქმნება პარლამენტში ალასანიას ფრაქცია?



გვ.2

## ავადმყოფ პატიმართან ექიმებს არ უშვებენ

ხელისუფლება ევროსასამართლოს მოთხოვნას არ ასრულებს



გვ.4

## რუსეთმა საქართველოზე ძალიან მაღალი ფსონები დადო

გვ.8

ლარსის გახსნა მოსკოვის ინტერესებშია



## აფხაზეთში არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო ხდება

გვ.8

7 რუსული ტელეარხები დააჯარიმეს

7 აფხაზეთის მოქალაქეობის პასპორტი უკვე მოსახლეობის 90%-მა მიიღო

2 მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა პროცესი ისევ დახურულ რეჟიმში გაგრძელდება

7 გაყალბებული არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ

## დაჩი ცაგურია საქართველოს ევროსასამართლოში უჩივის

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადი, სახელწოდებით „დაჩი ცაგურია საქართველოს წინააღმდეგ ხვალ გაიგზავნება. აღნიშნულ საკითხზე ცაგურიას ადვოკატი მამუკა ნოზაძე დღეს პრესკონფერენციას გამართავს.

ადვოკატის მტკიცებით, 15 ივნისს, როდესაც თბილისის პოლიციის სამმართველოსთან მშვიდობიანი აქცია დაარბიეს, დაჩი ცაგურიას გამოხატვის თავისუფლება დაირღვა, რაც ევროკონვენციის მეათე მუხლით არის გარანტირებული.

მამუკა ნოზაძის თქმით, აქცია მშვიდობიანი იყო, ის არც პოლიციის შენობის ბლოკირებას ახდენდა, არც ქუჩაში სატრანსპორტო მოძრაობას აფერხებდა, რისი მტკიცებულებებიც მათ გააჩნიათ. ადვოკატი ასაჩივრებს ასევე ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევას და ამტკიცებს, რომ ცაგურია დროებითი მოთავსების იზოლატორში არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდა. მას ასევე არაადამიანურად მოეპყრნენ დაკავების დროს და ამის დამადასტურებელი ფოტო და ვიდეომასალა გააჩნიათ. გასაჩივრებულია ასევე ევროკონვენციის მეხუთე მუხლი, უკანონო დაკავება. ადვოკატის თქმით, ცაგურიას მისი უფლებები და დაკავების მიზეზები არ განუმარტეს. გასაჩივრებულია ევროკონვენციის მეექვსე მუხლის დარღვევაც, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს უფლება.

მამუკა ნოზაძის განმარტებით, ცაგურიას არც გამოძიების და არც სასამართლოს დროს დამცველის უფლება არ მიეცა. ამასთან, ცაგურიას ადვოკატი ასაჩივრებს ევროკონვენციის მეთერთმეტე მუხლის დარღვევას და აღნიშნავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს საქართველოში სამართლიანი დაცვის საშუალებები არ მიეცა. დაჩი ცაგურია 15 ივნისს პოლიციის შენობასთან აქციის დარბევის შემდეგ ოპოზიციის სხვა აქტივისტებთან ერთად დააკავეს. მას 30-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს.

**ინტერპრესნიუსი**

## მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა პროცესი ისევ დახურულ რეჟიმში გაგრძელდება

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში 2009 წლის 5 მაისს, მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი განახლდება. სასამართლო ამ ეტაპზე ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს სწავლობს. ამიტომაც სასამართლო სხდომები დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს. ეს ძირითადად ის ჩანაწერებია, რომლებსაც გია ღვალაძესთან მიგზავნილი პირები აწარმოებდნენ. ფარული მასალების გამოქვეყნების ეტაპის შემდეგ, სასამართლო პროცესიც გაიხსნება.

შეგახსენებთ, რომ მუხროვანის სამხედრო ბაზაზე 28 განსასჯელს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობა და დაუმორჩილებლობა ედებათ ბრალად. 41 ბრალდებულიდან 16-მა ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა და ბრალი არ აღიარა, 13-მა კი პროკურატურასთან საპროცესო გარიგება გააფორმა.

**მედიანიუსი**

# როდის შეიქმნება პარლამენტში ალასანიას ფრაქცია?

**ნანა მიშელაშვილი**



ირაკლი ალასანიას პარლამენტში უკვე ორი დეპუტატი ჰყავს. გიორგი ცაგარეიშვილის შემდეგ ალასანიას პარტიაში გაწევრიანების სურვილი შესაძლოა ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა კარლო კოპალიანმა გამოთქვას.

ოფიციალურად ჯერ არც ცაგარეიშვილს განუცხადებია, რომ ალასანიას პარტიაში შედის, მაგრამ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ცაგარეიშვილის მსგავსად, ალასანიას პარტიაში გაწევრიანებას დეპუტატი კარლო კოპალიანიც ფიქრობს.

კარლო კოპალიანი ბოლო დროს გიორგი ცაგარეიშვილთან ერთად ხშირად ჩნდება. მათ გასულ კვირას ერთობლივი ბრიფინგიც ჩაატარეს. ამ ბრიფინგზე კოპალიანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას უერთდება. პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაზე 7 დეპუტატის ხელმოწერაა, რაც საკმარისი არ არის, რომ ეს პროცედურა დაიწყოს. თუმცა, ოპოზიციონერი დეპუტატები დროდადრო იხსენებენ, რომ ამ პროცედურას უნდა შეუერთდნენ.

გასულ კვირას გამართული ბრიფინგი ერთადერთი არ ყოფილა, როდესაც ცაგარეიშვილი და კოპალიანი ერთობლივად მოქმედებენ. 9 აპრილის აქციების დროს ჯერ კოპალიანი ჩაჯდა საკანში, შემდეგ კი ცაგარეიშვილი. ამ პერიოდის განმავლობაში ცაგარეიშვილმა და კოპალიანმა რამდენიმე ერთობლივი ბრიფინგი გამართეს და პარლამენტის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადეს. მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მუშაობა დაიწყო, ორივე დეპუტატმა ბოიკოტი შეწყვიტა და სხდომებს რამდენიმე ხნიანი ინტერვალით დაუბრუნდა.

თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, კარლო კოპალიანი ირაკლი ალასანიას უკვე შეხვდა. ამ შეხვედრაზე პოლიტიკაზე რომ იქნებოდა საუბარი და არა რომელიმე კანონპროექტზე, ეს თავისთავად ცხადია.

კოპალიანი მაჟორიტარი დეპუტატია. მას საპარლამენტო არჩევნებისას რესპუბლიკელები უჭერდნენ მხარს. კოპალიანი აქტიური რესპუბლიკელი არ ყოფილა და არც მათთან ერთად დაუგეგმავს საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. თუ კოპალიანი ალასანიას პარტიაში შევა, ამაზე რესპუბლიკელებსა და ალასანიას პარტიას შორის უთანხმოება არ მოხდება, რადგან ეს ერთი და იგივე ალიანსია.

მას შემდეგ, რაც კოპალიანი ალასანიას პარტიაში შევა, ის ალბათ, აქტიურ საარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება.

ოპოზიციამ იცის, რომ ადგილობრივი არჩევნები მხოლოდ თბილისის მერის და საკრებულოს არჩევნები არ არის და დიდი მნიშვნელობა აქვს, რეგიონებში როგორ იქნება წარმოდგენილი ესა თუ ის პარტია.

მართალია, თბილისისთვის ყველა ის პარტია იბრძოლებს, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება რაიონებსა თუ დიდ ქალაქებში ასევე მნიშვნელოვანია.

ამ მხრივ, ალასანიას პარტიას კარლო კოპალიანი ცაგერის რაიონში დაეხმარება და ალიანსის ხმებისთვის იბრძოლებს.

ალასანიას პარტიას, რომელიც ოპოზიციურ სპექტრში ყველაზე უფრო ახალგაზრდა პარტიაა, პარლამენტში ორი დეპუტატი უკვე ჰყავს. მართალია, ეს ფრაქციის შესაქმნელად საკმარისი არ არის, თუმცა, ახალგაზრდა პარტიისთვის ცუდი დასაწყისი არ არის.

პარლამენტში ახალი ფრაქციის შესაქმნელად სულ მცირე ექვსი დეპუტატია საჭირო. ახალი ფრაქციის შექმნას კარგა ხანია რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატი ცდილობს, თუმცა, ამაოდ.

დამოუკიდებელი დეპუტატების რიცხვი ამჟამად პარლამენტში ფრაქციის შესაქმნელად საკმარისია, თუმცა, ისინი ერთ ფრაქციაში რომ არ შევლენ, ცხადია. ძნელად წარმოსადგენია, რომ ერთ ფრაქციაში შევიდეს ყველა დამოუკიდებელი დეპუტატი, რომელთა შორის არის: ნოღაიდელის პარტიის წევრი პეტრე მამრაძე, „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია, პარტია „თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია, ალასანიას პარტიის პოტენციური წევრები: გიორგი ცაგარეიშვილი და კარლო კოპალიანი.

ამ დამოუკიდებელი დეპუტატების ერთ ნაწილს მეორე ნაწილთან იმდენად შეუთანხმებელი პოზიციები აქვთ, რომ მხარს ერთმანეთის ინიციატივებსაც კი არ უჭერენ, არათუ ერთ აზრზე დგანან. აქედან გამომდინარე, მათი ერთ ფრაქციაში ყოფნა წარმოუდგენელია.

დამოუკიდებელი დეპუტატების რიცხვის გაზრდა უახლოეს ხანში რამდენად მოსალოდნელია, ამის პროგნოზირება ახლა შეუძლებელია, თუმცა, ერთი რამის დანამდვილებით თქმა შეიძლება: პარლამენტს კიდევ სამი დეპუტატი შეემატება.

სამივე დეპუტატი მაჟორიტარი იქნება. გურჯაანში, ოზურგეთსა და ჩოხატაურში პარლამენტის გამოკლებული წევრების არჩევნები უნდა ჩატარდეს. თუ სამივე რაიონში ოპოზიციამ გაიმარჯვა, მაშინ ოპოზიციის რიგები 3 დეპუტატით გაიზრდება.

სამივე რეგიონისთვის თითქმის ყველა ის პარტია იბრძოლებს, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს. ოპოზიციის კანდიდატების დასახელება ჯერ არ დაწყებულა. ოპოზიცია ერთმანეთს უყურებს და კანდიდატურების დასახელებას არ ჩქარობს. თუმცა, ერთმანეთის ჩუმად ყველა ფიქრობს, რომელ რაიონში ვისი კანდიდატურა წარადგინოს.

წარსულ გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ოპოზიცია ერთმანეთთან ბრძოლაში საკმაოდ დიდ დროს დაკარგავს. ოპოზიციური კანდიდატები ერთმანეთთან კინკლაობით ისე გაერთობიან, რომ შესაძლებელია ამომრჩევლიც დაავიწყდეთ.

შესაძლოა, ერთმანეთის ლანძღვა არ დაიწყონ, მაგრამ ოპოზიცია კანდიდატებს ერთმანეთს რომ დაუყენებს, ცხადია.

უკვე საუბრობენ იმაზე, რომ სამივე რაიონში საკუთარი კანდიდატურა ეყოლება „ნაციონალურ მოძრაობას". მართალია, ამის შესახებ ჯერ მმართველი პარტიის წევრები კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა, ამბობენ, რომ პარლამენტის გამოკლებული წევრების არჩევნებში კანდიდატურების წარდგენისთვის ნაციონალებიც ემზადებიან.

კონკრეტულად რომელ რაიონში ვინ იბრძოლებს და ვინ ვის დაუპირისპირდება, ეს ცოტა ხანში გამოიკვეთება. სამი რაიონიდან სად იქნება უფრო მეტი კონკურენცია, ეს მას შემდეგ გამოიკვეთება, რაც დეპუტატობის მსურველთა კანდიდატურები დასახელდება.

წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩოხატაურის რაიონში დიდი კონკურენციაა მოსალოდნელი. ოპოზიციას 21 მაისის არჩევნების დროსაც თბილისზე ჰქონდა აქცენტი გაკეთებული და, სავარაუდოდ, ახლაც იგივე სცენარით იმოქმედებს.

არჩევნები ჯერ არ მოახლოებულა და არც კონკრეტული თარიღი დანიშნულა. წინასწარი ინფორმაციით, პარლამენტს გამოკლებული წევრების არჩევნები ადგილობრივი არჩევნების პარალელურად ჩატარდება. ეს კი, სავარაუდოდ, 2010 წლის მაისში იქნება.

არჩევნების დროს ოპოზიცია ერთმანეთს თავს არ უნდა დაესხას. გავრცელებული ინფორმაციით, ოპოზიციის მხრიდან ერთმანეთზე თავდაუსხმელობის შესახებ დოკუმენტი თუ ქარტია ლევან გაჩეჩილაძემ მოამზადა.

ლევან გაჩეჩილაძის მიერ მომზადებული ვარიანტი სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებს უკვე დაეგზავნა. ამ დოკუმენტის ზოგადი დებულება ასეთია: ოპოზიციური პარტიები, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობენ, თავს არ დაესხმებიან და არ გალანძღავენ იმ პარტიებს, ვინც არჩევნებში მონაწილეობს.

რამდენად საჭირო იყო ასეთი დოკუმენტის თუ შეთანხმების მომზადება? ოპოზიციას, როგორც ჩანს, ერთმანეთის გაკიცხვა კარგად ეხერხება, რაც ოპოზიციურ მიზნებს აზარალებს. სავარაუდოდ, ეს გახდა იმის წინაპირობა, რომ ე.წ. ურთიერთთავდაუსხმელობის დოკუმენტი თუ შეთანხმება მომზადდა.

როგორც ამბობენ, ამ შეთანხმებას სხვადასხვა პარტიების ლიდერები პარტიის წევრებთან ერთად ეცდებიან. გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე ოპოზიციონერ ლიდერს სხვისი კრიტიკა მოუნდეს და ამ დოკუმენტს არ შეუერთდეს.

# პატრიარქის შეურაცხყოფა ხელისუფლების შეკვეთილია

**ნონა ცაბა ე**

საზოგადოების დიდ ნაწილს ეჭვი აღარ ეპარება, რომ პატრიარქის წინააღმდეგ წამოწყებული ამ ბინძური კამპანიის უკან ხელისუფლების წარმომადგენლების გარკვეული ჯგუფი დგას, რომელიც ღიად და დაუფარავად ებრძვის საქართველოს საპატრიარქოს და მართლმადიდებელ ეკლესიას. საზოგადოება აღაშფოთა ამ სიბინძურემ და არც აგრესია დაუფარავთ იმ ჯგუფის მიმართ, რომლებმაც ახალი პასკვილი გამოაცხვეს პატრიარქის სახელზე. ბევრმა ქუჩაში გამოსვლა და პატრიარქის დაცვა მოინდომა, ნაწილმა პრესითა და ტელევიზიით გამოხატა თავისი პოზიცია (რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტელევიზიებს არ ვგულისხმობთ), მათი უმეტესობა თვლის, რომ არსებობს ისეთი რამ, რასაც არ უნდა შევეხოთ და ამ ბინძურ პოლიტიკაში ასეთი მეთოდით ბრძოლა დაუშვებელია.

საზოგადოების ეჭვს, რომ ამ ყველაფრის უკან ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან, ისიც აღრმავებს, რომ მათი მხრიდან ამ ფაქტს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ცდებიან თუ ფიქრობენ, რომ საზოგადოება დაიჯერებს, თითქოსდა ამის უკან თუთბერიძე და ის გაურკვეველი წარმომავლობის ჯგუფი დგას, რომელმაც აღნიშნულ მიმართვას მოაწერა ხელი. ვფიქრობ, რომ არც ერთი კითხვა მათი ინიციატივით არ დაწერილა, უფრო მეტიც, ალბათ, უმრავლესობამ საერთოდ არ იცის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ განვლილი გზა. ბევრს მიაჩნია, რომ ქართველებისთვის ყველაზე ძვირფასსა და ფაქიზს შეეხნენ და, თუ ფრთხილად არ იქნებიან, შესაძლოა, სწორედ ეს გახდეს მათი დასასრულის დასაწყისი...

**თამრიკო ჭოხონელიძე:**

— რამის უკან დგას რაღაც გარკვეული ძალა, რაღაც ინსტიტუცია, რომელიც ჩემთვის ძალიან უსუსურია. ისინი პატრიარქს კი არ ებრძვიან, პირველ რიგში, ისინი წავიდნენ უფლის წინააღმდეგ და ეს ძალიან დიდი საშიშროების წინაშე აყენებს მათ არა მხოლოდ დღევანდელ ყოფას, არამედ მომავალსაც. იქ, სადაც ხდება უარყოფა იმისა, რაც მათ უფალმა აჩუქა, ეს ერთგვარი გამოცდაც არის, გაუძლებს ადამიანი ამდენ ცდუნებას და მაინცდამაინც იმ გზით წავიდნენ, რასაც უგუნურებისა და უფლის საწინააღმდეგო გზა ჰქვია. მე ვფიქრობ, რომ ამით, პირველ რიგში, საკუთარ თავს აყენებენ სასჯელის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი 200-ზე მეტ ხელმოწერას აჩვენებენ ხალხს, დარწმუნებული ვარ, გაცილებით მცირე რაოდენობის არიან ისინი. მე მაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ ხალხი გონიერია და მათ ნამდვილად არ უნდა აჰყვნენ. თქვენ მეკითხებით, რა ძალა დგას მათ უკანო. რაღაც ძალა რომ დგას, ფაქტია. ძალიან მინდა და დიდი იმედი მაქვს, რომ დღეს ხელისუფლებაში აშკარა მტრები არ არიან მოსული. ამას მაინც აშკარა მტრობა ჰქვია, რაც არ უნდა დაფარული ფორმით იყოს ეს ყველაფერი მოცემული. არ მინდა დავიჯერო, რომ ამ უგუნურთა უკან იდგნენ და მართავდნენ ამათ, რომლებიც მე ტელევიზიით ვნახე და, ცოტა არ იყოს, შევშფოთდი, ისეთი სახეები ჰქონდათ, იმდენად არაჯანსაღი იყო ძალიან ბევრი მათგანი, ბევრი მიზეზის გამო. უბრალოდ, ერთი რამ მინდა ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დავსვა — მაშინ, როდესაც პირველად აგორდა და ამას ძალიან დიდი რეაქცია მოჰყვა ხალხში, ხელისუფლებამ მხოლოდ მესამე დღეს მოახდინა რეაგირება, მე პირველი შეკითხვა აქ დავსვი და მას შემდეგ როგორ არ აღმოფხვრეს ეს ყველაფერი, როგორ არ ეცადნენ, რომ თუნდაც ის ერთი-ორი ადამიანი, რომლებიც თანამდებობაზე ისევ დატოვეს და ისევ მისცეს იმის უფლება, რომ საზოგადოებაში რაღაც სიტყვა ეთქვათ, ეს როგორ აკადრეს საკუთარ თავს და ამის უფლება როგორ მისცეს, ახლა უკვე დიდი კითხვის ნიშანი დავსვი.

— საზოგადოებაში ეჭვი დიდია იმისა, რომ ამის უკან ხელისუფლების წარმომადგენელთა გარკვეული ჯგუფი დგას...

— ხელისუფლებამ რომ მესამე დღეს მოახდინა რეაგირება, მაშინ ის გამიკვირდა და ამ ხალხს დღეს კიდევ რომ აბოგინებენ და იმის უფლებას აძლევენ, რომ ისევ იმ თანამდებობიდან, ამას ხაზს ვუსვამ, ხალხს უქადაგებენ ამ რაღაც საზიზღრობას, საერთოდ რატომ არ აღმოფხვრეს მათი არსებობა იმ სამსახურებიდან, რომლებიც დღემდე შენარჩუნებული აქვთ.

***— საზოგადოებაში გამოითქვა სურვილი, დავდგეთ პატრიარქის დასაცავად...***

— არ არის საჭირო პატრიარქის დაცვა, იმიტომ რომ პატრიარქი იქით გვიცავს ყველას, მისი ლოცვა გვაძლიერებს. მე მივმართე კიდეც თუთბერიძეს ეკრანიდან, საზოგადოების მხრიდან რომ წამოვიდა ასეთი რეაქცია, რომ უნდა ჩაიქოლოს ეს ხალხი, პირველი, ვინც დადგება მის დასაცავად, ეს ისევ პატრიარქი იქნება და სანამ დროა, გონს მოეგონ. თუთბერიძე მხოლოდ რუპორია, მერწმუნეთ, ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანებისა, რომლებსაც რაღაც საშინელება დამართნიათ და თვითონ ვერ მოდიან აზრზე.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებულია

შორენა კოწოწაშვილი

**როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ლეიბორისტული პარტია არჩევნების გაეროს ეგიდით ჩატარებას ითხოვს. შრომის პარტია იმედოვნებს, რომ ამ ინიციატივას ოპოზიციის დიდი ნაწილი მხარს დაუჭერს და შედეგად საქართველოში შესაძლებელი გახდება ობიექტური არჩევნების ჩატარება. აღნიშნული ინიციატივით საუბარია არა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, არამედ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გაეროს ეგიდით ჩატარებაზეც.**



შალვა ნათელაშვილმა პარტიის ინიციატივა ოპოზიციის ლიდერებს რამდენიმე დღის წინ გააცნო და იმედი აქვს, რომ მისი ინიციატივა ოპოზიციის მხრიდან მხარდაჭერილი იქნება. ქვეყნის პირველი ლეიბორისტი მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში დამყარებულია ერთპარტიული დიქტატორული ტოტალიტარიზმი პრეზიდენტის პირადი რეჟიმის სახით. შედეგად, განადგურებულია ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტები, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, თავისუფალი მედია, თავისუფალი ბიზნესი, არჩევნების მასობრივი ფალსიფიცირების შედეგად სრულიად ერთპარტიულია არა მარტო მთავრობა, არამედ სახელმწიფო მმართველობისა და საჯარო საქმიანობის ყველა რგოლი, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩათვლით. ნათელაშვილის თქმით, საქართველოში არ არსებობს არანაირი სამართლებრივი და პოლიტიკური გარანტიები ნებისმიერი არჩევნების თავისუფლად, ოდნავ დემოკრატიულ გარემოში ჩატარებისა, რაც გარდაუვლად გახდება ქვეყნის შემდგომი რღვევის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და რეგიონში დესტაბილიზაციის საფუძველი.

სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ნათელაშვილმა ყურადღება გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის სახელზე მომზადებულ მიმართვაში, რომელსაც უკვე ყველა ოპოზიციური პარტია გაეცნო.

როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ლეიბორისტების ინიციატივა საინტერესოა, თუმცა, რიგი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების თქმით, ლეიბორისტული პარტიის მიერ შეთავაზებულ მემორანდუმის ტექსტზე მუშაობა და ჩასწორებების გაკეთება აუცილებელია.

რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ დოკუმენტი, რომელიც ლეიბორისტებმა მოამზადეს, ძალიან კორექტულად არის შედგენილი და, ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლების ტაქტიკური სხვაობების მიუხედავად, დოკუმენტი ისეთია, რომ არავის უხერხულობას არ უქმნის.

„ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მეტი ჩართულობა არჩევნებში ერთმნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს საქართველოში ყველანაირი არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებას.

გაეროს ეგიდით არჩევნების ჩატარების მომხრეა და ლეიბორისტების ინიციატივას მხარს უჭერს მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი ეკა ბესელია. მისი თქმით, ინიციატივა, რომელიც გაჟღერდა — გაეროს ეგიდით ჩატარდეს არჩევნები და ეუთოს სადამკვირვებლო მისიაც ჩაერთოს — ძალიან საინტერესოა.

ოპოზიცია ვარაუდობს, რომ ერთობლივი ძალისხმევით მოხდება ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის მიერ პან გი მუნის სახელზე მომზადებული მიმართვის ტექსტის კორექტირება, დახვეწა და, სავარაუდოდ, 20 დეკემბრისთვის ტექსტი მზად იქნება. გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, ქართული ოპოზიციის მოთხოვნა არჩევნების გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩატარების თაობაზე გაეგზავნება არა მხოლოდ გაეროს, არამედ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტების იდეა მხარდაჭერილ იქნა აგრეთვე როგორც ქალთა პარტიის ლიდერ გუგული მაღრაძის, ისე ხალხის პარტიის ლიდერ კობა დავითაშვილის მიერ, რომელსაც თბილისის მერის არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვს. დავითაშვილი აღიარებს, რომ ლეიბორისტების იდეის დაწუნება არ შეიძლება, თუმცა მისი განხორციელება ძნელია.

— ძალიან ხშირად კარგ იდეებზე იმის გამო ამბობენ უარს, რომ მისი განხორციელება ძნელია. მე მხარს ვუჭერ შალვა ნათელაშვილის იდეას, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთული განსახორციელებელია. საქართველოში საომარი მდგომარეობაა, საქართველოს არ ჰყავს კანონიერად არჩეული ხელისუფლება, საქართველოში არ არის სამოქალაქო უფლებები და ყველა არჩევნები ყალბდება. შესაბამისად, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ გაერომ საკუთარი ეგიდით ჩაატაროს არჩევნები. მივესალმები შალვა ნათელაშვილისა და ლეიბორისტების ამ ინიციატივას, — აცხადებს კობა დავითაშვილი.

ლეიბორისტები დარწმუნებული არიან, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი არასოდეს ჩაატარებენ თავისუფალ არჩევნებს, თუ არ იქნა ზეწოლა და იძულება ისეთი მსოფლიო ორგანიზაციიდან, როგორიცაა გაერო.

ნათელაშვილის თქმით, გაეროს ეგიდით არჩევნების ჩატარება ეხება ტოტალიტარული დიქტატურიდან დემოკრატიაზე გადასვლის მთელ პერიოდს. ყველა არჩევნებს, რომლებიც ჩატარდება სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის მმართველობის პერიოდში, გაეროს მკაცრი, მახვილი თვალი სჭირდება.

— საქართველო სამოქალაქო უფლებების თვალსაზრისით ძალიან დაბალ დონეზეა და აქ მუდმივად ტარდება უსინდისო არჩევნები. ეს ამ ხელისუფლების პირობებში უკვე იქცა ჩვეულებრივ მოვლენად. ამიტომ პოლიტიკური ოპოზიციის მთელი სპექტრის აზრი გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები იყვნენ არა მარტო დამკვირვებლები ამ პროცესებისა, არამედ მონაწილეებიც და რაღაც გარკვეული ტიპის პასუხისმგებლობაც აიღონ თავის თავზე საარჩევნო პროცესში, — აცხადებს ზვიად ძიძიგური, რომელიც კონსერვატორების საიტზე მიმდინარე გამოკითხვით თბილისის მერის პოსტზე უკვე დასახელებულ კანდიდატებს შორის ხმების უმრავლესობით ლიდერობს.

— ხელისუფლება რომ არჩევნების გაყალბებაზე ახლავე ზრუნავს, ფაქტია. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუკი საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთვებიან ამ არჩევნების პროცესში. რამდენად ოპერატიულად მოხდება ეს და რამდენად განხორციელდება ეს ინიციატივა, მთელ რიგ გარემოებებზეა დამოკიდებული, — აღნიშნავს კონსერვატორების ლიდერი.

# ჯემალ გოგიტიძის ძმის მკვლელი გაათავისუფლეს

## რუსეთის ქართული დიასპორა სააკაშვილისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს

გიორგი უ ილაური



რევოლუციური ხელისუფლების მიერ შექმნილ პოლიტიკურ საფრთხობელათა შორის რუსეთის ქართულ დიასპორას ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უკავია საქართველოს მოსახლეობაში მტრის ხატის ჩამოყალიბების პროგრამაში. ახლო წარსულში ერთ-ერთმა ხელისუფლებასთან დაახლოებულმა გაზეთმა გამოაქვეყნა ე.წ. „ოპოზიციის დამფინანსებელთა სია“, რომელიც რუსეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, თუმცა საკმარისია ერთი თვალის გადავლება ამ სკანდალურ წერილზე, რომ მარტივად დაასკვნი — ქართული დიასპორის დღევანდელობაში უვიცია არა მარტო საინფორმაციო საშუალება, არამედ მისი დამკვეთიც.

რუსეთის ქართული დიასპორა უდიდესია ქართულ დიასპორათა შორის და ითვლის 1 200 000 — 1 400 000 ადამიანს გადანაწილებულს მთელ რუსეთზე. მათი ძირითადი ნაწილი თავმოყრილია მოსკოვში, პეტერბურგში, სამხრეთ ფედერალურ ოლქსა და ცენტრალურ რუსეთში. დიასპორაში იგულისხმებიან როგორც რუსეთის მოქალაქეები, ასევე მოქალაქეობის არმქონენი, ლტოლვილები (აფხაზეთის ომის დროს ქართველ დევნილთა ნახევარი რუსეთმა შეიფარა) და სააკაშვილის რეჟიმისგან დევნილნი. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთა რაოდენობა დიასპორაში მიზერულია, სწორედ სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა ფაქტორი განაპირობებს რუსეთის ქართული დიასპორის მტრად კურთხევას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. ფაქტიურად, რუსეთში ცხოვრობს ქართველთა თითქმის 1/3 და, რა თქმა უნდა, ეს რიცხვი საკმარისია იმისთვის, რომ მისით დაინტერესდნენ როგორც ქართული, ასევე რუსული სპეცსამსახურები. მაგრამ ქართველების საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ტრადიციული ქართული ურთიერთშუღლი და ქიშპობა ეხმარება ქართულ დიასპორას, მთლიანობაში დარჩეს დაქსაქსულ და დამოუკიდებელ ძალად. ამ მხრივ ქართული დიასპორა სერიოზულად განსხვავდება მეზობელი აზერბაიჯანული და განსაკუთრებით სომხური დიასპორისგან, ორივე ერი რუსეთში ცდილობს მაქსიმალურად მჭიდროდ შეკავშირებას და ერთიანი წინააღმდეგობის გაწევას არსებული პრობლემებისთვის. ამ ეთნიკური სოლიდარობის დამსახურებით სომხურმა დიასპორამ მოახერხა სერიოზული გავლენის ძალად ჩამოყალიბებულიყო არა მარტო მოსკოვში, არამედ მთელ რუსეთში, განსაკუთრებით კი კრასნოდარის მხარესა და კონკრეტულად სოჭში. სანამ ქართველები სუფრაზე სოჭის დაბრუნების სადღეგრძელოებს სვამდნენ, ეს ქალაქი სომხურმა დიასპორამ თითქმის გაასომხა, რაც არა იმდენად ოფიციალური ერევნის, რამდენადაც თავად სომხური მენტალობის და სოლიდარობის დამსახურებაა. ქართველებში ამ დონის სოლიდარობა არ არსებობს არც საქართველოში და, შესაბამისად, არც ქართულ დიასპორებში, რომელთაგან რუსეთი ამ სენის ყველაზე კლასიკური ნიმუშია.

ქართული დიასპორის სიჭრელის მაჩვენებელია თითქმის ათეულამდე ქართული სათვისტომოს მოქმედება, რომელთა შორის ყველაზე მსხვილები მოსკოვსა და პეტერბურგშია თავმოყრილი. მაგრამ ამ ორგანიზაციათა აქტიური წევრების რაოდენობა ქართული დიასპორის 1%-ს თუ შეადგენს, დანარჩენი ქართველები ცხოვრობენ საკუთარი ცხოვრებითა და პრობლემებით და არ ერთვებიან აქტიურობაში ასევე სხვადასხვა მიზეზით, რომელთა შორისაა ინტერესის არქონა პოლიტიკისადმი, ლეგალიზაციის პრობლემები, სარგებლის არარსებობა, პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ ლიდერისადმი და ა.შ. უფრო მეტიც, ქართული დიასპორის უდიდესი ნაწილი ცდილობს მინიმუმამდე შეზღუდოს მისი ურთიერთობა არა მარტო სათვისტომოებთან, არამედ სხვა ქართველებთანაც კი, ასე უფრო მშვიდად იგრძნობს თავს, რადგანაც უცხოეთში რაც უფრო მეტ ქართველთან აქვს ურთიერთობა ქართველს, მით მეტი პრობლემა უჩნდება მას, პრობლემები კი არავის სჭირდება. შესაბამისად, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ურჩხულად წარმოჩენილი ქართული დიასპორა სულაც არ წარმოადგენს საფრთხეს საქართველოსთვის, არავინ „ავერბოვკებს“ ქართველებს გრუ-ს კაბინეტებში და არავინ არ ამზადებს ამ მილიონიანი არმიის ლაშქრობას „დემოკრატიის შუქურის“ მოსანგრევად. რუსეთს თავისი პრობლემები აქვს, ქართულ დიასპორას და მის ცნობილ სახეებს კი თავისი და ორივესთვის მინიმუმ ლიმილისმომგვრელია ოფიციალური თბილისისა და მისი გოშია მედია საშუალებების მიერ ატეხილი ისტერია ქართული დიასპორის პოლიტიკური აქტიურობების და, მით უმეტეს, პოლიტიკური სპონსორობის გარშემო.

სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2 კვირის განმავლობაში გაოფლიანებამდე დაპიარებულ ზემოხსენებულ „დამფინანსებელთა სიაში“ ნახსენებია აჭარის ყოფილი შს მინისტრი ჯემალ გოგიტიძე, რომელსაც თურმე მილიონი დოლარი გადაურიცხავს ქართული ოპოზიციისთვის. რეალურად კი გოგიტიძე უკვე რამდენიმე თვეა ცდილობს მიიღოს კომპენსაცია ავტოკატასტროფაში მოკლული ძმისთვის, რომლის მკვლელი, სხვათა შორის, რუსეთმა ციხიდან გაუშვა უბრალო ქრთამის გამო. გოგიტიძის ოჯახი ნაქირავებ ბინაშიც ვერ ცხოვრობს და მეზობელთანაა შეკედლებული უსახსრობის გამო. მას არ აქვს არც ბიზნესი და არც ურთიერთობა მის ყოფილ ხელმძღვანელ ასლან აბაშიძესთან, ამ უკანასკნელის ცნობილი ეჭვიანობის გამო. რაც შეეხება თავად ასლან აბაშიძეს, მას გოგიტიძისგან განსხვავებით ფული ნამდვილად არ უჭირს, მაგრამ გაწყვეტილი აქვს ურთიერთობა არა მარტო საქართველოსთან, არამედ ქართულ დიასპორასთან და, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ძალებთან. ასლან აბაშიძეს ვინც იცნობს, მიხვდება, რომ მისგან 6 მილიონის გადარიცხვა ქართული ოპოზიციისთვის, უბრალოდ, ფანტასტიკაა. სიაში ნახსენებ ლევან მამალაძეზე — როგორც, ოპოზიციის დამფინანსებელზე, ასევე არასერიოზულია საუბარი, რადგან მამალაძე მინიმალურ კონტაქტებზეც კი არ გადის არათუ დიასპორასთან ან პოლიტიკასთან, ნათესავებთანაც კი. ქართული დიასპორის კიდევ ერთი წარმომადგენელი — კახა თარგამაძე ასევე არ ითვლება ღარიბად, მაგრამ აბაშიძის მსგავსად, არც მას აქვს კავშირი ქართულ დიასპორასთან. ზაფხულში, გერმანიაში მას ჰქონდა შეხვედრა ლევან გაჩეჩილაძესა და დავით გამყრელიძესთან, თუმცა, არა როგორც პოლიტიკოსებთან, არამედ როგორც მეგობრებთან, რადგან ეს მეგობრობა დამალული არაა. ისევე, როგორც დამალული არ იყო არც მათი ერთად ყოფნა იმ სასტუმროში, სამივე იქ ცხოვრობდა და, რა თქმა უნდა, საუბრობდნენ ერთმანეთთან. თარგამაძის პოლიტიკური ინტერესების შესახებ კი საუბრობს მისი გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და რუსეთის მოქალაქე გამხდარიყო. ადამიანი, რომელიც ოცნებობს ქართულ პოლიტიკაში დაბრუნებაზე და მზადაა ამისთვის მილიონები დახარჯოს, უარს არ იტყოდა საქართველოს მოქალაქეობაზე. ამის მაგალითია პეტერბურგელი ქართველი ალექსანდრე ებრალიძე, რომელიც არის რუსეთის მოქალაქე და მზად არის დათმოს ეს მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეობის სანაცვლოდ. ებრალიძისგან დაფინანსებული ოპოზიციის ისტორიაც სიცრუეა, რადგან ის ღიად აცხადებს, რომ ვერ ხედავს საქართველოში რეალურ ოპოზიციას და საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში მზადაა თავად ჩაუდგეს სათავეში პოლიტიკურ ძალას, რომლის დახმარებითაც გახდება საქართველოს პრეზიდენტი. ფაქტიურად, ქართულ დიასპორაში ებრალიძე შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ ფიგურად, რომელიც ღიად აცხადებს პრეტენზიას პოლიტიკაში შესვლაზე და ამ პერიოდს იყენებს რუსეთში ქართული დიასპორის გაერთიანებისთვის. მისი ორგანიზაცია „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი“ რუსეთის მთელ ტერიტორიაზე უკვე ქმნის და აერთიანებს სათვისტომოებს, რათა ერთობლივი ძალებით მოხდეს ქართველთა ინტერესების დაცვა რუსეთში. ამ გაერთიანების თხოვნით ებრალიძის ჯგუფმა მიმართა მოსკოვის ქართული დიასპორის მეორე ცნობილ წარმომადგენელს „რუსეთში ქართველთა კავშირის“ ლიდერს მიხეილ ხუბუტიას, რომელსაც ასევე გააჩნია რამდენიმე რეგიონალური ორგანიზაცია და ფინანსური შესაძლებლობები აქტიურობისთვის. თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, გაერთიანების მცდელობას საქართველოში დაპირისპირებები მოსდევს. მართალია ხუბუტია აცხადებს, რომ არ არის პლიტიკაში, მაგრამ მისი ოპონენტები ასე არ თვლიან და ამის მაგალითად ასახელებენ ყოფილი პრემიერის და დღევანდელი ოპოზიციონერის — ზურაბ ნოღაიდელის მიწვევას ქართველთა კავშირში. იმ შეხვედრაზე კავშირის წევრებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ნოღაიდელი, ერთმა ქალბატონმა კი სააკაშვილი დაიცვა ნოღაიდელის დღევანდელი პრეტენზიებისგან. მაგრამ მთავარი პრობლემა ის იყო, რომ კავშირში ნოღაიდელთან ერთად მივიდა ეროვნებით ოსი, მაგრამ ქართული დიასპორის ერთ-ერთ ლიდერად ცნობილი ბიზნესმენი და სააკაშვილის ყოფილი მეგობარი გოჩა ძასოხოვი, რომელიც ებრალიძესთან ერთად ცდილობს ქართული დიასპორებისა და საქართველოში მცხოვრები

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30–30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30–30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

# ცოტნე გამსახურდია შეიძლება გაათავისუფლონ

## დაჭრილი დავით ბაჯელიძე სკანდალურ ჩვენებას იძლევა

**38 დღის შემდეგ ცოტნე გამსახურდიამ შიმშილობა შეწყვიტა. შიმშილობის შეწყვეტას წინ უძღოდა დაცვის მხარის მიერ განხორციელებული კანონით მინიჭებული ქმედება, ანუ ნოტარიუსის თანდასწრებით დაზარალებულ დავით ბაჯელიძის გამოკითხვა, რის გამოც გამომძიებლები იძულებული გახდნენ, ბაჯელიძეს სახლში ხლებოდნენ და დაეკითხათ, რასაც 38 დღის განმავლობაში დაჟინებით მოითხოვდა პატიმარი ცოტნე გამსახურდია.**

გულიკო ბალა ე

ამისთვის ცოტნე გამსახურდიამ 38 დღე იშიმშილა, მათ შორის, 10 დღე მშრალ შიმშილობაზე იმყოფებოდა, თუმცა, რომ არა ადვოკატ ქეთი ბექაურის მიერ მოპოვებული მტკიცებულება, გამომძიებლები ცოტნე გამსახურდიას მოთხოვნას, შესაბამისად კი მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საფრთხეს არად აგდებდნენ.

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატ ქეთი ბექაურის თქმით, დაცვის მხარემ გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება და გამოკითხა დაზარალებული დავით ბაჯელიძე.

ცოტნე გამსახურდიას გამოძიება ედავება დავით ბაჯელიძის განზრახ სიცოცხლის მოსპობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში.

შესაბამისი მტკიცებულება კი არ არსებობს. იარაღი სისხლის სამართლის საქმეში არ დევს. კოლხურ კოშკში ჩატარებული ჩხრეკისას მას მსგავსი მტკიცებულება არ ამოუღია. ცოტნე გამსახურდია თავს დამნაშავედ არ ცნობს.

— ჩვენი ერთთვიანი ძალისხმევის შედეგად, მივაღწიეთ იმას, რომ დავკითხეთ უკვე საცხოვრებელ მისამართზე მყოფი დაზარალებული დავით ბაჯელიძე. მისთვის ამ ხნის განმავლობაში, 6 ნოემბრიდან დღემდე, არავის მიუკითხავს. მას შემდეგ, რაც დავით ბაჯელიძე (მკურნალობის შემდეგ) საუნივერსიტეტო კლინიკიდან გამოეწერა, საგამოძიებო ორგანოდან მასთან არავის მისულა. ჩვენს მისვლამდე საგამოძიებო ორგანოს არც ერთი წარმომადგენელი ბაჯელიძეს თვალით არ უნახავს, — განაცხადა ქეთი ბექაურმა.

ადვოკატმა გამოიყენა საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და, თანახმად საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლისა, დაკითხა დაზარალებული დავით ბაჯელიძე, რომელმაც ნოტარიული წესით, ნოტარიუსის თანხლებით დაუდასტურა ის, თუ რა მოხდა შემთხვევის დღეს.

ქეთი ბექაურმა წარმოგვიდგინა დავით ბაჯელიძის გამოკითხვის ოქმი, დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. აღნიშნულ გამოკითხვის ოქმში დავით ბაჯელიძე კატეგორიულად გამორიცხავს ცოტნე გამსახურდიას მონაწილეობას მის მიმართ განხორციელებული დანაშაულის ჩადენაში.

— დავით ბაჯელიძე აცხადებს, რომ შემთხვევის დღეს მასთან სახლში მივიდა მისთვის მანამდე უცნობი პიროვნება, რომელსაც პირადად გაუღო კარი, რა დროსაც მოხდა გასროლა. ის დაიჭრა და დაეცა. მან ასევე აღნიშნა, რომ ცოტნე გამსახურდია არც შემთხვევის დღეს უნახავს, არც წინა დღეს, ის მასთან სახლში არ მისულა. საერთოდ, ისინი მეგობრები არიან, — აღნიშნა ადვოკატმა.

დაზარალებული ბაჯელიძე გამოკითხვის ოქმში აღწერს, თუ როგორ მოხდა მისი დაჭრა:

— 2009 წლის 27 ოქტომბერს ვიმყოფებოდი სახლში, ჩემს საცხოვრებელ მისამართზე, გალის ქუჩა №18-ში. ჩემთან ერთად იმყოფებოდა ჩემი ძმა, ანზორ ბაჯელიძე, ასევე ბებია, მარგარიტა ბაჯელიძე. კერძოდ, მე და ჩემი ძმა ვიმყოფებოდით ერთ ოთახში, ხოლო ბებია, მარგარიტა ბაჯელიძე, იმყოფებოდა შემოსასვლელ ოთახში, რომელსაც ვიყენებთ, როგორც სამზარეულოს.

ზუსტი დრო არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით 17.00 საათზე გავიგონე კარზე დაკაკუნების ხმა, რის გამოც მე წამოვდექი სავარძლიდან და გავედი კარის გასაღებად. ბებიაჩემი იდგა გაზქურასთან, რაღაცას საქმიანობდა და უცებ რაღაც ხმა გავიგონე. მეგონა, რომ წყლის გამათბობელი აფეთქდა და თან ბებიაჩემისკენ გავიხედე, თან მარცხენა ხელით გამოვაღე კარი, რა დროსაც მუცლის არეში, მარცხენა მხარეს ვიგრძენი ძლიერი ტკივილი და დავეცი იატაკზე, დავკარგე გონება, — აცხადებს დავით ბაჯელიძე.

როგორც დავით ბაჯელიძე აღნიშნავს, როცა იგი გონს მოვიდა, საავადმყოფოში იმყოფებოდა და ე.წ. კათეტერს უკეთებდნენ. ის მაშინვე გაიყვანეს საოპერაციოში. მას ახსოვს ისიც, რომ ექიმი ესაუბრებოდა.

როგორც დავით ბაჯელიძის დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, ის ჯერ კიდევ საავადმყოფოში დაუკითხავთ ძველი თბილისის პოლიციის თანამშრომლებს, მაგრამ ზეპირად, ანუ ამბავი გაუგიათ.

როგორც ჩანს, რადგან დავით ბაჯელიძისაგან მათთვის სასურველი ჩვენება ვერ მიიღეს, დაზარალებულის პირველადი ჩვენება წერილობით არ დააფიქსირეს და აღარც შემდეგ მივიდნენ მასთან.

თუ ბაჯელიძეს დაკითხავდნენ, ე.ი. ცოტნე გამსახურდია უნდა გაეთავისუფლებინათ. როგორც ჩანს, ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლება არ აწყობდათ.

— ოპერაციის მეორე თუ მესამე დღეს, ზუსტად არ მახსოვს, ჯერ კიდევ რეანიმაციაში ვიყავი, ჩემთან მოვიდნენ ძველი თბილისის პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ზეპირად გამომკითხეს, თუ რა მოხდა და რა ვითარებაში მივიღე სხეულის დაზიანება, რაზეც მე მოვუყევი იგივე, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ამის შემდეგ ჩემთან აღარავინ მოსულა,— აცხადებს დავით ბაჯელიძე.

ადვოკატ ქეთი ბექაურისთვის მიცემულ ჩვენებაში დავით ბაჯელიძე საუბრობს ცოტნე გამსახურდიასთან მის ურთიერთობაზეც.

— მე ვიცნობ ჩემს მეზობლად მცხოვრებ ცოტნე გამსახურდიას, რომელთანაც მაქვს ნორმალური, ახლო ურთიერთობა. ჩემსა და ცოტნე გამსახურდიას შორის არასოდეს არანაირ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ არასოდეს გვიჩხუბია.

აქვე დავამატებ, რომ არც 2009 წლის 27 ოქტომბერს და არც სხვა დროს ჩემ და ცოტნეს შორის არანაირი კამათი, ურთიერთშელაპარაკება ან ჩხუბი არ მომხდარა. არასოდეს მინახავს ცოტნეს ხელში რაიმე ცეცხლსასროლი იარაღი. არც მე მქონია არასოდეს არანაირი იარაღი, — განმარტავს დავით ბაჯელიძე.

შემდეგ დავით ბაჯელიძე ამბობს, რომ ის ზუსტად ვერ აღწერს იმ პიროვნებას, რომელმაც ის დაჭრა.

— როდესაც კარი გამოვაღე მარცხენა ხელით, იმავდროულად, ხმაურზე გავხედე ბებიაჩემს, ამიტომ არ შემიძლია, ზუსტად გადმოგცეთ იმ პიროვნების აღწერილობა, რომელსაც კარი გავუღე. ასევე არ შემიძლია გითხრათ, ეკავა თუ არა იმ პიროვნებას ხელში ცეცხლსასროლი

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ავადმყოფ პატიმართან ექიმებს არ უშვებენ

## ხელისუფლება ევროსასამართლოს მოთხოვნას არ ასრულებს

ნათია ხურცილავა



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 24 ნოემბერს მსჯავრდებულ ერმილე თორთლაძის საქმეზე უკვე მესამედ მიიღო გადაწყვეტილება.

სწორედ აღნიშნულ საქმეზე არასამთავრობო ორგანიზაციამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ პრესკონფერენცია გამართა.

ადვოკატმა მანანა კობახიძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მითითების შესრულებისკენ.

ევროპის სასამართლო და მსჯავრდებულის ადვოკატები ე.წ. დროებითი ზომის გამოყენებას ითხოვენ მსჯავრდებულთან დაკავშირებით, რადგან ერმილე თორთლაძე მძიმე ავადმყოფია.

ევროპის სასამართლოს მითითებით ჩვენი ხელისუფლება ვალდებულია, რომ მიიღოს ერმილე თორთლაძის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ყველა ზომა და მოხდეს მისი მოთავსება ისეთ პირობებში, რომელიც შეესაბამება გულით ავადმყოფის მდგომარეობას.

ევროპის სასამართლო საქართველოს ხელისუფლებისგან ასევე ითხოვს 16 დეკემბრამდე ევროსასამართლოს წარუდგინოს უახლოესი ინფორმაცია თორთლაძის ავადმყოფობის ისტორიის შესახებ. თორთლაძეს მიმდინარე წლის აპრილში ჩაუტარდა კარდიოსტიმულატორის ინპლანტაცია. ოპერაციის შემდეგ პატიმარი ისევ გადაიყვანეს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. ერმილე თორთლაძის ადვოკატების მანანა კობახიძის და ელენე ფილეევას განცხადებით, სადაც არ არსებობს მძიმე კარდეოლოგიური დაავადების მქონე ავადმყოფის მკურნალობის და სიცოცხლის შენარჩუნების მინიმალური პირობებიც კი, რაც განაპირობებს გამოუსწორებელი შედეგის დადგომის მაღალ რისკს.

ადვოკატების განცხადებით, მათი არაერთი თხოვნის მიუხედავად, მსჯავრდებულთან არ უშვებენ დამოუკიდებელ ექიმებს.

— ევროსასამართლომ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# პატრიარქის შეურაცხყოფა ხელისუფლების შეკვეთილია

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***— იმ 250 ხელმომწერიდან ხუთიოდეს გვარი თუა ცნობილი, თქვენ თუ იცნობთ დანარჩენებს?***

— არც ერთის სახელი და გვარი არ ვიცი.

**ქეთი დოლიძე:**

— მე ვთვლი, რომ ეს არის აბსოლუტურად შეკვეთილი. თეა თუთბერიძე არაფერს წარმოადგენს, გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტის დიპლომი ძლივს აიღო, ისიც ვინ მისცა, არ ვიცი, იმიტომ, რომ გამოცდებსაც ვერ აბარებდა. ჩემთვის თეა თუთბერიძე არავინ არ არის საერთოდ. ის არის დაქირავებული ადამიანი, რომელსაც აქვს დავალებული, ცალკე თავისუფლების ინსტიტუტიდან, მაგრამ უფრო მაღალი ეშელონებიდანაც, ყველანაირად შეუწყოს ხელი და გაუკეთოს დისკრედიტაცია არა მარტო პატრიარქს, არამედ საერთოდ მართლმადიდებლურ ინსტიტუტს. ეს ყველაფერი მოგონილია. არანაირი ლიბერალები ეგენი არ არიან. სწორედ ეგენი იქცევიან, როგორც ფაშისტები და არა ტოლერანტები, იმიტომ, რომ ტოლერანტობასთან მათ საერთო არაფერი აქვთ. თითქოსდა მათ უნდათ, თვალი აუხილონ ქართველ საზოგადოებას იმაზე, რაც სრულიად მიუღებელია ქართული მენტალიტეტისა და ამ სახელმწიფოსთვის და განსაკუთრებით, როდესაც ამაზე არა აქვს რეაქცია ხელისუფლებას, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს თუ ვისაც გინდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს არის შეგნებულად შეკვეთილი მაღალი ეშელონებიდან, სხვანაირად წარმოდგენა იმისა, რომ ასეთი პასკვილები და უბედურება შეიძლება იწერებოდეს ან ითქმებოდეს პატრიარქზე, შეუძლებელია. როდესაც ბატონი წიკლაური გამოდის და აცხადებს, ეს ყველაფერი უნდა იყოს გამოკვლეულიო, ის თეა თუთბერიძეზე უარესია. ძალიან კარგად ვიცით, ეს ყველაფერი საიდან იღებს სათავეს. სხვათა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთივე ძალიან დიდი შეტევა ჩვენს პატრიარქზე იყო 1990 წელს. მე, პირადად, ძალიან კარგად მახსოვს ალტყინებული და გაცოფებული ქალები. მაშინ შემთხვევით ვიყავი საპატრიარქოში, ძველ საპატრიარქოში, სიონის გვერდით რომ იყო პატარა საპატრიარქოს შენობა, როდესაც ქვები დაუშინეს პატრიარქის რეზიდენციას. ეს ძალიან კარგად ვიცით, გამოვლილი გვაქვს. ეს ყველაფერი, რუსეთის პატრიარქზე გაკეთებული ფილმი, არის ერთი დიდი გეგმის ნაწილი და მე ვთვლი, რომ თუ ფრთხილად არ იქნებიან, ეს იქნება მართლა დასასრული ამ ხელისუფლებისა, ვიმეორებ, თუ ფრთხილად არ იქნებიან. ის, რომ ქალაქის მერი სცენას უკეთებს პატრიარქს, ასი ათასი შეწირულის მოხსენიების დღეს ატარებს და მეორე დღეს ამის უფლებას აძლევენ, რომ პატრიარქზე ასეთი რამეები თქვან, პატრიარქს გული კი არ ეტკინება, გული გვტკივა ჩვენ და ისე ნუ მოგვიჭერენ ხელს, რომ ტკივილი ველარ ვიგრძნოთ. პატრიარქს თავი დაანებონ. თეა თუთბერიძე არავინ არ არის. ვინც ავალებს მას ამის გაკეთებას, იმან იკითხოს. ესენი არიან შეუმდგარი ადამიანების ჯგუფი და სწორედ ასეთები სჭირდება ხელისუფლებას. როცა დასჭირდებათ, ისე მოისვრიან, როგორც არაფერი.

***— იმ ჩამონათვალიდან, რომელთა ხელმოწერებიც დაფიქსირდა, თუ იცნობთ რომელიმეს?***

— არც ერთ მათგანს. იმას დაუფიქრდნენ, რომ პატრიარქმა გაქანებული კომუნისტების დროს მთელი ერი მოაბრუნა ეკლესიისკენ. ფრთხილად იყვნენ, როდესაც მართლმადიდებლობას ეხებიან. ჩვენ არც ერთი არა ვართ ფანატიკოსი, მე მით უმეტეს და რელიგიურ ფანატიზმს ვერავინ დამაბრალებს. მე ვარ ერთ-ერთი ისეთი რიბერალური და ყველაზე თავისუფალი სპექტაკლის ავტორი, რომელსაც ჰქვია „სერობა“ და ფანატიზმს ტყუილად ნურავინ დამაბრალებს. საქართველო არასოდეს ყოფილა ფანატიკოსთა ქვეყანა. ის ვითომ მღვდლები, რომლებიც დღეს პატრიარქს ებრძვიან, ზუსტად ისინი არიან უშიშროების აგენტები, ზუსტად ისინი, სწორედ იქ უნდა მოიძიონ აგენტები. რომ ამბობს თუთბერიძე, შედით ჩემს ფეისბუქზეო, ვინ არის, საერთოდ რას წარმოადგენს? ის არის ერთი შეუმდგარი, ავადმყოფი ადამიანი, ავადმყოფები კი უნდა იყვნენ იქ, სადაც მათი ადგილია.

# ჯემალ გოგიტიძის ძმის მკვლელი გაათავისუფლეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ერების დაახლოებას.

ძასოხოვის გარემოცვამ ქართველთა კავშირის აგრესია სტუმრის მიმართ ჩათვალა როგორც მიზანმიმართული პროვოკაცია, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობები ქართულ დიასპორათა შორის. კრასნოდარის 70 000-იანი ქართველობის სათვისტომოს ლიდერი, აფხაზეთის მკვიდრი — მინდია გულუა კი ხუბუტიას საერთოდ სააკაშვილის პროექტად მიიჩნევს და თვლის, რომ ხუბუტია მას ბინძური მეთოდებით ებრძვის, რაც, მისი აზრით, უპასუხოდ არ დარჩება. თავად ხუბუტია ცდილობს შეინარჩუნოს ურთიერთობები სხვა ქართულ სათვისტომოებთან, თუმცა ისევ და ისევ გაერთიანების საკითხი რჩება ამ ნორმალური ურთიერთობების უმთავრეს პრობლემად. დღევანდელი მდგომარეობით რუსეთში მოქმედი აქტიური ქართული დიასპორები იყოფიან რამდენიმე ბანაკად, მათ შორის არიან ე.წ. „უნიტარისტები“ (ებრალიძე, ძასოხოვი, გულუა, ხომერიკი) და „ტრადიციონალისტები“ („ქართველთა კავშირი რუსეთში“, „ლაზარე“) და „თავისუფალი ჯგუფები“, რომლებშიც ერთიანდებიან რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენთა და მოღვაწეთა სამეგობროები, „მეგრელები“, „სვანები“, „ქუთაისელები“ და ა.შ. ეს უკანასკნელი სეგმენტი ინარჩუნებს ნორმალურ ურთიერთობას ორივე დაპირისპირებულ მხარესთან, თუმცა საბოლოოდ მაინც საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას იმუშავებს ნებისმიერი კონკრეტული საკითხისა და ვითარების მიმართ. კვლავ გავლენა აქვთ პიროვნებებსაც — სოსო ორჯონიკიძეს, ზურაბ წერეთელს, ლეო ბოკერიას და ზურაბ სოტკილავას. ნაკლებად აქტიურობენ ქართული ქურდული სამყაროს წარმომადგენლები, რომელთა დიდი ნაწილი გასულია მოსკოვიდან და საერთოდ რუსეთიდან.

არანაირი გავლენა არა აქვთ შოთა კვირაიას, თენგიზ კიტოვანს, ვალერი ხაბურძანიას, ასლან აბაშიძეს. რაც შეეხება ცნობილ სახეებს — მელაძე, პავლიაშვილი, ფირცხალავა და ა.შ. ისინი საერთოდ ცდილობენ არ გამოჩნდნენ და მხოლოდ კულტურულ ღონისძიებებზე ჩნდებიან. ამის გარდა, ასობით ბიზნესმენი, ექიმი, ხელოვნების მოღვაწე, ათასობით პროფესიონალი, ასობით ათასი ქართველი კი ცხოვრობს თავისი ცხოვრებითა და პრობლემებით, რომელთა შორის მთავარია ურთიერთობები რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებებთან და ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საქართველოს საკონსულოს აქტიურობა, სამწუხაროდ, უმრავლესობა თვლის, რომ საკონსულო სამსახური რუსეთში ჩვეულებრივ შპს-დ არის ქცეული. თუმცა, ეს უკვე დიასპორის კი არა, საქართველოს ხელისუფლების პრობლემა და ქართველების 1/3-სადმი დამოკიდებულების მაჩვენებელია.რუსეთის ქართული დიასპორა არ არის იმდენად მცირე, რომ საქართველოს ხელისუფლებას უფლება ჰქონდეს მასზე, როგორც რაღაც ჯგუფზე საუბრის. ამ დიასპორის განწყობები მოქმედებს საქართველოს განწყობაზეც, რადგან იმ მესამედს ნათესავები ჰყავს დანარჩენ 2/3-ში. ეს ძალიან კარგად იცის სააკაშვილმა და მის ინტერესებში შედის, რომ რუსეთის ქართულმა დიასპორამ კვლავ გააგრძელოს ისეთივე ცხოვრება, როგორც დღეს ცხოვრობს, რაც უფრო მეტად დაქსაქსული იქნება ეს უზარმაზარი ძალა, მით მეტად ჩამოუყალიბებელი იქნება საქართველოში მცხოვრები ქართველობა. რაც უფრო ნაკლებ ინტერესს გამოიჩენს რუსეთში მცხოვრები ქართველი საქართველო — რუსეთის ურთიერთობებისადმი, მით უფრო ადვილი იქნება სააკაშვილისთვის საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნება. ეს კი, თავის მხრივ, დიდად არ უნდა ადარდებდეს რუსეთის ხელისუფლებას, რადგან რუსეთისთვის ასევე ადვილია საქმე ჰქონდეს ერთმანეთთან მოქიშპე ქართულ სათვისტომოებთან, ვიდრე ერთ ან ორ ორგანიზებულ ძალასთან, რომელსაც შეუძლია ზეწოლა მოახდინოს არა მარტო თბილისზე, არამედ მოსკოვზეც. ხოლო რაც შეეხება მისტიურ საფრთხეებსა და რევანშის მოლოდინს რუსეთის ქართული დიასპორისგან, ეს უბრალო ფანტომებია და მეტი არაფერი. აბაშიძემ დაასრულა პოლიტიკური მოღვაწეობა, იგორ გიორგაძე არააქტუალურია არც საქართველოს მოსახლეობაში და არც კრემლში, ებრალიძე საქართველოს მოქალაქე არ არის, ხუბუტია ზედმეტად ახლოა სააკაშვილთან, მისი მტერი რომ იყოს, თარგამაძე რუსეთის მოქალაქე გახდა, პაატა ბურჭულაძე ბავშვებს ეხმარება და პოლიტიკაში არ შევა, ლეო ბოკერია კარგი ექიმია, ზურაბ წერეთელი ცნობილი მხატვარია, სოსო ორჯონიკიძე ასევე ახლოა სააკაშვილთან, პეტრე ჩხეიძეს არ აქვს პოლიტიკური ამბიციები, თინა კანდელაკს პოლიტიკოსთვის საჭირო განათლება არა აქვს... მოკლედ, სააკაშვილს შეუძლია მშვიდად იძინოს, რუსეთის ქართველობა ახლო მომავალში მას არ შეჭამს. სააკაშვილის ბედად, რუსეთის ქართველობა საქართველოს ქართველობასავით გათითოკაცებულია.

# კომპანია „ბილაინი“ მომხმარებელს ახალ სატელეფონო ინდექსს 892-ს სთავაზობს

ბილაინი™
იცხოვრე ნათელ ფერებში

თბილისი, 4 დეკემბერი, 2009 წელი.

კომპანია **„ბილაინი“** მომხმარებლებს ახალ სატელეფონო ინდექსს, **892**-ს სთავაზობს, ახალ ინდექსზე ნომრების შეძენა და სასურველი ნომრის შეკვეთა, აბონენტებს დღეიდან **„ბილაინის“** გაყიდვების და აბონენტების მომსახურების ოფისსა და გარე სავაჭრო ქსელში შეუძლია.

კომპანიას აქამდე ბაზარზე ოთხი სატელეფონო ინდექსი ჰქონდა წარმოდგენილი — 897, 879, 871, 874.

„აბონენტთა ბაზის ზრდასთან ერთად, კომპანიაში გაჩნდა ახალი სატელეფონო ინდექსის დამატების საჭიროება. მოხარულები ვართ, რომ კიდევ მეტ მსურველს მიეცემა საშუალება ბილაინის ლამაზი თუ მათი ძველი ნომრის იდენტური ნომრის შეძენის. რაც მთავარია, ბილაინის ახალი და არსებული აბონენტებს აქვთ საშუალება ჩვენს 500 000 (ხუთასი ათას) აბონენტთან, 5 თეთრად ილაპარაკონ“, — განაცხადა ბილაინის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, თეონა ბაღდავაძემ.

**დამატებითი ინფორმაციისათვის:**
**თეონა ბაღდავაძე**
**+995 97 03 53**
**tbagdavadze@BEELINE.ge**

*„ვიმპელკომის“ კომპანიების ჯგუფში შედის კავშირგაბმულობის ოპერატორები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ხმოვან კავშირსა და მონაცემების გადაცემას უსადენო და ფიქსირებული კავშირის ტექნოლოგიების ფართო სპექტრის საფუძველზე და ასევე უზრუნველყოფენ ინტერნეტში ფართოსპექტრიან ხელმისაწვდომობას. „ვიმპელკომის“ ჯგუფში შედიან კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ოპერაციებს რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, საქართველოსა და სომხეთში, ასევე ვიეტნამსა და კამბოჯაში. „ვიმპელკომის“ კომპანიების ჯგუფის ლიცენზიები მოიცავს ტერიტორიას მოსახლეობის საერთო რაოდენობით 340 მლნ ადამიანი. მომსახურების გაწევა ხორციელდება* ***„ბილაინის“*** *ბრენდით.*


# ცოტნე გამსახურდია შეიძლება გაათავისუფლონ

**დასაწყისი მე-4 გვერდზე**

როლი იარაღი, ვინაიდან მე მხოლოდ წამიერად შევავლე თვალი ჩემთვის მანამდე უცნობი პიროის სილუეტს, რომელმაც მომაყენა სხეულის დაზიანება, — აცხადებს ბაჯელიძე.

დავით ბაჯელიძე კვლავაც ირწმუნება, რომ არც 27 ოქტომბერს, როდესაც ის დაჭრეს სახლში, არც, საერთოდ, იმ და არც წინა დღეს ცოტნე გამსახურდია მასთან მოსული არ უნახავს, სხეულის დაზიანება კი უცხო პირმა მიაყენა.

— 27 ოქტომბერს, როდესაც დამჭრეს სახლში, არც იმ და არც წინა დღეს ცოტნე გამსახურდია ჩემთან სახლში მოსული არ მინახავს. სხეულის დაზიანება მომაყენა უცხო პირმა, ვინაიდან იგი მაშინვე ვერ ვიცანი. ის რომ ყოფილიყო ნაცნობი ან თუნდაც ჩემი მეზობელი, ცოტნე გამსახურდია, მაშინვე ვიცნობდი და დავიმახსოვრებდი კიდეც, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ — ცოტნეს ჩემს დაჭრასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ ჰყავთ ცოტნე დაპატიმრებული ჩემი გულისთვის, როცა ის არაფერ შუაშია მომხდართან, — აი, ასეთია დავით ბაჯელიძის განმარტებები მის დაჭრასა და ცოტნე გამსახურდიას ბრალდებასთან დაკავშირებით.

ბაჯელიძის ჩვენების გათვალისწინებით, ადვოკატი ქეთი ბექაური ცოტნე გამსახურდიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის სასწრაფოდ შეწყვეტას მოითხოვს.

— ოქმის ბოლოს ბაჯელიძე გამოთქვამს წუხილს: „გაუგებარია, თუ რატომ ჰყავთ დაპატიმრებული ცოტნე ჩემი გულისთვის, როცა ის არაფერ შუაშია მომხდართან“. ეს არის მისი სიტყვები, რომლის სინამდვილე ნოტარიუსის თანდასწრებით თითოეულ გვერდზე ხელმოწერით დაადასტურა ბაჯელიძემ, — ამბობს ადვოკატი, — წარმოდგენილი დოკუმენტი არის დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულება საკანონმდებლო ნორმათა დაცვით, რომელიც დღესვე წარედგინება პროცესის მწარმოებელ ორგანოს. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა, დაუყოვნებლივ შეწყდეს



სისხლის სამართლის საქმე ცოტნე გამსახურდიას მიმართ.

ადვოკატ ქეთი ბექაურისთვის ცნობილი გახდა, რომ მას შემდეგ, რაც მან კანონმდებლობის მოთხოვნის დაცვით დაკითხა დავით ბაჯელიძე, დაზარალებულთან მივიდნენ საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლები. „ჯერჯერობით, არ ვიცი, ვინ არიან ის პირები, თუმცა ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გამოძიებამ თავადაც დაკითხა დაზარალებული დავით ბაჯელიძე. ჩვენი მოთხოვნაა, საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელმა სხირტლაძემ დაუყოვნებლივ გადმოგვცეს ბაჯელიძის დაკითხვის ოქმი. ეს არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა, ვინაიდან ჩვენი შუამდგომლობით მოხდა ბაჯელიძის დაკითხვა“, — განაცხადა ქეთი ბექაურმა.

გარდა ბაჯელიძის პოზიციის გახმაურებისა, ცოტნე გამსახურდიას ადვოკატმა ისაუბრა გამოძიების „ოქროს მოწმე“ რაისა საიდოვაზე, რომლის ჩვენება საქმეში დევს.

საიდოვას ჩვენებით, თითქოს მან დაინახა კოლხური კოშკიდან გამომავალი ცოტნე გამსახურდია, რომელსაც თითქოს იარაღი ეჭირა ხელში. ქეთი ბექაურმა წარმოადგინა ფოტომასალა, საიდანაც დასტურდება, რომ საიდოვას არაფრით არ შეეძლო კოლხური კოშკიდან გამომავალი ცოტნე გამსახურდიას დანახვა.

საიდოვა, მისი ჩვენების მიხედვით, იდგა თავისი სახლის ეზოში, როცა თითქოს ცოტნე გამსახურდია დაინახა. „საიდოვას ეზოდან არაფრით შეეძლო, დაენახა კოლხური კოშკიდან გამომავალი ცოტნე გამსახურდია. თავის ეზოში მდგარმა საიდოვამ, რომელსაც მთელი სახლი და ხეები ეფარება, თურმე დაინახა ცოტნე გამსახურდია. ეს რაღაც აბსურდია, — აცხადებს ადვოკატი ქეთი ბექაური, — 80 წლის ქალბატონმა, რომელიც გამადიდებელ ლინზებს ატარებს, დგას ეზოში, წინ ეფარება სახლი და ხე, თურმე ნუ იტყვით, დაინახა კოლხური კოშკიდან გამომავალი ცოტნე გამსახურდია“.

***— რაიმე განსაკუთრებული უნარი ხომ არ აქვს და ხომ არ შეუძლია, შენობისა თუ გალავნის იქით დაინახოს რაიმე?***

— არანაირი უნარი არ შეიძლება ჰქონდეს. მას ორი სახლი და ხეები მთლიანად ეფარება, თან ამ ადგილიდან კოშკი მეორე მხარეს გახლავთ. მან თქვა ჩვენებაში, ჩემი სახლის ეზოში ვიდექი და დავინახე კოშკიდან გამოსული ცოტნე გამსახურდიაო. კოშკი, ეზოში რომ შეხვალთ, კიდევ მოშორებითაა. ამიტომ მისი ჩვენება აბსურდია და მეტი არაფერი.

***— კოშკამდე ხომ კიდევ გალავანია?***

— რა თქმა უნდა, გალავანია, 60 მეტრი მაინც არის. გარდა ამისა, გალის ქუჩის კუთხეში არის პროფილაქტიკა, რომელსაც შენობა ეფარება. კოშკი არის აქეთ. საიდოვას სახლი სხვა მხარესაა, ეს ქალბატონი კი აცხადებს, ეზოში ვიყავი და დავინახე, პროფილაქტიკის ეზოდან გამოვიდა ცოტნე გამსახურდიაო. ეს ქალბატონი სენსაციურ განცხადებებს აკეთებს. როგორ უნდა დაენახა თავისი ეზოში მდგარს პროფილაქტიკიდან გამომავალი ცოტნე გამსახურდია, წარმოუდგენელია.

ბაჯელიძის ჩვენებიდან გამომდინარე, გამოძიება ვალდებულია, გაათავისუფლოს ცოტნე გამსახურდია და ახლა უკვე სისხლის სამართლის საქმე აღძრას მისი სხეულის დაზიანების ფაქტზე.

# „ჯეოსელის“ კიდევ ერთი პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდასაჭერად

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, ქართული სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიდერმა კომპანია „ჯეოსელმა,“ უკვე ტრადიციისამებრ, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი და ღრმა აზრის მომცველი სოციალური პროექტი წარუდგინა საზოგადოებას.



„განსხვავებული ფერები, გარემო, ადამიანები და ერთი საერთო დეტალი...“ — ეს იმ ორიგინალური ფოტო-პროექტის მთავარი სლოგანია, რომელიც 22 წლის ანა გოგუაძის ინიციატივით განხორციელდა და რომლის დანიშნულება და მიზანი კიდევ ერთხელ შეხსენებაა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღეს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირება — მათი გადაადგილებისათვის ელემენტარული პირობების შექმნა და, რაღა თქმა უნდა, დასაქმება.

„მე-ანია“ ასე ეწოდება ფოტო-გამოფენას, რომელიც თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა და რომელზეც ისეთი ცნობილი მოდელების ფოტოები იყო წარმოდგენილი, როგორიცაა მაგალითად, თაკო ჩხეიძე, მაკა ასათიანი და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაღების დროს გამოყენებულ იქნა ავთანდილ ცქვიტინიძის კოლექცია.

„შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების პრობლემები, მათი საზოგადოებაში ინტეგრირება ყოველთვის აქტუალური იყო „ჯეოსელისთვის“ და შესაბამისად, როდესაც ანია გოგუაძე ჩვენთან ბრწყინვალე პროექტითა და იდეით მოვიდა და სურვილი გამოთქვა გაეკეთებინა ასეთი ლამაზი გამოფენა უყოყმანოდ დავთანხმდით. ამ ადამიანმა დაგვანახა, რომ მეტად ესთეტურად და მოწიწებითაც კი შეიძლება ისეთ პრობლემებზე საუბარი, როგორიცაა ელემენტარული გადაადგილების ინფრასტრუქტურის არარსებობა და ამ ადამიანების საზოგადოებასთან ინტეგრირება, რომლებიც მიუხედავად ამდენი მცდელობისა, კვლავაც არსებობს ჩვენს რეალობაში.

„ჯეოსელმა“ მხარი დაუჭირა ანიას იდეას და წარმოგიდგენთ პროექტს, რომელსაც მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და სწორად უნდა აღიქვას ყველამ. არ შეიძლება ეს პრობლემები ერთი კომპანიის, ერთი ადამიანის, ან ერთი ინფრასტრუქტურის ხარჯზე გადაწყდეს. საჭიროა საქმეში ყველანი ჩავერთოთ და ერთად ვაკეთოთ ის.ჩვენ უკვე გვყავს 6 შეზღუდული უნარის მქონე თანამშრომელი, სამ ოფისში კი, ასეთი ადამიანების დაუბრკოლებლად გადაადგილებისათვის სრულყოფილი ინფრასტრუქტურაა შექმნილი.

თქვენც გამოხატეთ თქვენი პოზიცია,“ — აცხადებს „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ირმა ცქიტიშვილი. აღსანიშნავია, რომ „ჯეოსელი“ ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია გახლავთ, რომელმაც საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თავისუფლად გადაადგილების უზრუნველსაყოფად რამდენიმე სერვის-ცენტრში შესაბამისი ინფრასტრუქტურა შექმნა. შედეგად, ამ კატეგორიის ადამიანებს ახლა უკვე თავისუფლად შეუძლიათ აღნიშნულ ოფისებში მისვლა და სასურველი მომსახურების ადგილზე მიღება.ამას გარდა, „ჯეოსელი“ დასაქმები მხრივაც წინ უსწრებს სხვა ორგანიზაციებს. კომპანიაში ამჟამად 6 შეზღუდული შესაძლელობების მქონე პირი მუშაობს. რაც შეეხება თავად ფოტო-პროექტს, მისი ახალგაზრდა ავტორი მეტად ორიგინალურად და უბოროტოდ აცნობს საკუთარ სულის ტკივილსა და პრობლემებს საზოგადოებას და ბუნებრივია შესაბამის უკურეაქციასაც ელის მისგან.

**ანა გოგუაძე:**

— გადავწყვიტე, ლამაზი ქალბატონები ლამაზ სამოსში და ვარცხნილობებში გადამეღო და მაქსიმალურად ვეცადე ყველაფერი უმშვენიერესი ყოფილიყო... გამოფენაზე წარმოდგენილ ყველა ფოტოს აერთიანებს ის ერთი დეტალი, რომელიც მართალია ძალიან მძიმეა, მაგრამ მაინც რეალობაა — ესაა ინვალიდის ეტლი...ძალიან მინდა ყველა შესასვლელში იყოს პანდუსები, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. ეს გზავნილია მათთვის, ვინც უნდა ზრუნავდეს ამ საკითხზე.დიდი მადლობა „ჯეოსელს“ ამ პროექტის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის...“

„ამ ადამიანებსაც მივცეთ ლამაზი ცხოვრების საშუალება,“ — დასძენს ანას პროდიუსერი, ბექა კოკაია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის შენობაში, რომელშიც გამოფენა გაიხსნა სარემონტო სამუშაოების შემდეგ დაცული იქნა ყველა ის სტანდარტი, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დარბაზში მისვლას გაუადვილებს.„დიდი მადლობა, რომ ეს მშვენიერი ღონისძიება სწორედ ჩვენს ფოიეში ტარდება. სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა, რომ ჩვენთან შეზღუდული შესაძლებლობების პირებს გადაადგილებისას არანაირი პრობლემა არ შეექმნეთ... შეგიძლიათ თავად ნახოთ და გამოსცადოთ ეს გზა... მადლობა ანას, რომ ყოველგვარი აგრესიის და განაწყენების გარეშე გვითხრა თავისი სათქმელი,“ — აცხადებს სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის დირექტორი, გიორგი კერესელიძე.

რაც შეეხება ფოტო-სესიაში მონაწილე მოდელებს, ანა გოგუაძის საოცარი ნიჭისა და გარემოს ორიგინალური აღქმის უნარის მიმართ ყველა ერთხმად გამოთქვამდა აღფრთოვანებას. ავთანდილ ცქვიტინიძემ და თაკო ჩხეიძემ ახაგაზრდა ხელოვანის საკუთარ სააგენტოებში დასაქმებას კი მოისურვეს...

**თაკო ჩხეიძე, მოდელი:**

„როდესაც ანიამ პირველად შემომთავაზა ფოტო-სესიაში მონაწილეობა ორსულად ვიყავი და ძალიან შევწუხდი, რადგან მისთვის უარის თქმა მომიწია, თუმცა, მაინც შევძელი და გვერდზე დავუდექი — სესიისთვის ჩემი სამოდელო სააგენტოს გოგონები შევთავაზე, რომლებმაც მართლაც აქტიურად იმუშა-



ვეს. შემდეგ ისე მოხდა, რომ პროექტი გაიწელა და უკვე 3 კვირის პატარა მყავდა, როდესაც მეორედ დამირეკეს... არც დავფიქრებულვარ ისე დავთანხმდი. ძალიან მინდოდა ანიას შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი და ჩემი წვლილი შემეტანა ამ მართლაც მნიშვნელოვან საქმეში.

თავად პროექტზე შემიძლია ვთქვა, რომ არაჩვეულებრივი იდეაა, ძალიან ლამაზი და რაც მთავარია, მშვენიერი გზა იმისთვის, რომ პრობლემა საზოგადოებამდე მივიდეს, ყველამ იგრძნოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებიც ჩვეულებრივი ხალხია, უბრალოდ განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ, რის გამოც ყველანი გვერდში უნდა დავუდგეთ მათ. ეტლში პირველად რომ ჩავჯექი უჩვეულო გრძნობა დამეუფლა, მივხვდი, რომ არავინ არაფრისგან არის დაზღვეული...

საზღვარგარეთ ძალიან დიდი ყურადღება ექცევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხალხს — სპეციალურად მათთვის მთელი ინფრასტრუქტურაა შექმნილი და თუკი ჩვენთანაც დაინერგება ეს ყველაფერი, ცხადია, მისასალმებელი იქნება. დღევანდელი აქციის შემდეგ ვფიქრობ ამ საკითხზე ბევრი ადამიანი დაფიქრდება.ანიასთან ურთიერთობას და თანამშრომლებას კი, პირადად მე აუცილებლად გავაგრძელებ... ძალიან ნიჭიერი გოგონაა და მოხარული ვიქნები თუ ჩემი სააგენტოს გოგონების პორტფოლიოების შექმნაზე სწორედ ის იზრუნებს.“ავთანდილი: „ანიაში არაჩვეულებრივი ხელოვანი აღმოვაჩინე, რითაც ნამდვილად სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. ამ პატარა გოგომ ასეთი საოცარი ფოტოებით ჩემი კოლექციაც კი სულ სხვა თვალით დამანახა... ანა, შენ ჭირდები მოდას, მადლობ, რომ არსებობ!“

**მაკა ასათიანი, პროექტის მონაწილე:**

„ძალიან საინტერესო პროექტი იყო, გაკვირვებული ვარ ანას ნიჭიერებით, მისი სულის სიძლიერითა და სილამაზით. ადრე არ ვაკვირდებოდი, იყო თუ არა შენობებში სპეციალური შესასვლელი შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისათვის. ახლა ვხედავ, რომ ბევრგან მსგავსი გასასვლელები არ არის. მინდა ყველა ერთად დავდგეთ და ვეცადოთ, რომ ეს ადამიანებიც თავისუფლები იყვნენ, გადაადგილდნენ სადაც უნდათ, შევიდნენ რესტორნებში, ტრანსპორტში... დიდი მადლობა ანიას, რომ ასე ლამაზად დაგვანახა თავისი სამყარო.“

**ანა ვაჩნა ე**

# რა ახალი პროვოკაცია მზადდება პანკისში

## ინგუშები საქართველოს მოქალაქეობას ითხოვენ

თეა მარხვაი ე

**ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრება შეუძლებელი გახდა. იქაურებს უკვე აღარც კი ახსოვთ, რას ნიშნავს მშვიდი ცხოვრება. დღე ისე არ გაივლის, რომ რომელიმე რესპუბლიკაში ტერორისტული აქტი არ მოხდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული ვითარება ჩეჩნეთსა და ინგუშეთშია.**



უკვე კარგა ხანია ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინგუშებს საქართველოში ჩამოსახლება სურთ. ამაზე საუბრები ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს მიმდინარეობდა. ასეთი ინფორმაციები ახლაც გაჩნდა. ინგუშებს რომ საქართველოში ჩამოსვლა სურთ, ეს ინფორმაცია ხიზრი ალდამოვმაც დაგვიდასტურა. მისი აზრით, საქართველომ ინგუშებს თავშესაფარიც უნდა მისცეს და მოქალაქეობაც. ამასთან, მისი თქმით, ეს პროცესი ძალიან სერიოზულად უნდა ჩატარდეს, რადგანაც შესაძლოა ინგუშების სახელით რუსებმა თავისი აგენტები შემოგვიგზავნონ.

რატომ უნდა მივცეთ ინგუშებს საქართველოს მოქალაქეობა, რას დავუმტკიცებით ამით მსოფლიოს, რა გეგმები აქვს რუსეთს პანკისში, ამ თემებზე საქართველოში ჩეჩნური დიასპორის ხელმძღვანელი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ხიზრი ალდამოვი:**

— ინგუშები საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ითხოვენ. ეს ვიღაცას შეიძლება ძალიან გაუკვირდეს, ჩემთვის კი ეს მოთხოვნა გასაგებია. მე არ მიკვირს, ამ ადამიანებს საქართველოში წამოსვლის სურვილი რომ გაუჩნდათ. ინგუშეთი, ისევე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკები, რუსეთს აქვს ოკუპირებული. მიმდინარეობს ამ ერების განადგურება. რუსები განსაკუთრებით ახალგაზრდებს ერჩიან. ინგუში ერი ფაქტიურად განადგურების პირასაა. ამას ინგუშები კარგად ხვდებიან და გადარჩენა სურთ. გადასარჩენად კი საქართველოში წამოსვლა გადაწყვიტეს.

***— რატომ მაინცდამაინც საქართველოში?***

— სხვაგან სად უნდა წავიდნენ თუ არა საქართველოში? საქართველო მათ გვერდით მდებარეობს. საქართველოში მათ ისე მიიღებენ, როგორც თავის მოძმეებს. ქართველებს და კავკასიელებს ბევრი საერთო აქვთ. ინგუშები ხვდებიან, რომ მათ მხოლოდ საქართველო გადაარჩენს. საქართველოსაც ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ მსოფლიოს დახმარებით აუცილებლად მიაღწევს რეალურ დამოუკიდებლობას. მისი საგარეო პოლიტიკა ამისკენ არის მიმართული. ამიტომ არ მიკვირს, რომ ინგუშებმა საქართველოში ითხოვეს თავშესაფარი. იქ მართლაც შეუძლებელია უკვე ცხოვრება. რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებს ერის განადგურებას. ამიტომაც უნდათ მშობლიური კუთხის დატოვება და ამით გენოფონდის გადარჩენა. თქვენ იკითხეთ, რატომ მაინცდამაინც საქართველოში ითხოვეს თავშესაფარიო, იმიტომ ითხოვეს, რომ მათ ქართველებთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ. სტალინმა მეორე მსოფლიო ომის დროს ინგუშები და ჩეჩნები შუა აზიაში გადაასახლა. იმ ტერიტორიებზე, სადაც ინგუშები ცხოვრობდნენ, ქართველები და ოსები დასახლდნენ. სტალინის სიკვდილის შემდეგ ინგუშები და ჩეჩნები უკან დააბრუნეს. ეს ამბავი რომ ცნობილი გახდა, საქართველოს მოქალაქეებმა, ოსებისგან განსხვავებით, დატოვეს ინგუშების ტერიტორია. ეს ინგუშებს დღემდე ძალიან კარგად ახსოვთ. ჩვენ მართლაც განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს. ჩეჩნებიც და ინგუშებიც არიან ვაინახები. ვაინახებს კი ქართველებთან ბევრი საერთო აქვთ. ჩვენს შორის გარდა დიდი მსგავსებისა, დიდი ნათესაობაც არის. ჩვენ მართლაც განსაკუთრებული ტრადიციები გვაქვს. ბევრი ეცადეს, რომ ჩვენ სამუდამოდ დავეპირისპირებინეთ ერთმანეთთან. ამის გაკეთება რუსეთს ბოლომდე არ გამოუვიდა. ჩვენ ისევ ძმებად დავრჩით. ამიტომ საქართველომ ინგუშებს ხელი არ უნდა ჰკრას, სხვა თუ არაფერი, ქართველებსაც და ვაინახებსაც ერთი მიზანი გვაქვს — თავსუფლება. ჩვენ ერთი მტერი გვყავს, ეს არის რუსეთი. დღეს ინგუშები რუსეთისგან თავის დაღწევას ითხოვენ, თუ საქართველო მათ ამაში დაეხმარება, ეს ცუდი არ იქნება.

***— თქვენი საუბრიდან ნათლად ჩანს, რომ მხარს უჭერთ ინგუშებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას?***

— ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ამის გარდა, ჩემს თავს იმის უფლებას არ მივცემ, რომ ვიღაცას რამე მითითება მივცე. თუმცა, ჩემს აზრს ღიად დავაფიქსირებ და ვიტყვი, რომ ჩვენ ინგუშებს საქართველოს მოქალაქეობა უნდა მივცეთ. ამ შემთხვევაში საუბარი იმ ინგუშებზე მაქვს, რომლებიც საქართველოში ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამენ.

***— თქვენი აზრით, რა რეაქცია ექნება ამაზე რუსეთს?***

— რუსეთს არავინ არ ეკითხება, საქართველო ვის მისცემს თავის მოქალაქეობას. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის გადასაწყვეტია. თანაც რუსეთს ამ თემაზე ლაპარაკის უფლება არა აქვს. ეგენი არ იყვნენ, ოსებს და აფხაზებს რუსეთის მოქალაქეობას რომ აძლევდნენ? ოსები და აფხაზები რუსეთში რომ ჩასულიყვნენ და იქ მიენიჭებინათ მოქალაქეობა, არავინ არაფერს იტყოდა. ამათ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე დაარიგეს რუსული პასპორტები; მერე ესეც არ იკმარეს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. რატომ და რისი გულისთვის გააკეთეს ეს? ამბობენ გენოციდისგან ვიხსენითო. რომელი გენოციდისგან იხსნეს? თუ ვინმე ახორციელებს დღეს ვინმეს გენოციდს, ეს რუსეთია. რუსეთმა გაანადგურა და მოსპო ჩეჩენი ერი. ახლა ინგუშებზე გავიდნენ. არც სხვა კავკასიელებს ადგათ კარგი დღე. მოვა დრო და რუსები აფხაზებს და ოსებსაც გაანადგურებენ. დღეს კი ვითომ მათ დამოუკიდებლობაზე ზრუნავენ. ეს აღიარება არის უკანონო და თუკი ოსებს და აფხაზებს ეკუთვნით დამოუკიდებლობა, მაშინ რატომ არ ეკუთვნის ეს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს. ისინი ხომ მართლა თავისუფადი ერები იყვნენ და რუსებმა დაიპყრეს. რუსეთს, მით უმეტეს, არა აქვს უფლება, საქართველოს ხელი შეუშალოს ვინმესთვის თავის მოქალაქეობის მინიჭებაში. მოქალაქეობის მინიჭება ომი არ არის და ვისაც გვინდა, იმას მივცემთ ჩვენს მოქალაქეობას. მე ძალიან გამეხარდება, თუ საქართველო ინგუშებს თავის მოქალაქეობას მიანიჭებს. მე მირჩევნია, რომ ინგუშები თავის მიწაზე იყვნენ, მაგრამ მათ იქ განადგურება ემუქრებათ. ამიტომ უმჯობესია მათ გენოფონდის გადასარჩენად რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა მიიღონ და იქ შეაფარონ თავი. საქართველოში ისინი ყველაზე უკეთესად იქნებიან. აქ მათ არავინ არ შეავიწროვებს. მე ხელისუფლებას ამ საკითხზე დაფიქრებას ვურჩევდი.

***— ვთქვათ, ხელისუფლება დათანხმდა ინგუშებისთვის მოქალაქეობის მინიჭებას. რა გარანტიაა, რომ მათ შორის რუსეთის აგენტები არ იქნებიან, რომელთა ხელითაც რუსებს შემდეგ ჩვენ წინააღმდეგ ახალი პროვოკაციის მოწყობის საძლებლობა ექნება.***

— ამის გარანტია არ არსებობს. დიდი შანსია, რომ ინგუშებში, რომლებიც საქართველოში ჩამოსვლას ითხოვენ, რუსეთის აგენტებიც იყვნენ. ამიტომ ვამბობ, რომ საქართველო ამ საკითხს სერიოზულად უნდა მოეკიდოს. სათითაოდ უნდა შეისწავლოს იმ ადამიანების ბიოგრაფია, ვინც საქართველოს მოქალაქეობის სურვილი გამოთქვა. რუსეთს საქართველოში ჩეჩნური და ინგუშური პროვოკაციის მოწყობა ისედაც ჩაფიქრებული აქვს. მათ კარგა ხანია მოსვენებას უკარგავს პანკისის ხეობა. დიდი მცდელობის მიუხედავად, აქ არაფერი არ გამოუვიდათ. ამიტომაც ახლა შეეცდებიან ამ თემის გააქტიურებას. ინგუშების სურვილის შესახებ უკვე რუსებმაც იციან. ამ თემას ისინი სათავისოდ აუცილებლად გამოიყენებენ. დაიწყება ხალხის დამუშავება. თავიანთ აგენტებს ისინი ინგუშებშიც გამონახავენ. მე თავის დროზე ვთხოვე ხელისუფლებას, ყურადღება გაემახვილებინა პანკისიდან წასულ ადამიანებზე. იმ ადამიანებზე, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს. რთული ეკონომიკური პირობების გამო პანკისიდან რუსეთში ბევრი წავიდა სამუშაოდ. მათ უკვე რუსეთის მოქალაქეობაც აქვთ მიღებული.

***— რანაირად მიიღეს მათ რუსეთის მოქალაქეობა, ისინი ხომ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ?***

— რუსეთის მოქალაქეობა მათ უპრობლემოდ მიანიჭეს. ეს რუსეთის ინტერესებში შედიოდა. მათ უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი პანკისელი იყოს რუსეთის მოქალაქე. ამ ფაქტორს რუსეთი, ადრე თუ გვიან, გამოიყენებს.

***— თქვენი აზრით, პანკისელების მეშვეობით შეგვიქმნის რუსეთი პანკისში პრობლემებს?***

— რუსეთს პრობლემების შექმნა ჩვენთვის ძალიან მარტივად შეუძლია. დღე და ღამე გაიძახიან, საქართველო ტერორისტებთან თანამშრომლობსო. დღემდე ამტკიცებენ, პანკისი ბოევიკებით არის სავსეო. პანკისის ხეობა რუსულმა ავიაციამ რამდენჯერმე დაბომბა. მერე ყველამ ნახა, რომ პანკისში არანაირი ბოევიკები არ არიან. ამ მიმართულებით რუსეთს ხელები შეეკრა. ახლა ცდილობს სხვანაირად შეგვიქმნას პრობლემები. ის პანკისელები, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობა აქვთ მიღებული, საკუთარ სახლებში ბრუნდებიან. ზოგი აქ რამდენიმე თვე რჩება, ზოგი უფრო მეტი ხნით. მე პანკისელების იმედი მაქვს. ვიცი, რომ ისინი საქართველოს წინააღმდეგ არ წავლენ, თუმცა ვიღაცა მაინც გამოჩნდება ისეთი, ვინც რუსეთის ინტერესებს გაატარებს. ერთ დღესაც ეს ადამიანები აყვირდებიან, რომ საქართველო მათ უფლებებს არღვევს. მოხდება რაიმე ინციდენტი. რუსეთი ადგება და თავისი მოქალაქეების დაცვის მიზნით პანკისში შევა. ამათ ამის გაკეთება არ გაუჭირდებათ. მსოფლიოს ძალიან მკვეთრი რეაქცია ჰქონდა აგვისტოს ომზე, რამაც დიდი შედეგი არ გამოიღო. რუსეთს საქართველო არ დაუტოვებია. უფრო მეტი, ამ რეაქციის მიუხედავად, მათ აფხაზეთი და სამაჩაბლო აღიარეს. რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი და საქართველომ ძალიან უნდა იფრთხილოს. ომის დაწყების შემდეგ საქართველოს ბევრმა ჩეჩენმა შეაფარა თავი. რუსებს დასჭირდათ ჩეჩნების უკან დაბრუნება. რუსული დელეგაციები საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ. ისინი ჩეჩენ ლტოლვილებს ხვდებოდნენ და არწმუნებდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ჩეჩენი ლტოლვილების დიდმა ნაწილმა უარი თქვა ჩეჩნეთში დაბრუნებაზე. იციან, რომ იქ მათ კარგი დღე არ დაადგებათ. ლტოლვილების ნაცვლად ჩეჩნეთში პანკისელი ქისტები დაბრუნდნენ.

***— ისინი რანაირად წავიდნენ?***

— მათ ლტოლვილის სტატუსი მიიღეს და ისე წავიდნენ.

***— ლტოლვილის სტატუსი როგორ მიიღეს?***

— ამაზე ბევრჯერ ატყდა საქართველოში სკანდალი; ამასთან დაკავშირებით არაერთი სიუჟეტი იქნა მომზადებული. ყველამ კარგად იცის, რომ ლტოლვილის სტატუსის ყიდვა 200 დოლარად შეიძლებოდა. აი, ასე იყიდეს ეს სტატუსი და რუსეთში წავიდნენ. ამ ადამიანების დახმარებით რუსეთმა შეიძლება რაიმე პროვოკაცია შეგვიქმნას.

***— ამის თავიდან ასაცილებლად აკეთებს რამეს საქართველოს ხელისუფლება?***

— ამაზე ვერაფერს გეტყვით. მე ხელისუფლებაში არა ვარ და არ ვიცი, ისინი რას აკეთებენ. ისე კი დარწმუნებული ვარ, რომ რაიმე ზომები აუცილებლად იქნება მიღებული. სხვა თუ არაფერი, ჩვენთან კარგად დარწმუნდნენ, რომ რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

***— რა უნდა გააკეთოს საქართველოს ამ პროვოკაციის თავიდან ასარიდებლად?***

— პირველ რიგში, უნდა აღირიცხონ ის ადამიანები, ვინც ამ წლებში რუსეთში წავიდა. ყურადღება უნდა მიექცეს იმათაც, ვინც რუსეთიდან დროებით ჩამოდის. პროვოკაციის თავიდან ასარიდებლად სხვა ზომებიც იქნება საჭირო, რასაც ხელისუფლება აუცილებლად გაატარებს. სიფრთხილის გამოჩენა აუცილებელია. ამის მიუხედავად, ჩვენ ინგუშებს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი არ უნდა ვუთხრათ. ეს რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ მაინც უნდა გავაკეთოთ. პროვოკაცია კი რუსეთმა შეიძლება ამის გარეშეც მოგვიწყოს. ეგენი ისე ვერ ისვენებენ, თუ ვინმეს რამე არ დაუშავეს.

# ავადმყოფ პატიმართან ექიმებს არ უშვებენ

დასაწყისი მე-4 გვერდზე

საქართველოს მთავრობას დაავალა მოეხდინა მსჯავრდებული თორთლაძის სპეციალიზირებულ კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაყვანა. თუმცა, მთავრობას ეს მითითება დღემდე არ შეუსრულებია, — აცხადებენ ადვოკატები.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატები მანანა კობახიძე და ელენე ფილეევა მოუწოდებენ სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს დიმიტრი შაშკინს, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ ერმილე თორთლაძის გადაყვანა სპეციალიზებულ კარდილოგიურ კლინიკაში. ე.წ. ჩაფიძის კლინიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულ პასუხისმგებლობას მსჯავრდებულის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე სწორედ სახელმწიფოს აკისრებენ.

— არაერთი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზით დადასტურდა, რომ ერმილე თორთლაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა. ამდენად, საჭიროა მისი განთავსება იმ პირობებში, რომელიც აუცილებელია მძიმე კარდილოგიური ავადმყოფისთვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია განახორციელოს ევროპის სასამართლოს მითითება, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს და არა სარეკომენდაციო, დღემდე არავითარი ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადაუგდამს. ერმილე თორთლაძე დღემდე იმყოფება პატიმრობაში, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ის არის კოტდიუარის საპატიო გენერალური კონსული საქართველოში. ციხის საავადმყოფოში ასეთი ტიპის ავადმყოფისთვის მინიმალური პირობებიც კი არ არის. ამ დაწესებულებაში არ არის კარდილოგიური სპეციალიზებული განყოფილება. არ არის ის უზრუნველყოფილი 24 საათიანი კარდილოგის მეთვალყურეობით, რაც აუცილებელია ამ პირობებში მყოფი ავადმყოფისთვის. შესაბამისად, მის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უშუალოდ პასუხისმგებელია, რომ განახორციელოს მთავრობის მიმართ ევროპის სასამართლოს მითითებები. ჩვენ მივმართავთ როგორც იუსტიციის სამინისტროს, ასევე დიმტრი შაშკინს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს, რომ უზრუნველყონ ერმილე თორთლაძის გადაყვანა კარდიოლოგიურ კლინიკაში. მთავრობის მიმართ, ევროპის სასამართლოს მესამედ დასჭირდა მსგავსი გადაწყვეტილების მიღება. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა. მანამდე არც ერთ საქმეზე ევროპის სასამართლოს ამგვარი ზომა არ მიუღია. ეს მიუთითებს იმას, რომ საქმე განსაკუთრებით პრიორიტეტულია. საქმე ეხება ადამიანის მიმართ სიცოცხლის უფლების დარღვევის რისკს, რაც დაცული და გარანტირებულია ევროპის კონვენციის მე-2 მუხლით. ასევე საქმე გვაქვს მის მიმართ არაადამიანურ მოპყრობასთან, რადგან ჯერ კიდევ მისი დაკავების დღიდან არ იქნა მიღებული ზომები მისი ჯანმრთელობის დასაცავად, — აცხადებს ადვოკატი მანანა კობახიძე.

ერმილე თორთლაძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დააკავეს საკონსულოს შენობაში 2005 წლის 25 აგვისტოს და ბრალად წაუყენეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება. საქალაქო სასამართლომ მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ერმილე თორთლაძემ ევროსასამართლოს საჩივრით პირველად 2006 წელს მიმართა. ევროპის სასამართლომ კი მის მიმართ ე.წ. დროებითი ზომის ამოქმედებაზე მიუთითა.

— ჩვენ მოვიპოვეთ გერმანიის, ბერლინის კარდიოლოგიური კლინიკიდან ცნობა, აღნიშნულ კლინიკაში წარდგენილი იქნა ყველა სამედიცინო ცნობა, რომელიც ასახავდა ერმილე თორთლაძის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას. ამ კლინიკიდან მოვიდა ინფორმაცია, რომელიც დაადასტურა ერმილე თორთლაძის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის აუცილებელია გულზე კარდიოქირურგიული ჩარევა, ოპერაცია, რომლის ღირებულებაც 260 ათასი ევროა დაახლოებით. სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს ასეთი ძვირად ღირებული ოპერაციის ჩატარებას, აქედან გამომდინარე ერთადერთი გამოსავალი არის ან მის მიმართ სასჯელის გადავადების ზომის გამოყენება, რაც შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსის 607-ე მუხლით, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლდება სასჯელის დარჩენილი ნაწილისაგან. ეს არის 608-ე მუხლით გათავისუფლებული პროცედურა. მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი პროცედურები უკვე გამოყენებულ იქნა რამდენიმე მსჯავრდებულის მიმართ. თორთლაძის შემთხვევაში სახელმწიფო გაუმართლებლად არ ახორციელებს ამ ზომას. ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ ერმილე თორთლაძე, მისი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ მას ესაჭიროება კარდიოქირურგიული ოპერაცია დაუყოვნებლივ დაექვემდებაროს პროცედურას, რასაც სასჯელის მოხდის გადავადება ჰქვია. ამის უფლება აქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. ადვოკატების მიერ არაერთხელ იქნა ასეთი შუამდგომლობა დაყენებული სასამართლოს წინაშე. არც ერთ ეტაპზე მსგავსი შუამდგომლობა არ ყოფილა დაკმაყოფილებული, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სამედიცინო დოკუმენტი სახეზე იყო. გაუმართლებელია ია უმოქმედობა, რასაც სახელმწიფო ახორციელებს ამ შემთხვევაში. ევროპის კონვენციას ძალიან უხეშად არღვევს საქართველოს მთავრობა, რაზეც პასუხს აგებს ამისთვის, — განაცხადა პრესკონფერენციაზე მანანა კობახიძემ.

# გრიგოლ ვაშაძეს რუსებისთვის პასპორტი არ დაუბრუნებია

## ქიპაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრს უნდობლობას უცხადებს

**რამდენიმე დღის წინ რუს ექსპერტებს, მოსკოვის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრ ნიკოლაი სილაევს, რუსეთის ფედერაციის არქივის დირექტორ სერგეი მირონენკოსა და მათთან ერთად კიდევ სამ ექსპერტს საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვათ. ხელისუფლების წარმომადგენლები ტელეეკრანებიდან, ტრადიციულად, ქკვიანური და, ამავე დროს, შეშფოთებული სახეებით გვიხსნიდნენ, რომ ამ ადამიანებს რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურთან ჰქონდათ კავშირი. საინტერესოა, ისინი, ვინც ასეთ სალ აზრებს აფრქვევდნენ, დარწმუნებული არიან, რომ ხელისუფლების ნებისმიერი წევრი ამ ტესტირებას წარმატებით გაართმევდა თავს? მოკლედ, ვერაფერს იტყვი, ერთი შეხედვით, არგუმენტი საკმაოდ მყარი და მარტივად გასაგებია. ეთანხმება თუ არა ამ მოსაზრებას პოლიტოლოგი ჰამლეტ ქიპაშვილი, ხელისუფლების შემდეგ კიდევ ვის ეკისრება ამ გამოხდომებზე პასუხისმგებლობა, ამ და სხვა საკითხებზე ქიპაშვილი „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.**



შორენა გონგლაძე

***— ბატონო ჰამლეტ, რამდენად მყარი იყო ის არგუმენტები, რომლებიც ხელისუფლებამ რუს ექსპერტებს წაუყენა?***

— ეს არის ძალიან გაუმართლებელი რამ, სხვა სიტყვებიც შეიძლება მოვძებნოთ, მაგრამ ასეთი მოქმედება ნამდვილად არ შეუწყობს ხელს მომავალში რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. მე არ მიკვირს ამ ხელისუფლების, იმიტომ, რომ მისმა წარმომადგენელმა, პატივცემულმა იაკობაშვილმა, რომელსაც ჯერჯერობით მინისტრი ჰქვია, განაცხადა — იმის ნაცვლად, რომ რუსებმა აქ პროფესორები გამოგვიგზავნონ, უკეთესი იქნება, ჯერ ტერიტორიები დაგვიბრუნონ და მერე ვილაპარაკოთო. ასეთი პრიმიტიული ვაჭრობა აბსოლუტურად მიუღებელია, ყოველ შემთხვევაში, მინისტრის მხრიდან ეს ალმაშფოთებელია, განა იმიტომ, რომ, ვთქვათ, რუსს ტერიტორიები დასაბრუნებელი არ აქვს, იმიტომ, რომ მინისტრი ასე პრიმიტიულად არ უნდა აზროვნებდეს და მით უმეტეს საჯაროდ არ უნდა აკეთებდეს ასეთ დემაგოგიურ და მიუღებელ განცხადებას. მინაშვილი — არის ასეთი, აკოს რომ ეძახიან. ის ცნობილია თავისი დეგენერატიზმებით და ამ შემთხვევაშიც მან ზეცაში აიყვანა თავისი აზროვნება დეგენერატობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ეს პროფესორები თურმე პუტინის მიერ არიან გამოგზავნილი. ჯერ ერთი, რა შუაშია აქ პუტინი, მეორეც, მოსკოვის საერთაშორისო ინსტიტუტის პროფესორები თუ ფეესბეს თანამშრომლებიც იყვნენ, ჩემთვის პირველად გახდა ცნობილი. მე ამ ინსტიტუტს საკმაოდ კარგად ვიცნობ და მინდა გითხრათ, რომ ასეთი განცხადებების გაკეთება ნამდვილად არ შეშვენის პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს. მაგრამ ყველაფერი იწყება იქიდან, რომ თვითონ მინისტრმა, რომელიც ჯერჯერობით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია და, იმავდროულად, არის რუსეთის მოქალაქე, მე არ მჯერა, რომ მან გაგზავნა პასპორტი და ითხოვა მოქალაქეობიდან გამოსვლა. ეს კაცი ამბობს, რომ ქართველმა უნდა დაივიწყოს რუსი, ანუ საქართველომ უნდა დაივიწყოს რუსეთი. თქვენ წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს ეს სისულელე, რომელსაც აფრქვევს მინისტრი. ეს მინისტრისთვის ნიშნავს იმას, რომ მას უნდა, ძალიან დიდხანს შეინარჩუნოს ეს თანამდებობა და მეტი არაფერი, თორემ ასეთი სულელური განცხადება მინისტრმა არ უნდა გააკეთოს, მით უმეტეს ამ ქვეყანასთან ჩვენ ორ საუკუნეზე მეტი ურთიერთობა გვაქვს და მეორეც, ვერავითარი ტერიტორიული საკითხები ვერ მოგვარდება ვერც ნატოთი, ვერც ამერიკით, ვერც ევროპით, თუ ეს არ იქნა რუსის კეთილი ნებით, ანუ დაივიწყეთ, ქართველებო, რუსეთი, ნიშნავს, დაივიწყეთ, ქართველებო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ასე რომ, როდესაც თბილისში ჩამოსულებს ამოჰკრეს ჭიტლაყი და გააგდეს უკან, ეს არის აშკარად მიუღებელი რამ, მაგრამ ამას წინ უძღოდა მთელი რიგი განცხადებები და ის მძიმე ურთიერთობა, რომელიც არსებობს ამ ორ ქვეყანას შორის. გარდა ამისა, მე არ შემიძლია, საყვედური არ ვუთხრა იმ ქართველებს, ე.წ. პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს ამ რუსი ექსპერტების მოწვევა. ჯერ ერთი, შე მამაცხონებულო, ხომ უნდა იცოდე, სად იწვევ და რა სიტუაციაა ამ ქვეყანაში, მით უმეტეს, მანამდე ასეთ არაერთ გამოხდომას ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან ადგილი, როდესაც არ შემოუშვეს სხვა ექსპერტებიც. ასე რომ, იმ ქართველ ექსპერტთა გასაგონად ვიტყოდი, რომ როდესაც არ შეგიძლია უზრუნველყოფა ვინმეს მოწვევის, არ უნდა მოიწვიო და არ უნდა ჩაიგდო საკუთარი თავი უხერხულ მდგომარეობაში და, რაც მთავარია, არ უნდა ჩააყენო უხერხულ მდგომარეობაში ის ადამიანი, რომელსაც იწვევ, მეორეც, გასაკვირია ერთი რამ — ქართველი ექსპერტები, რომლებიც იწვევდნენ ამ რუს ექსპერტებს, ისე დაფრთხნენ ხელისუფლების მიერ გაკეთებული ანტირუსული განცხადებების შემდეგ, რომ ყველა ბუჩქებში შეძვრა? არც ერთს პროტესტი არ გამოუხატავს. განსაკუთრებით ყბა ჰქონდა ჩამოვარდნილი გოგი ხუციშვილს, ორი სიტყვა თქვა და თავისი ბლუყუნა აზრებით ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგო, რა თქვა, პროტესტს უცხადებს თუ რა იყო. ანალოგიური იყო მეორე „დიდი“ ექსპერტის, ზურაბ აბაშიძის, რომელიც, ვერ გავიგე, რა სახის განცხადება გააკეთა, ანუ მე მინდა ვთქვა, რომ ესენიც ვერ არიან თავიანთ ჭკუაზე, მხედველობაში მყავს ჩვენი ექსპერტები, როდესაც ასეთ სარისკო ნაბიჯს დგამენ. გარდა ამისა, ძალიან მაინტერესებს, რა არის სალაპარაკო რუსთან. რუსთან ამ ეტაპზე სალაპარაკო არაფერი მაქვს. ქართველ ექსპერტებში, ათ კაცში ვერ ნახავთ აზრების დამთხვევას. ზოგი საქართველოს ფედერალიზაციაზე ლაპარაკობს, ზოგი — კონფედერაციაზე, უმეტესობა — უნიტარულ მმართველობაზე. გამოდის გოგი ხუციშვილი და ამბობს, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიხსნას ლარსის საზღვარი. ეს მამაცხონებულები, რატომ არ უნდა გაიხსნას?! თქმა იმისა, რომ ამით თურმე სერიოზულ საფრთხეს მივაყენებთ იმ რეგიონს, რომ თურმე მათზე დიდი ხანია თვალი უჭირავს ჩრდილოეთ ოსეთს, ამას ეს მამაცხონებული ამბობს და მეორე დღეს იწვევს რუს სპეციალისტებს, რაზე უნდა ელაპარაკო, რა გაქვს შენ რუსთან სალაპარაკო, შენ თვითონ ვერ გარკვეულხარ შენს ქვეყანაში, შენ თვითონ არ იცი, რა გინდა, ერთმანეთს ჩვენი ექსპერტები ტკბილ სიტყვებს ეუბნებიან და ზურგს უკან ერთმანეთს ხანჯალს სცემენ. მე ძალიან მაინტერესებს, რა აზრი აქვს ასეთ მოწვევას, როდესაც ორი კაცი შეხვდება საქართველოში ამ ექსპერტს და დანარჩენები საერთოდ არ არიან გაგებაში, რა ხდება, არც აინტერესებთ, წარმოდგენაც არ აქვთ საქართველოს ხვალინდელ დღეზე და ასეთი ჩამოსვლები მოსკოვიდან არის მხოლოდ საპიარო ღონისძიება და მეტი არაფერი. ამიტომ ჩვენს ექსპერტებს მე ვურჩევდი, შეეშვან პიარს, დემაგოგიას და სერიოზულად იფიქრონ საქართველოს ხვალინდელ დღეზე, რომელიც ურუსეთოდ ფაქტიურად წარმოუდგენელია.

***— მოდით, თუნდაც ერთი წუთით დავუშვათ, რომ ის ადამიანები მართლაც თანამშრომლობდნენ რუსეთის უშიშროებასთან, თუნდაც ამ შემთხვევაში, ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ რუსეთის მხრიდან არის მცდელობა, ნაბიჯი გადაიდგას ურთიერთობების შეცვლისკენ?***

— დავუშვათ, რომ ესენი ფეესბეს თანამშრომლები არიან, რაშიც ძალიან დიდი ეჭვი მეპარება. თუ მართლაც ასეა, მაშინ რუსეთს თურმე სურვილი ჰქონია, რომ საქართველოსთან დაიწყოს რაღაც ურთიერთობა და შენ ამას ეწინააღმდეგები, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრს, რუსეთის მოქალაქეს, პატივცემულ ვაშაძეს აქვს ისეთი აზრი, რომ საქართველომ რუსეთი უნდა დაივიწყოს, მას სულ ფეხებზე ჰკიდია რუსეთთან ურთიერთობა, ისევე, როგორც ამ ხელისუფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთოდ ფეხებზე ჰკიდიათ საქართველო, ოღონდ თვითონ ისხდნენ დიდხანს იმ სკამებზე და საქართველო დარჩება თუ არა თუნდაც ამ დარჩენილ საზღვრებში, ესეც ფეხებზე ჰკიდიათ.

## გაყალბებული არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ

„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი ირაკლი ალასანია დარწმუნებულია, რომ უახლოეს არჩევნებზე საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალური ზედამხედველობა იქნება და გაყალბებული არჩევნების შედეგების აღიარება არ მოხდება.

არჩევნებზემოქალაქეების ხმების დაცვაზე ირაკლი ალასანიამ გუშინ „კიკვიძის ბაღში“, ამავე რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრისას ისაუბრა. ალასანიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ხელისუფლების მხოლოდ არჩევნების გზით შეცვლის აუცილებლობას და განაცხადა, რომ ქვეყანა 90-ან წლებში არ უნდა დაბრუნდეს და სამოქალაქო დაპირისიება პოლიტიკურმა ძალებმა არ უნდა დაუშვან.

ირაკლი ალასანია დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ქვეყნის დემოკრატიულობის ტესტია და საერთაშორისო საზოგადოებაც უფრო აქტიური იქნება.

ალასანიამ საარჩევნო კანონმდებლობაზეც გაამახვილა ყურადღება და ხაზგასმით განაცხადა, რომ მართალია იდეალური საარჩევნო გარემოს შექმნა შეუძლებელია, მაგრამ უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ამომრჩევლის ხმა მაქსიმალურად იქნება დაცული. მისივე თქმით, ალიანსი ამ მიმართულებით მუშაობას კვლავ გააგრძელებს.

**ინტერპრესნიუსი**

## აფხაზეთის მოქალაქეობის პასპორტი უკვე მოსახლეობის 90%-მა მიიღო

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საპასპორტო განყოფილების ხელმძღვანელის განცხადებით, აფხაზეთის მოქალაქეობის რუსეთში დამზადებული პასპორტი უკვე მოსახლეობის 90%-მა მიიღო.

მისივე თქმით, მასობრივი პასპორტიზაცია აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ხორციელდება და აფხაზეთის მოსახლეობაზე სულ 146 ათას 121 პასპორტია გაცემული.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა 4 დეკემბერს გალში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ აფხაზეთში პასპორტიზაციის პროცესი შეჩერებული და ეს მისი სურვილით მოხდა, რათა კონკურენტებს არ ეთქვათ, ბაღაფში გალელების სიძეა და მათი ხმების იმედი აქვსო.

შეგახსენებთ, რომ სოხუმის რეჟიმის ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით, ხმის მიცემა მხოლოდ აფხაზური პასპორტის მქონე ადამიანს შეუძლია.

ცნობისთვის, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში 12 დეკემბერსაა დაგეგმილი.

**პირველი**

## პოლიციამ ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი დააკავა

საპატრულო პოლიციამ გუშინ ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი დააკავა. მას 15 დღიანი პატიმრობა უკვე შეეფარდა და დროებითი დაკავების მეორე იზოლატორშია გადაყვანილი.

როგორც „მედიანიუსს“ დაკავებულის ადვოკატმა ქეთი ბექაურმა აცნობა, ქართლოს ღარიბაშვილი თამარ მეფის გამზირზე მანქანით გადაადილდებოდა, როცა საპატრულო პოლიციამ გააჩერა და ადმინისტრაციული გადაცდომაში დაადანაშაულა.

— ღარიბაშვილმა უბრალოდ, ჯარიმა გააპროტესტა და პოლიციას აუხსნა, რომ მოძრაობის წესები არ დაურღვევია, რის გამოც, პატრულმა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და შეურაცხყოფის მიყენებაში დაადანაშაულა. კანონის მიხედვით, ადვოკატებს უფლება გვაქვს ღარიბაშვილის დაკავება 10 დღის ვადაში გავასაჩივროდ. საჩივრის შეტანას დღესვე ვგეგმავთ. მოვითხოვთ გადაისინჯოს ის ბრალდება, რის გამოც ღარიბაშვილი დააკავეს, — განუცხადა „მედიანიუსს“ ქეთი ბექაურმა.

**მედიანიუსი**

## კონფლიქტების გაშუქების სკოლა დაარსდა

კონფლიქტურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტები თავდაცვის სფეროში სპეციალიზებულ კურსს გაივლიან. კონფლიქტების გაშუქების სკოლა, სადაც ჟურნალისტები მოემზადებიან, გუშინ გაიხსნა.

სპეციალიზებული კურსი მონაწილეებს საგანგებო სიტუაციების გაშუქებისთვის საჭირო ცოდნის შეძენასთან ერთად კრიზისულ ვითარებაში მუშაობისთვის აუცილებელი უნარჩვევების გამომუშავებაშიც დაეხმარება. ექვსი სატელევიზიო ჯგუფი საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში გაივლის სწავლებას.

სკოლის გახსნა თავდაცვის სამინისტროს და ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებული პროექტის „ხიდების აგება კავშირების გაღრმავება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში ხორციელდება.

სკოლის გახსნის ცერემონიას, ესწრებოდნენ როგორც თავდაცვის სამინისტროს, ისე ინსტიტუტის წარმომადგენლები და ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დენის კიფი.

თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსის სალომე მახარაძის თქმით, ეს იქნება ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის სკოლა. “აქ ვისწავლით, როგორ შევუწყოთ ერთმანეთს ხელი; არ არის საკმარისი ცალკეული პროფესიონალიზმი იმისთვის, რომ ყველაფერი მშვიდობიანად და კარგად დასრულდეს მაშინ, როდესაც ვაშუქებთ სამშვიდობო მისიებს, კონფლიქტებს, სხვადასხვა სახის დაძაბულ და საგანგებო მდგომარეობებს, აუცილებელია, რომ ვიცოდეთ როგორ არ შევუშალოთ ხელი ერთმანეთს და ასევე ის თუ როგორ დავეხმაროთ ერთმანეთს ჟურნალისტებიც და სამხედროებიც,“ — განაცხადა სალომე მახარაძემ.

კონფლიქტების გაშუქების სკოლაში კურსანტები ასევე შეისწავლიან სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვის საკითხებს, ბრძოლის ველზე პირველადი სამედიცინო დახმარების წესებს და სხვა.

ჟურნალისტებთან იმუშავებს ფსიქოლოგი, რომელიც მათ კრიზისულ ვითარებაში მუშაობისთვის აუცილებელი უნარჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება. “ეს ერთობლივი ინიციატივა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გაჩნდა, სადაც დაიღუპა რამდენიმე ჟურნალისტი და ჩვენ გადავწყვიტეთ გავაკეთოთ ყველაფერი, რომ იყოს რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი საომარი მოქმედებების შემთხვევაში,“ — აღნიშნა ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის რეგიონის დირექტორმა შორენა რატიანმა.

**მედიანიუსი**

# რუსული ტელეარხები დააჯარიმეს

გერა მამულაშვილი

**ჯომუნიჯაციების ეიოვნულმა ჯომისიამ საქაითველოს თანხმობის გაიეშე აფხაზეთისა ღა სამაჩაბლოს ტეიიტოიიებზე მაუწყებლობისთვის იამღენიმე იუსული ტელეაიხი ღააჯაიიმა.**

ეს საქართველოში რუსული ტელეარხებისადმი საჯარიმო სანქციების გამოყენების პირველი შემთხვევა ნამდვილად არ არის. მიმდინარე წლის აგვისტოში ტელეკომპანიები „ენტევე“, „ტევე-ცენტრი“, „როსია“ და „კულტურა“ უკვე დაუსწრებლად იყვნენ დაჯარიმებულნი 50 ათასი ლარით (დაახლოებით 30 ათასი დოლარი).

მაშინ კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ მათ შესაბამისი ნებართვის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობის დაუყოვნებლივი შეწყვეტა მოსთხოვა.

მაშინ ეროვნული კომისიის მითითება არ შეასრულეს, ამიტომ ამჟამად თითოეული 500 ათასი ლარით (დაახლოებით 300 ათასი დოლარით) არიან დაჯარიმებულნი.

მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით, „პირველმა არხმა“, „ენტევემ“, „ტევე-ცენტრმა“, „როსიამ“ და „კულტურამ“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144-ე მუხლის პირველი პრიმა მუხლი დაარღვიეს (მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის გარეშე მოღვაწეობა), ასევე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის მეექვსე მუხლი (ეკონომიკური მოღვაწეობის შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე).

რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზია „პირველი არხისთვის“ ჯარიმის მოცულობა, რომელსაც ჯარიმას აქამდე უკვე ორჯერ ადებდნენ — 1 მილიონ ლარს (დაახლოებით 600 მილიონ დოლარს შეადგენს), — აღნიშნავს „ნიუსინფო“.

შეგახსენებთ, რომ სექტემბერში რუსულ კომპანია „მეგაფონს“ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოღვაწეობისთვის 600 ათასი დოლარის ჯარიმა დააკისრეს; ამის შესახებ განცხადება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გააკეთა.

თბილისმა „მეგაფონი“ ქვეყნის „საერთო ადმინისტრაციული კოდექსის“ უხეშ დარღვევაში დაადანაშაულა. მარეგულირებელ კომისიაში განაცხადეს, რომ „კომპანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არალეგალურად მოქმედებს“.

ამასობაში საქართველოს კანონი „ოკუპაციის შესახებ“ კერძო კომპანიებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყველა სახის კომერციულ მოღვაწეობას უკრძალავს. გასულ წელს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მაუწყებლობისთვის ასევე დააჯარიმა რუსული რადიოარხები — „ვესტი ეფემი“ და „პირველი არხი“.

# რუსეთმა საქართველოზე ძალიან მაღალი ფსონები დადო

## ლარსის გახსნა მოსკოვის ინტერესებშია

**ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან მიმართებით არსებულ ორმაგ სტანდარტებთან დაკავშირებით არაერთი ოპოზიციონერი თუ ექსპერტი საუბრობს, რომლებსაც უკვირთ, რატომ აქვს რუსულ ბიზნესს ფართოდ გაღებული კარი ოკუპაციის შემდგომაც და რატომ არ შემოუშვეს რუსი მეცნიერ-ექსპერტები საქართველოში ამ ცოტა ხნის წინ. ეს ფაქტი სხვადასხვაგვარად შეფასდა. ექსპერტი არჩილ გეგეში ე თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს გათვლილი ნაბიჯები, ანუ არ არსებობს ხედვა და სტრატეგია, როგორი ნაბიჯები უნდა გადაიდგას რუსეთთან დაკავშირებით.**

შორენა კოწოწაშვილი

რატომ არ შემოუშვეს რუსი მეცნიერები საქართველოში, რამდენად სწორია საერთაშორისო არენაზე სააკაშვილის ხელისუფლების ნაბიჯები და არის თუ არა დღეს ოპოზიცია მართლაც სუსტი? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ არჩილ გეგეშიძესთან.

***— ბატონო არჩილ, ფაქტია, დღეს ოპოზიცია ძირითადად ადგილობრივ არჩევნებზეა გადართული. ამ ფონზე რამდენად მწვავე საკითხები რჩება ოპოზიციის ყურადღების მიღმა და რაზე უნდა გაამახვილოს მან მაქსიმალური ყურადღება, აგრეთვე, რა საკითხებია ხელისუფლების მიერ ფაქტობრივად იგნორირებული საერთაშორისო დონეზე?***

— მე ვფიქრობ, საერთაშორისო კუთხით ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური პრობლემის, რუსეთთან ურთიერთობის მიმართულებით ჩვენს ხელისუფლებას მართებს ერთგვარი ხედვის ანუ სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც, სამწუხაროდ, არ ჩანს. თითქოს ხელისუფლების პოზიცია ჩანს, რომელიც ნიშნავს, რომ ოკუპანტთან არანაირი დიალოგი არ შეიძლება არსებობდეს, ამ შემთხვევაში მე ოფიციალურ დონეზე მაქვს საუბარი სამთავრობოთაშორისო ურთიერთობებზე. ეს გასაგებია და ლოგიკური, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას გააჩნია ერთგვარი ხედვა არა მარტო დღევანდელი, არამედ ხვალინდელი დღისაც, თუ როგორ უნდა შეეგუოს ან არ შეეგუოს რუსეთთან ასეთ რთულ ვითარებას, რომელიც, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის არასახარბიელოა. კი, ზემოთ აღნიშნულ არგუმენტს ლოგიკა აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანას აქვს მოქნილი, შორსმჭვრეტელი და ყველა ასპექტის მომცველი ხედვა რუსეთთან ურთიერთობებისა. მაგალითად, თუნდაც ბოლო ფაქტი ავიღოთ, რომელიც რუსი ექსპერტების, მეცნიერების საქართველოს ტერიტორიაზე არშემოშვებას შეეხებოდა. აქ ჩვენ მაინცდამაინც ყოვლისმომცველი კი არა, საერთოდაც რაიმე ისეთი სერიოზული განმარტება ხელისუფლების მხრიდან არ მოგვისმენია, თუ რატომ გაკეთდა ეს. არადა, ამ პიროვნებების ვიზიტის შესახებ დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. ამის თაობაზე მასმედიითაც იყო მსჯელობა. ყველამ იცოდა ამ ვიზიტის შესახებ და ყველა ელოდა, მაგრამ ბოლო მომენტში რამდენიმე პიროვნება არ შემოუშვეს საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ორი თვით ადრე უკვე იმყოფებოდა აქ. ასეთი ქცევა, რომელსაც არანაირი განმარტება არ მოჰყვება, ბადებს ეჭვს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული ხედვა არ გააჩნია რუსეთთან ურთიერთობისა. ამ კითხვას ბადებს თუნდაც იმ პიროვნების ორი თვით ადრე შემოშვების ფაქტი, რომელიც ახლა ჩვენმა ხელისუფლებამ ამ მეცნიერებთან ერთად უკან გააბრუნა. ამ კითხვას ბადებს თუნდაც ის, რომ რუსულ ბიზნესს საქართველოში მწვანე შუქი აქვს ანთებული და ამის ფონზე არ უშვებენ მეცნიერ-ექსპერტებს. ამ კითხვას ბადებს ის, რომ რუსეთის ესტრადის ვარსკვლავებს უშვებენ საქართველოში და ექსპერტებს — არა. იცით, რომ სწორედ იმ დღეებში იმყოფებოდა საქართველოში პოპულარული რუსი მომღერალი, ტიმატი. ამ ფონზე ცოტა უცნაურად ჩანს, რატომ არ შემოუშვეს რუსეთიდან ექსპერტები და მეცნიერები. თუკი რუსეთი ეძებს რალაც სვლებსა და კონტაქტებს საქართველოსთან და ამის დაშვება არ შეიძლება, იმიტომ რომ მას ოკუპირებული აქვს ტერიტორიები, მაშინ ბიზნესის, ინვესტიციების შემოშვებით რატომ ვაძლევთ მას ასეთი კონტაქტების დამყარების საშუალებას?! ეს შეიძლება ერთი დეტალია, მაგრამ ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მოქნილობა და შორსმჭვრეტელობა აკლია საქართველოს ხელისუფლების პოზიციას რუსეთთან ურთიერთობაში. ფაქტია, რომ საქართველოს მხრიდან არ არის ჩამოყალიბებული მწყობრი ხედვა და პოზიცია. ფაქტებზე სპონტანური რეაგირებები ხდება, ცოტა გაუგებარი და ცოტა გაუთვლელიც. ეს ბადებს სწორედ იმ ეჭვს, რომ ჩვენ არა გვაქვს ასეთი ხედვა და, შესაბამისად, გრძელვადიანი სტრატეგია. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ დღეს საუბარია ლარსის საბაჟო პუნქტის გახსნაზე. იმავე ლოგიკით, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, როგორ შეიძლება, ოკუპანტთან საზღვარი გახსნა, ამისთვის მოემზადო და დაელოდო, იქითა მხარე როდის წამოვა შემხვედრი წინადადებით.



***— რადგან ლარსი ახსენეთ, ოპოზიციის ნაწილს აინტერესებს, მაინცდამაინც სომხებისთვის რატომ იხსნება ლარსი?***

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ლარსის გახსნა სომხეთის ინტერესშია. ცხადია, ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის გასხნა რუსეთის ინტერესშიც არის, იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, რუსეთი შესაძლოა ცდილობდეს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ რაღაც გარკვეული სვლების გაკეთებას საქართველოსთან მიმართებით. ერთ-ერთი ასეთი სვლა შეიძლება იყოს ლარსის გამშვები პუნქტის გახსნის თაობაზე თანხმობის განცხადება. რაში აწყობს ეს ყველაფერი საქართველოს, ცალკე განხილვის თემაა. ერთი — შესაძლოა, მართლაც ანგარიშს უწევს სომხეთის ინტერესებს, მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველო შეასრულებს სატრანზიტო ხიდის როლს და შესაძლოა აქედან გარკვეული ფინანსური შევსება ჰქონდეს საქართველოს ბიუჯეტსაც სატრანზიტო გადაზიდვების სახით. თუმცა, სატრანზიტო ფუნქციას საქართველო ისედაც ასრულებს. რუსეთიდან საქართველოზე გავლით სომხეთში მიდის ბუნებრივი აირი, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია საავტომობილო მიმოსვლაზე. მინდა გითხრათ, რომ ამ გზას საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი სარგებლობა არ აქვს. მაგრამ ამას პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით უნდა შევხედოთ. აქედან გამომდინარე, ჩაიწერა ამ გადასასვლელი პუნქტის გახსნა. მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება სწორია, მაგრამ ცოტა უცნაურია, იმ ფონზე, როცა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რამდენიმე დღის წინ არ შემოუშვეს რუსეთიდან ექსპერტ-მეცნიერები, რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ საქართველოს პოზიცია წინააღმდეგობრივია და არ არის მოქნილი, შორსმჭვრეტელური.

***— ბატონო არჩილ, ხელისუფლება მუდმივად აცხადებს, რომ რუსეთს ნიღაბი ჩამოხსნა და ა.შ. ამ ფონზე სააკაშვილი წარმატებულს უწოდებს ქართულ დიპლომატიას. რამდენად წარმატებული გამოდგა რეალურად რევოლუციური ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკა და დიპლომატიური ნაბიჯები?***

— რუსეთს მაინცდამაინც არ სჭირდებოდა ნიღბის ჩამოხსნა, ისედაც უნდა დანახულიყო ეს შეუიარაღებელი თვალით, მაგრამ, ვინც ამას ვერ ამჩნევდა, ეს საქართველოსთან ომის შედეგად კარგად გამოჩნდა. თუმცა ეს არ არის ქართული დიპლომატიის წარმატების შედეგი. ზოგი ჭირი მარგებელიას პრინციპით ყველამ დაინახა, რუსეთი ვინ არის, მაგრამ ეს ყველაფერი საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიების ოკუპაციის ხარჯზე მოხდა. ამიტომ ქართული დიპლომატიის წარმატებასა და რაიმე გამარჯვებაზე ლაპარაკი ზედმეტია. შესაძლოა საინფორმაციაო პაექრობაში, პროპაგანდისტულ ომში ქართულ მხარეს ჰქონდეს ცალკეული ტაქტიკური გამარჯვებები, მაგრამ, რაც შეეხება სტრატეგიულ გამარჯვებას, ეს ჯერ კიდევ წინ არის, ანუ ჯერ კიდევ მოსაპოვებელია. ამისთვის საქართველოს ხელისუფლებას ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება არა მხოლოდ დიპლომატიის, არამედ, ზოგადად, მთელი ქართული სახელმწიფოს კუთხით. ერთი ცალკე აღებული დიპლომატია ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტს.

***— რამდენად წარმატებული იყო საერთაშორისო დონეზე საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები? ხელისუფლება მუდმივად აფიქსირებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და მაღალი დონის შეხვედრებზე საქართველოს პოზიციები და ინტერესები მუდმივად გაზიარებულია და ა.შ. რა რეალობის წინაშე დგას დღეისათვის ქვეყანა?***

— ოკუპაციის შემდგომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა შენარჩუნებულია. ეს ფაქტია. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლება ნაბიჯებს რომ დგამს, ესეც ფაქტია და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ამ კონფლიქტური რეგიონების არცნობის პოლიტიკა და პოზიცია საერთაშორისო თანამეგობრობაში შენარჩუნდეს. ეს რაღაცნაირად არის ჩვენი სამომავლო გარანტია იმისა, რომ როცა იქნება ვთქვათ, თუკი მოხდება სხვადასხვა ხელისაყრელი პირობის დამთხვევა, შეიძლება მერე აღვიდგინოთ ქვეყნის გამთლიანების შანსი, მაგრამ ამისთვის აუცილებელი პირობაა, შენარჩუნდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაღიარების პოლიტიკა. ამისთვის საქართველოს ხელისუფლება დგამს ნაბიჯებს და, ჯერჯერობით, არაღიარების პოლიტიკაში წარმატებას აღწევს.

# აფხაზეთში არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო ხდება

**12 დეკემბერს აფხაზეთში მორიგი „საპრეზიდენტო არჩევნები" ჩატარდება. ოფიციალური თბილისი კენჭისყრას არ აღიარებს და საერთაშორისო თანამეგობრობასაც მოუწოდებს, იგივე პოზიცია დაიკავოს. სოხუმის მარიონეტული ხელისუფლება კი მომავალი კენჭისყრის „განსაკუთრებულ დატვირთვაზე" საუბრობს, რადგან მისი „დამოუკიდებლობა" რუსეთმა, ვენესუელამ და ნიკარაგუამ „აღიარეს".**

გვრა მამულაშვილი

თუ რას წარმოადგენს მორიგი აფხაზური ფარსი არჩევნებად წოდებული, ამაზე „ახალი თაობა" „ექსპერტთა კლუბის" პრეზიდენტის, **ლევან კიკნაძის** ანალიზს გთავაზობთ.

**ლევან კიკნაძე:**

— მიუხედავად იმისა, რომ არალეგიტიმურად ვცნობთ აფხაზეთის მარიონეტულ ხელისუფლებას და მათ მიერ ჩატარებულ ნებისმიერ არჩევნებს, მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ, საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით აფხაზეთის მცხოვრებლებს, ისევე, როგორც ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ხალხს, განვუმარტოთ სეპარატისტული რეჟიმის თუ რუსი ოკუპანტების ერთობლივი „მოღვაწეობის" არსი, მათი მიზნები და ზრახვები.

***— პირველ რიგში, რაზე გაამახვილებთ ყურადღებას?***

— აფხაზეთის დღევანდელი მილიტარისტული ხელისუფლება განაგრძობს იმ მითებით ცხოვრებას, რომლებიც ჯერ კიდევ არძინბამ თავისი მხარდამჭერებისთვის შექმნა. სიახლე მხოლოდ ისაა, რომ სეპარატისტების ცნობიერებაში მყარად იმკვიდრებს ადგილს „დამოუკიდებელი აფხაზეთის" ახდენილი ოცნება, რომლისთვისაც ჯერ კიდევ მათი მამამთავრები „იღწვოდნენ" საბჭოთა იმპერიის შექმნის დღიდან.

***— ენგურს გაღმა ჯერ კიდევ „აღიარების" ეიფორიაში არიან?***

— რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ შექმნილი ეიფორია თანდათან ქრება და პრაგმატულად მოაზროვნე აფხაზი ინტელიგენციის ნაწილში უიმედობა ისადგურებს.

***— ნუთუ იმისთვის ვიბრძოდით, რომ ჩვენი პატრონი რუსი გამხდარიყო?***

— არცთუ იშვიათად გაიგონებთ მათგან.

***— რა ნაბიჯებით დაიწყეს სეპარატისტებმა „დამოუკიდებლობის" მშენებლობა?***

— ბაღაფშმა და მისმა მხარდამჭერებმა „დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს" მშენებლობა იმით დაიწყეს, რომ მთელ ეკონომიკურ ბერკეტებს რუსეთს უთმობენ. ამავე დროს არც საკუთარი თავი ავიწყდებათ და კანონების საკუთარ თავზე მორგებით მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რაც შეიძლება მეტად გაიხანგრძლივონ ხელისუფლების სათავეში ყოფნა.

***— რამდენად გამოსდით ეს?***

— მართალია, ზოგი არ გამოუდით, მაგრამ ხელისუფლებაში დარჩენის იმედს მაინც არ კარგავენ. შეესაბამება თუ არა ადამიანთა უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს „კანონის" ძალის მქონე გადაწყვეტილებები, ნაკლებად აღელვებთ. სხვათა შორის, ხსენებული კანონების მართლზომიერებაზე არც ოპოზიცია იკლავს თავს. უფრო მეტიც, ოპოზიციის ზეწოლით — „დამოუკიდებელი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის" საბაბით, ხმის უფლება ჩამოერთვა ეთნიკური ქართველებით დასახლებულ თითქმის მთელ რეგიონს.

საინტერესოა, აფხაზეთის ამომრჩეველთა ლიგის „პატიოსანი არჩევნებისთვის" მოსაზრება „პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" კანონში იმ ცვლილებაზე, რომლის თანახმად ხმის მიცემისთვის ერთ-ერთ დოკუმენტს წარმოადგენს ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი; რომელშიც მე-17 გვერდზე გაკეთდება აღნიშვნა საარჩევნო კომისიის წევრის მიერ და დადასტურდება ბეჭდით. აღნიშნული „ლიგა" წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს ამ და სხვა ცვლილებებს, რომლებიც თითქოსდა უზრუნველყოფს არჩევნების გამჭვირვალობას.

ამომრჩეველთა „ლიგის" მიერ ასევე დადებითად შეფასდა ცვლილება, რომელიც უფლებას აძლევს ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეს, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში სხვა ქვეყანაში ყოფნის დროს. ხსენებულ ცვლილებებში განსაკუთრებული მართლაც არაფერი იქნებოდა, რომ არა რამდენიმე გარემოება.

***— ბრძანეთ ამის თაობაზეც.***

— პასპორტში გაკეთებული აღნიშვნა იძულებულს ხდის მოქალაქეს, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში; რადგანაც გავრცელებული ინფორმაციით, ვისაც ასეთი აღნიშვნა არ ექნება პასპორტში, თანამდებობას ვერანაირად ვერ ელირსება. აქედან გამომდინარე, ასეთი კატეგორიების პირებზე გავრცელდება თითქმის იგივე შეზღუდვები, რაც ვრცელდებოდა იმ პირებზე, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია აფხაზეთის ომში.

თუ როგორი დამოკიდებულებაა აფხაზეთში მათ მიმართ, ვინც მონაწილეობას არ იღებდა აფხაზეთის ომში, კარგად გამოჩნდა ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატ ბესლან ბუთბას მაგალითზე, რომელსაც დღემდე თავის მართლება უწევს.

ესეც შენი დემოკრატია აფხაზურად; გაბედე და უარი თქვი არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე.


## განცხადებები

- სიახლე! დასაქმების სრულიად განსხვავებული პროგრამა. მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. ანაზღაურება ყოველკვირეულად. ასაკი 25-70 წ. ტელ: 75-72-69; 893-64-27-38 ქ-ნი მათიკო მგალობლიშვილი
- სილამაზის სალონ „შარმში" უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.
- გამოცდილი ექიმი ვმკურნალობ მამაკაცურ დაავადებებს: იმპოტენცია და პროსტატა. კონსულტაციისთვის დარეკეთ: 899-53-68-18; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.
- შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.
- იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.
- იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.
- ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.
- იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფესის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

# ოლიმპი პირველი ადგილით გამოიზამთრებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„აიკიდა“ მსაჯთან უაზრო შეკამათების გამო. რაც შეეხება გაძევების დროს მიცემულ ყვითელ ბარათს, მსაჯის გადასაწყვეტი იყო, მისცემდა თუ არა — კვარაცხელიამაც მისცა და სტუმრები კაცნაკლული დატოვა.

ყველას ეგონა, რომ რიცხობრივ უმცირესობაში მყოფი „ზესტაფონი“ გატყდებოდა და მასპინძლებიც უპრობლემოდ იმარჯვებდნენ, მაგრამ არც 10-კაციანი „ზესტაფონი“ გამოდგა ჯაბანი — გია გეგუჩაძემ დვალი ოდნავ უკან დასწია და წინ მხოლოდ გელაშვილი დატოვა, მაგრამ ამით მოედნის ცენტრი არ დათმო და ისევ უკეთ აკონტროლებდა ბურთს. თუმცა ერთ-ერთ მომენტში სწორედ ნახევარდაცვის შეცდომის ხარჯზე დადგა გადამწყვეტი მომენტი — მოედნის ცენტრში დაკარგულ ბურთზე ნახევარმცველები ვერც ზაალ ელიავამ და გიორგი ხიდეშელმა დააზღვიეს დროულად და აკინოს გამოზომილი პასის შემდეგ შოთა ბაბუნაშვილი პირისპირ დარჩა მამალაძესთან. რუსთაველთა გუნდის კაპიტნის დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა გიორგი ონიანმა, მაგრამ ბურთი პირდაპირ იმედაშვილს მიუვიდა, რომელმაც საჯარიმოში შეიგდო ბურთი და მურთაზ დაუშვილთან ბრძოლისას მოედანზე დაეცა. ლევან კვარაცხელია ზუსტად 2 მეტრში იმყოფებოდა დანაშაულის ადგილიდან და პენალტი დანიშნა. სიმართლე გითხრათ, იმ მომენტში დარღვევა ჩვენც დავინახეთ, მაგრამ, რადგან მოედანი დახაზული არ იყო, ვერ გავარკვიეთ, ეს ყველაფერი საჯარიმოში მოხდა თუ მის გარეთ, მაგრამ მომენტი შემდეგ რამდენჯერმე ვნახეთ გამეორებით, სადაც ჩანს, რომ დაუშვილი არ ეხება იმედაშვილს და პენალტი ძალზე საეჭვო ჩანს.

პენალტი ზუსტად შეასრულა აკინომ და თავისი მე-16 გოლი გაიტანა საქართველოს ჩემპიონატში.

გაშვებულმა გოლმა კი მართლა გატეხა „ზესტაფონი“. მართალია, კვარაცხელიამ გოლიდან 5 წუთში მოედანზე თანაფარდობა აღადგინა, მაგრამ ასევე გაურკვეველი რჩება რეხვიაშვილის გაძევების მომენტი — იმ მომენტში რატომ გააფრთხილა ფეხბურთელი (ერთი ყვითელი ბარათი მიღებული ჰქონდა), გაუგებარია. შესაძლოა, ამით დანაშაული გამოასწორა.

ამის შემდეგ იმერელთა ქაოტურ შეტევებს მასპინძელთა კონტრშეტევა მოჰყვა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა აკინომ ბურთი კარს ააცილა. გეგუჩაძე კი ვა ბანკზე წავიდა — მარჯვენა მცველი, ალექსი ბენაშვილი, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში ცხვირგატეხილი თამაშობდა, შემტევი ლევან კორღალიძით ჩაანაცვლა. სწორედ მისი აქტიურობის შემდეგ შეეძლოთ სტუმრებს, ზესტაფონში ქულით მაინც გაბრუნებულიყვნენ. 83-ე წუთზე კორღალიძემ შესანიშნავად მოძებნა საჯარიმოში ეულად მყოფი დვალი, რომლის განივ ჩაწოდებას ფეხი ირაკლი ძარიამ დაუხვედრა, მაგრამ 2 მეტრიდან ძელს გაარტყა, ხოლო უკან გადმოვარდნილს უკვე აფციაურმა დაჰკრა, მაგრამ მასპინძლები ამჯერად ხარიხამ იხსნა.



მოკლედ, „ოლიმპმა“ იმარჯვა და თავისი უპირატესობა 7 ქულამდე გაზარდა, ამასთან, ზამთრის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

### ტურის სხვა მატჩები ასე დასრულდა:

**„ლოკომოტივი“ — „დინამო“ 0:1**

**0:1 აკირემი (43), 0:2 გ.კაშია (69), 0:3 მერებაშვილი (80)**

**„ლოკომოტივი“:** ქვილითაია, სარალიძე, გუშარაშვილი, ხატიაშვილი, ლ.ჩაგელიშვილი, ქებაძე, წულაძე (კვარაცხელია 69), ჩიკვაიაძე, ბოჭორმელი, ი.გილაური, დ.ჩაგელიშვილი (აფხაზავა 74)

**„დინამო“:** ლორია, შ.კაშია, გ.კაშია, კაუბავა, თომაშვილი, მამუჩაშვილი, ნემსაძე (ფირცხალავა 65), ედნილსონი, ჯუისი (სიხარულიძე 67), მერებაშვილი, აკირემი (ვაწაძე 82)

ლოკომოტიველები „დინამოსთან“ მატჩში მაქსიმე ქვილითაიას იმედზე თუ იქნებოდნენ — სწორედ მასპინძელთა მეკარის დამსახურებაა, „ლოკომოტივმა“ იმ ქულათა რაოდენობას რომ მოუყარა თავი, რაც ცხრილშიც კარგად ჩანს, მაგრამ კარგად მოთამაშე დინამოელებთან ვერაფერი გააწყო და სამჯერ მოუწია ბურთის კარიდან გამოტანა.

ჯერ იყო და მამუჩაშვილი-ჯუისის კომბინაციის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩა ჯორჯ აკირემი და მასაც გოლის გატანა არ გასჭირვებია. დინამოელები კიდევ ბევრს უტევდნენ, მაგრამ ქვილითაია კარგად ირჯებოდა, მაგრამ ერთ-ერთი კუთხურისას გურამ კაშიამ დაასწრო და ანგარიში გააორმაგა. მერე კი გიორგი მერებაშვილის ჯერ დადგა — გოლებს მოწყურებულმა ფეხბურთელმა ტრავმის მოშუშების შემდეგ ზედიზედ მეორე საჩემპიონატო მატჩში გაიტანა.

დინამოელებს შეეძლოთ, უფრო დიდი ანგარიშით მოეგოთ, მაგრამ ხან თავად სცოდავდნენ, ხანაც ქვილითაია ყოჩაღობდა.

**„ბაია“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:1**

**0:1 კვარაცხელია (13)**

თითქმის განახევრებულ „ბაიას“ ესტუმრა ერთ-ერთი ფავორიტი, „ვიტ ჯორჯია“, რომელმაც უკვე იცოდა „ოლიმპი“ — „ზესტაფონის“ მატჩის შედეგი და გამარჯვების შემთხვევაში მეორე ადგილზე მყოფ იმერლებს უკვე 3 ქულით მიუახლოვდებოდნენ. ასეც მოხდა.მატჩის მე-13 წუთი ბედნიერი გამოდგა ვახტანგ კვარაცხელიასთვის, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში თავისი მე-11 ბურთი გაიტანა და გუნდს 3 ქულა მოუტანა.

**„გაგრა“ — „სპარტაკი“ 1:2**

**0:1 გოცირიძე (51), 1:1 კობერიძე (56), 1:2 გოცირიძე (65)**

„გაგრას“ მოგების შემთხვევაში შეეძლო, 4 ქულით დასხლტომოდა სახიფათო ზონას, მაგრამ ვერ მოახერხა. სტუმართა თავდამსხმელმა რევაზ გოცირიძემ დუბლი შეასრულა. მის გოლებს შორის გაგრელმა მიხეილ კობერიძემ იხეირა. ამ მოგებით ცხინვალელებმა მე-5 ადგილი დაიბრუნეს, რომელიც 2 ტურია, სამტრედიელებმა ჩამოართვეს.

**„სამტრედია“ — „სიონი“ 1:1**

**0:1 ჩიმაკაძე (12), 1:1 კვესეიშვილი (45)**

როგორც იქნა, ქულა მოიპოვა და გოლი გაიტანა გიორგი ყიფშიძის მიერ დარიგებულმა ბოლნისის „სიონმა“. თემურ მახარაძის რუსთავის „ოლიმპში“ გადასვლის შემდეგ ბოლნისელებს ზედიზედ 5 მატჩი მშრალად ჰქონდათ წაგებული. ახლაც სამტრედიიდან სულაც 3 ქულის წამოღება შეეძლოთ, რადგან ბესიკ ჩიმაკაძის გოლით იგებდნენ კიდეც, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს გიორგი კვესეიშვილმა გაუთანაბრა და მხოლოდ ქულას დააჯერა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ოლიმპი | 17 | 13 | 3 | 1 | 40:11 | 42 |
| 2. | ზესტაფონი | 17 | 10 | 5 | 2 | 29:14 | 35 |
| 3. | ვიტ ჯორჯია | 17 | 8 | 5 | 3 | 25:17 | 32 |
| 4. | დინამო | 17 | 8 | 5 | 4 | 27:11 | 29 |
| 5. | სპარტაკი | 17 | 6 | 5 | 6 | 24:28 | 23 |
| 6. | სამტრედია | 17 | 6 | 4 | 7 | 24:33 | 22 |
| 7. | სიონი | 17 | 3 | 7 | 7 | 11:24 | 16 |
| 8. | გაგრა | 17 | 3 | 4 | 10 | 17:29 | 13 |
| 9. | ბაია | 17 | 3 | 3 | 11 | 14:25 | 12 |
| 10. | ლოკომოტივი | 17 | 1 | 5 | 11 | 5:24 | 8 |

**ბომბარდირები:** აკინო (ოლიმპი) — 16 ბურთი, ნიკა გელაშვილი (ზესტაფონი) — 12, ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) — 11, გიორგი გაბედავა (გაგრა) — 8.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| პორტსმუთი-ბარნლი | 2:0 |
| არსენალი-სტოკი | 2:0 |
| ასტონ ვილა-ჰალი | 3:0 |
| ბლექბერნი-ლივერპული | 0:0 |
| ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 0:4 |
| ვულვზი-ბოლტონი | 2:1 |
| უიგანი-ბირმინგემი | 2:3 |
| სიტი-ჩელსი | 2:1 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| მილანი-სამპდორია | 3:0 |
| იუვენტუსი-ინტერი | 2:1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სევილია-ვალიადოლიდი | 1:1 |
| ხერესი-ატლეტიკო | 0:2 |
| რეალი-ალმერია | 4:2 |
| დეპორტივო-ბარსელონა | 1:4 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-ნიურბერგი | 4:0 |
| ვოფსბურგი-ფრაიბურგი | 2:2 |
| ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი | 0:0 |
| ჰანოვერი-ლევერკუზენი | 0:0 |
| შტუტგარტი-ბოხუმი | 1:1 |
| აინტრახტი-მაინცი | 2:0 |

**საფრანგეთი. I ლიგა**

| | |
|---|---|
| ვალანსიენი-მონაკო | 3:1 |
| მონპელიე-ლე მანი | 2:1 |
| ნიცა-მარსელი | 1:3 |
| რენი-ლილი | 1:0 |
| სენტ ეტიენი-სოშო | 0:0 |
| ბორდო-პსჟ | 1:0 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ნავალი-ფერეირა | 1:0 |
| რიუ ავე-ბელენენსეში | 0:0 |
| ლეიშეოში-ბრაგა | 1:1 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| გენკი-ვესტერლო | 0:0 |
| კორტრაიკი-ვარეგემი | 1:0 |
| რუზელარე-მუსკრონი | 1:2 |
| სტანდარდი-ბეერსხოტი | 2:2 |
| შარლერუა-სენტ ტრუიდენი | 0:0 |

**ავსტრია. I ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| რაპიდი-კაფენბერგი | 3:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-ციურიხი | 1:0 |
| სიონი-სტ.გალენი | 2:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ფალკირკი-რეინჯერსი | 1:3 |
| დანდი იუ.-სტ.მირენი | 3:2 |
| სელტიკი-აბერდინი | 3:0 |
| სტ.ჯონსონი-კილმანროკი | 0:1 |
| ჰიბერნიანი-მოზერველი | 2:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლევადიაკოსი-არისი | 0:2 |
| ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| პაოკ-ლარისა | 1:0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქაშიმფაშა-სივასი | 2:2 |
| ერჩიესი-ფენერბახჩე | 2:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასი**

| | |
|---|---|
| კრაკოვია-შლიონსკი | 1:0 |
| ბელხატოვი-ბიტომი | 2:2 |
| ოდრა-იაგელონია | 2:2 |
| ლეხი-პიასტი | 1:1 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| სონდერიისკე-ოლბორგი | 2:0 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| შარლოტი-ფილადელფია | 106:105 |
| მინესოტა-იუტა | 108:101 |
| ჩიკაგო-ტორონტო | 78:110 |
| სან ანტონიო-დენვერი | 99:106 |
| დალასი-ატლანტა | 75:80 |
| ფინიქსი-საკრამენტო | 115:107 |
| პორტლენდი-ჰიუსტონი | 90:89 |
| გოლდენ სტეიტი-ორლანდო | 118:126 |
| კლიპერსი-ინდიანა | 88:72 |

### ხელბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ტუნისი | 33:25 |
| ს.კორეა-კოტ დივუარი | 35:26 |
| ავსტრია-ავსტრალია | 45:10 |
| გერმანია-კონგო | 36:23 |
| უნგრეთი-ჩილე | 48:14 |
| ესპანეთი-არგენტინა | 33:15 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კაროლინა-ვანკუვერი | 5:3 |
| დალასი-ედმონტონი | 2:2(0:1ბ) |
| ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი | 4:4(0:1ბ) |
| ბუფალო-რეინჯერსი | 1:2 |
| ბოსტონი-ტორონტო | 7:2 |
| კოლამბუსი-კოლორადო | 2:3 |
| ნიუ ჯერსი-დეტროიტი | 3:3(1:0ბ) |
| ფილადელფია-ვაშინგტონი | 2:8 |
| ფლორიდა-ატლანტა | 1:1(0:1ბ) |
| პიტსბურგი-ჩიკაგო | 1:2(ოტ) |
| ტამპა ბეი-აილენდერსი | 4:0 |
| ნეშვილი-მინესოტა | 3:5 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# კეიპტაუნმა ქვეყნები დააჯგუფა

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი 11 ივნისს დაიწყება და გახსნით მატჩში ერთმანეთის პირისპირ სამხრეთ აფრიკისა და მექსიკის ნაკრები გუნდები წარდგებიან. ეს და ყველა დარჩენილი მატჩების ბედი კეიპტაუნში ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ გახდა ცნობილი.



კენჭისყრის ცერემონიალს 2.000 სტუმარი — დარბაზში, ხოლო რამდენიმე ასეული მილიონი ადამიანი ტელევიზიით ადევნებდა თვალს. პროცედურას სამხრეთ აფრიკაში დაბადებული მსახიობი შარლიზ ტერონი და უეფას გენერალური მდივანი ჯერომ ვალკე უძღვებოდნენ. მათ ცნობილი სპორტსმენები, ეთიოპიელი მძლეოსანი ჰაილე გებრესელასიე, სამხრეთ აფრიკის რაგვის ფეხბურთისა და ქალთა კრიკეტის ნაკრების კაპიტნები ჯონ სმიტი, მეტიუ ბუტი, სიმპივე დლუდლუ და ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი ეხმარებოდნენ.კენჭისყრის შედეგად განაწილებული ჯგუფების მცირე ჩვენეულ მიმოხილვას აქვე შემოგთავაზებთ. თუ რა მოხდება, დაზუსტებით თავად მუნდიალი გვიჩვენებს.

**„ა“ ჯგუფი:** სამხრეთ აფრიკა, მექსიკა, ურუგვაი, საფრანგეთი

საკმაოდ საინტერესო ჯგუფი ჩანს. ერთი შეხედვით, ფრანგები თითქოს ფავორიტები არიან, მაგრამ მათი ულიმლამო თამაში შესარჩევ ეტაპზე გვაფიქრებინებს, რომ იოლი ბრძოლა არ ექნებათ. ამასთან, „მამლებს“ გულშემატკივრებისთვის არასასიამოვნო სიურპრიზების შეთავაზება ეხერხებათ, როგორც ეს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გააკეთეს, სადაც ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს და გოლიც არ გაუტანიათ. სხვათა შორის, მაშინაც ჯგუფში ურუგვაის ნაკრები ჰყავდათ, რომელთანაც ფრედ ითამაშეს. ახლა კი ამ ჯგუფში ურუგვაიზე ძლიერი გუნდი მექსიკის ნაკრები მოჩანს, რომელიც ჯგუფიდან გასვლის ერთ-ერთ ფავორიტად მიგვაჩნია. რაც შეეხება მასპინძელთა ნაკრებს, შინაური კედლების ხათრით სიურპრიზების მოწყობა ძალუძთ.

**„ბ“ ჯგუფი:** არგენტინა, ნიგერია, სამხრეთ კორეა, საბერძნეთი

ამ ჯგუფის ფავორიტებად არგენტინელები და ნიგერიელები მიგვაჩნია, თუმცა ოტო რეჰაგელის დარიგებულ საბერძნეთის ნაკრებსაც შეუძლია სიურპრიზების მოწყობა, მაგრამ ამჯერად ეს ნაკლებად შესაძლებლად გვეჩვენება. ბერძნებს, ალბათ, სამხრეთ კორეელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა მესამე ადგილისთვის. სხვათა შორის, არგენტინის, ნიგერიისა და საბერძნეთის ნაკრებები ერთმანეთს ჯგუფში 1994 წლის ჩემპიონატზეც გადაყრიან (მეოთხე ბულგარეთის ნაკრები იყო) და ბოლო ადგილზე ბერძნები (0 ქულა) გავიდნენ, ნიგერია-არგენტინა (6-6 ქულა) კი ჯგუფიდან გავიდა.

**„ც“ ჯგუფი:** ინგლისი, აშშ, ალჟირი, სლოვენია

ამ ჯგუფის უდავო ფავორიტებად ინგლისელები მიიჩნევიან, მაგრამ არ დაგვავიწყდეს ამერიკელთა მიერ ჩატარებული მატჩები იმავე სამხრეთ აფრიკაში წელს ჩატარებულ კონფედერაციის თასზე, სადაც ტოლი არ დაუდეს ევროპულ გრანდებს. თუმცა ამერიკელებს მხოლოდ ინგლისელებისთვის არ ეცლებათ — ჯგუფიდან გასასვლელად ოკეანეგაღმელებს 2 მათივე თანაბარი დონის გუნდი, ალჟირი და სლოვენია, შეებრძოლება.

**„დ“ ჯგუფი:** გერმანია, ავსტრალია, სერბეთი, განა

თამამად შეიძლება, „სიკვდილის“ ჯგუფიც კი ვუწოდოთ — ერთი ყველაზე ძნელად პროგნოზირებადი ჯგუფი ჩემპიონატზე. გერმანიის ნაკრები ყველასთვის ცნობილია და რისი გაკეთება ძალუძს ამ გუნდს, უცხო არავისთვის არ არის, მაგრამ მეტოქეებიც სერიოზული ჰყავს. სერბებმა შესარჩევ ეტაპზე შესანიშნავად ითამაშეს და თვით ფრანგები ჩამოიშორეს ჯგუფში, ხოლო განელები აფრიკის კონტინენტზე კოტ დივუართან ერთად საუკეთესოდ ითვლებიან, თანაც „მასპინძლის“ სტატუსიც აქვთ, ამიტომ მათგან კარგი თამაში მოულოდნელი სულაც არ იქნება. როგორც ყოველთვის, სიურპრიზების მოწყობა შეუძლია ავსტრალიის ნაკრებსაც, მაგრამ ვინ იქნება ამჯერად მათი მსხვერპლი, წინასწარ ძნელი სათქმელია.

**„ე“ ჯგუფი:** ჰოლანდია, დანია, იაპონია, კამერუნი

ამ ჯგუფიდან გასვლის მეტი შანსი ჰოლანდიელებსა და კამერუნელებს აქვთ, თუმცა მათ დავაში, შესაძლოა, დანიის ნაკრებიც ჩაერიოს. სკანდინავიელებმა მშვენივრად ითამაშეს შესარჩევ ეტაპზე, რომელიც ჰოლანდიელებმა სულაც ქულადაუკარგავად განვლეს, ხოლო კამერუნელები, ტრადიციულად, კარგად გამოდიან მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე. რაც შეეხება იაპონელებს, ჩვენი აზრით, ჯგუფის აშკარა აუტსაიდერები არიან.

**„ფ“ ჯგუფი:** იტალია, პარაგვაი, ახალი ზელანდია, სლოვაკეთი

მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას, შეიძლება ითქვას, ჯგუფში გაუმართლა, მაგრამ, არ არის გამორიცხული, როგორც „სკუადრა აძურას“ ჩვევია, ისევე გაჭირვებით გაიაროს და თამაში ნელ-ნელა აკრიფოს. ეს სხვა გუნდებსაც აძლევს ხელს, თუმცა სხვა გუნდებში ვერ ვიგულისხმებთ ახალ ზელანდიას, რომელიც ყველაზე სუსტი მოჩანს ქვეჯგუფში. სავარაუდოდ, მეორე გამსვლელი პარაგვაისა და სლოვაკეთის ნაკრებმა გუნდებმა უნდა გაარკვიონ.

**„ჯ“ ჯგუფი:** ბრაზილია, ჩრდილოეთ კორეა, კოტდივუარი, პორტუგალია

კიდევ ერთი ყველაზე საინტერესო ჯგუფი. კომუნისტური კორეის გუნდის გარდა, ნებისმიერ მათგანს შეუძლია, შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვოს. მართალია, მთავარ ფავორიტებად ბრაზილიელები რჩებიან და მათ ჯგუფში ჩარჩენაზე საუბარი ცოტა უხერხულია, მაგრამ არც არაფერი იქნება მოულოდნელი. კოტდივუარელებს კი მეორედ არ გაუმართლათ მუნდიალზე — თითქმის ნებისმიერი სხვა ჯგუფიდან გასვლა უპრობლემოდ შეეძლოთ, აქ კი დიდი ბრძოლა და ოფლისღვრა მოუწევთ, რაც, შესაძლოა, მაინც უშედეგოდ დასრულდეს.

**„ჰ“ ჯგუფი:** ესპანეთი, შვეიცარია, ჰონდურასი, ჩილე

ევროპის ჩემპიონებსაც იოლი ჯგუფი შეხვდათ და ესპანელებს ამ ჯგუფიდან გასვლა უპრობლემოდ შეეძლებათ. მეორე ვაკანტური ადგილისთვის კი საინტერესო ბრძოლები იქნება მოსალოდნელი, მაგრამ უფრო — შვეიცარიელებსა და ჩილელებს შორის. ამ შემთხვევაშიც ფავორიტად უფრო ევროპელები მიგვაჩნია.

როგორც უკვე გითხარით, მსოფლიოს ჩემპიონატი 11 ივნისს დაიწყება და ზუსტად ერთ თვეს გაგრძელდება.

სულ კი 52 მატჩს სამხრეთ აფრიკის 9 ქალაქი უმასპინძლებს — იოჰანესბურგი, კეიპტაუნი, პრეტორია, დურბანი, პორტ ელიზაბეტი, პოლოკვანე, ნელსპრუტი, რუსტენბურგი და ბლუმფონტეინი.

## დღის კალენდარი



### 7 დეკემბრისთვის

**წლის 341-ე დღე,**
**ახალ წლამდე დარჩა 24 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

27-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ორშაბათიშემდგომი დღესასწაული ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულისა.

ხსენება წმიდა დიდმოწამეთა: მერკვირისა და ეკატერინესი: ღირსი მასტრიდია ქალწულისა; წმიდა მოწამეების: დედოფალ ავგუსტასი, პორფირე სტრატილატისა და მისი 200 მხედრისა.

წმიდა დიდმოწამე ეკატერინე ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიის გამგებლის, კონსტეს ასული იყო. ალექსანდრიაში იშვიათი სილამაზისა და გონიერების მქონე ეკატერინემ ბრწყინვალე აღზრდა-განათლება მიიღო. მან გამოუცხადა მშობლებს — მხოლოდ იმას გავყვებიო ცოლად, ვინაც აღმემატება მე სიბრძნით, სილამაზით, წარჩინებითა და სიმდიდრით.

დედამ წმიდა ეკატერინესი, რომელიც ქრისტეს ფარული აღმსარებელი იყო, თავის სულიერ მოძღვართან წაიყვანა ქალაქის გარეთ მდებარე გამოქვაბულში, სადაც იგი ლოცვით ღვაწლს ეწეოდა. მოხუცმა ბერმა მოუსმინა ეკატერინეს და უთხრა მას — მე ვიცი ის ჭაბუკი, ვინაც აღგემატება შენ ყოველივეში, რამეთუ „სიმშვენიერე მისი მზის ბრწყინვალებაზე უნათლესია, სიბრძნე მისი ყოველივე დაბადებულს წარმართავს, ხოლო სიმდიდრე კი — მთელს სამყაროშია გადაბნეული, რის გამოც იგი კი არ მცირდება, არამედ უფრო და უფრო მატულობს". ზეციური საქმროს ამგვარმა აღწერამ მხურვალე სურვილი განუღვიძა წმიდა ქალწულს მისი ხილვისა. გამოთხოვებისას მეუდაბნოე ბერმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი მიუძღვნა ეკატერინეს ღვთაებრივი ყრმით — იესოითურთ და უბრძანა მარად ზეციურ დედოფალს — ზეციური საქმროს დედას შევედრებოდა მისი ძის ხილვის მონიჭებას.

უკან დაბრუნებულ ქალწულს იმ ღამეს ეჩვენა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ღვთაებრივი ყრმითურთ. უფალი ალერსით უყურებდა წმიდა ეკატერინეს და ბეჭედიც გადასცა მას, რითაც თავისთვის დაიწინდა იგი. როცა სიზმრისეული ჩვენება დასრულდა და ქალწულმა გამოიღვიძა, ხელზე მას ბეჭედი უბრწყინავდა — საკვირველი ძღვენი ზეციური სიძისა.იმ ხანებში ალექსანდრიაში იმპერატორი მაქსიმიანე ჩავიდა. მსხვერპლად წარმართები ადამიანებსაც შესწირავდნენ, ცეცხლში სიკვდილისათვის განწირავდნენ ქრისტეს იმ აღმსარებელთ, რომელნიც მძიმე ტანჯვა-წამების შემდგომაც არ განდგომოდნენ მას. მათ წმიდა ეკატერინეც შეიპყრეს, რომელმაც შეუდრეკელად აღიარა რწმენა ქრისტესი და თვითონ მივიდა საგვემელ ბორბალთან. მაგრამ ანაზდად უფლის ანგელოზმა შემუსრა საგვემელი იარაღები. ამ სასწაულის ხილვაზე დედოფალმა ავგუსტამ, მხედართმთავარმა პორფირემ და მისმა 200-მა მხედარმა საჯაროდ აღიარეს თავი ქრისტიანებად, რისთვისაც მათ თავები მოჰკვეთეს.შემდეგ წმიდა ეკატერინემ მხნედ აღიარა თავისი ზეციური საქმროსადმი ერთგულება და მდაბლად მიუშვირა ქედი ჯალათის მახვილს. წმიდანი დაახლოებით 305-313 წლებში აღესრულა მოწამებრივად. მისი წმინდა ნაწილები ანგელოზებმა გადაასვენეს სინას მთაზე.

VI საუკუნეში, ზეგარდმო გამოცხადებით, მოპოვებულ იქნა პატიოსანი თავი და მარცხენა ხელი წმიდანისა, რომელიც დიდის პატივით გადაასვენეს იმპერატორ იუსტინიანეს მიერ ახლად აგებულ ტაძარში, სინას მთის მონასტერში.

### დაიბადნენ:

1542 — მარიამ სტიუარტი, შოტლანდიის დედოფალი, თავი მოჰკვეთეს 1589 წელს.

1598 — ლორენცო ბერნინი, იტალიელი მოქანდაკე და არქიტექტორი, გარდაიცვალა 1680 წელს.

1789 — მარია ვალევსკაია, საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტეს „პოლონელი მეუღლე", გარდაიცვალა 1817 წელს.

1888 — ჯოის კერი, ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1957 წელს.

1889 — გაბრიელ ონორე მარსელი, ფრანგი ფილოსოფოსი, დრამატურგი და კრიტიკოსი, ლიტერატურის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1973 წელს.

1801 — იოჰან ნეპომუკ ნესტროი, გამოჩენილი ავსტრიელი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, გარდაიცვალა 1862 წელს.

1905 — ჯერარდ პეტერ კოიპერი, ამერიკელი ასტრონომი. აღმოაჩინა ურანის მეხუთე თანამგზავრი — მირანდა და ნეპტუნის მეორე თანამგზავრი — ნერეიდა, გარდაიცვალა 1973 წელს.

1914 — სპარტაკ ბაღაშვილი, ცნობილი ქართველი მსახიობი, გარდაიცვალა 1977 წელს.

1929 — კონსტანტინე (კოკი) მახარაძე, ქართველი ფერმწერი.

1939 — როინ მეტრეველი, ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

43 (ძვ. წ.) — მარკუს ტულიუს ციცერონი, რომაელი ორატორი, ფილოსოფოსი.

1881 — იულიუს ბანზენი, გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი.

1894 — ფერდინანდ მარი ლესეფსი, ფრანგი დიპლომატი, მეწარმე.

1912 — ჯორჯ ჰოვარდ დარვინი, ინგლისელი ასტრონომი და მათემატიკოსი.

1930 — პარიზში მოკლეს ნოე რამიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი.

### მოვლენები:

1732 — ლონდონში გაიხსნა თანამედროვე ოპერის სამეფო თეატრი.

1787 — დელავერი აშშ-ს პირველი შტატი გახდა.

1808 — ჯეიმს მედისონი ამერიკის პრეზიდენტად აირჩიეს, ჯორჯ კლინტონი კი ვიცე-პრეზიდენტად.

1877 — ტომას ედისონმა მოახდინა გრამაფონის დემონსტრირება.

1917 — ამერიკამ ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს.

1921 — ჩატარდა პირველი ინგლისური ვერტმფრენის გამოცდა, რომელიც ააგო ლუის ბრენანმა.

1941 — იაპონელები თავს დაესხნენ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა პერლ-ჰარბორს, რამაც გამოიწვია აშშ-ს ჩაბმა II მსოფლიო ომში.

1968 — გაუშვეს პირველი ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-7".

1988 — ძლიერი მიწისძვრა მოხდა სომხეთში (6,9 ბალი). თითქმის მთლიანად დაინგრა ქალაქები სპიტაკი და ლენინაკანი და სხვა დასახლებული პუნქტები. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 28 854 ადამიანი და ათასობით დაშავდა.

1991 — რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ლიდერების შეხვედრა ბელოვეჟის ტყეში, რაც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის დაშლას.

**მედიანიუსი**

# მსახიობობა ლამაზ ქალებთან შეხვედრის მიზნით გადავწყვიტე

**ამერიკელმა მსახიობმა ჯეკ ნიკოლსონმა 69 წლის ასაკში 69 ფილმში გადაღება მოახერხა და 70 წლის იუბილესათვის კიდევ ერთი ფილმი, „უკანასკნელი სურვილი", მოამზადა. როგორც თავად აღიარა ერთ-ერთ ინტერვიუში, მსახიობობა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ლამაზ ქალებს შეხვედროდა.**



***— როგორღაც თქვით, რომ ყველაფერი, რაც კინოში გაგიკეთებიათ, ავტობიოგრაფიულია. როგორ გავიგოთ ეს?***

— თითოეული ფილმი, რომელშიც გადაღებული ვარ, გარკვეულწილად ავტობიოგრაფიულია. დოკუმენტალურ ფილმს რომ ვუყურებ იმის შესახებ, თუ როგორ იღებდნენ ამა თუ იმ ფილმს, ვხვდები, რომ ეს ჩემი ცხოვრების ეპიზოდია.

***— ფილმის „სიყვარული წესებით და წესების გარეშე" გადაღების შემდეგ თქვენ ეკრანიდან სამი წლით გაუჩინარდით. რით იყო გამოწვეული ასეთი ხანგრძლივი შესვენება?***

— „სიყვარული" დაუგეგმავი სურათი აღმოჩნდა და „შმიდტსა" და „მრისხანების დამორჩილებას" შორის მის ჩასატევად გარკვეული ძალისხმევა დამჭირდა. ამის შემდეგ შვებულება ავიღე. გადაღებების დასრულების შემდეგ ერთწლიან შვებულებას ვიღებ და ამ დროს სცენარებსაც კი არ ვკითხულობ. „განდგომილებისათვის" მზადება დიდი ხნის წინ დავიწყე, ამიტომ ეს მხოლოდ მოჩვენებითი შთაბეჭდილებაა, თითქოს ხანგრძლივი შესვენება მქონდა. ამ ფილმზე საკმაოდ ბევრს მუშაობდი, მე ხომ მხოლოდ მსახიობი არ ვარ, კინემატოგრაფისტიც ვარ, გადაღებებისთვის ფილმების მომზადებაში ვიღებ მონაწილეობას.

***— ფრენკ კასტელო როგორ გახდით?***

— დიკაპრიოს და სკორსეზეს სურდათ, რომ ამ ფილმში მონაწილეობა მიმეღო, მე კი მათთან მუშაობაზე დიდხანს ვოცნებობდი. მართალია, მაფიის ნათლიის როლი მაინცდამაინც არ მომეწონა, მაგრამ მე და მარტიმ ამ ფილმზე გულიანად ვიმუშავეთ. ფილმზე მუშაობის დროს ატმოსფერო მეტად კარგი იყო და ფილმი, მიუხედავად იმისა, რომ მასში ბევრი ვარსკვლავი მონაწილეობს, კარგი გამოვიდა. რეი უინსტონი, ალეკ ბოლდუინი, მარკ

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რაბათი; 2. თორი; 3. პაციფისტი; 4. ალაფი; 5. ზოსტერა; 8. დუქანი; 9. ბერეიტორი; 12. შულერი; 14. დუნსტი; 16. ალილო;

**თარაზულად:** 1. რქაწითელი; 6. ვატერლოო; 7. ბრუდერი; 9. ბუტიკი; 10. ბიზე; 11. საჩხერე; 13. ბედია; 15. კუბიცა; 17. დიზაინი; 18. ველენი; 19. ბისტრო; 20. დომინგო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ოსასუნა; 3. ანდამატი; 4. აქსესუარი; 5. ჰავრი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. დუბლინი; 14. ეფრემვერდი; 15. დეკალოგი; 16. ბარისტერი; 17. ხამონი; 19. ბედუინი; 21. კოშმა; 22. სეული.

**თარაზულად:** 1. მოწამეთა; 5. ჰოკუ; 7. ბებუთი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალუბალი; 13. სვანეთი; 16. ბენიტესი; 17. ხიდი; 18. აბაშა; 20. სამორინე; 22. სუომი; 23. კუტუნიო; 24. ეტიუდი; 25.... მონდი.

# მუსიკის მოყვარულებმა ყველაზე ცუდი ანსამბლები დაასახელეს



მუსიკალურმა ჟურნალმა „უორლდმა" თავის მკითხველებს შორის გამოკითხვის ორგანიზების საშუალებით ყველა დროის ყველაზე ცუდი ანსამბლების გამორკვევა სცადა.

მის რეიტინგში როკის ლეგენდები „იუთუ", „ოაზისი", „ქუინიც" კი მოხვდნენ, მაგრამ მელომანებმა ყველაზე საზიზღარ ანსამბლად კანადელი როკერები, „ნიქლბექი" მიიჩნიეს.

უკვე ათ წელზე მეტია ე.წ. პოსტ-გრანჟის სტილში მომუშავე მუსიკოსების წინააღმდეგ ხმა გამოკითხვის დაახლოებით 20%-მა მისცა. ამასთან, „ნიქლბექმა" თავისი ალბომები 30 მილიონზე მეტი ტირაჟით გაყიდა. ანსამბლი არაერთხელ იყო ნომინირებული „გრემიზე", ხოლო ბოლო ალბომი „დარქ ჰორს", რომელიც 2008 წელს გამოვიდა, ორგზის პლატინისა გახდა.

მეორე ადგილზეა პოპ-სოულის დუეტი „ლაითჰაუს ფემილი", მესამეზე როკ ანსამბლი „თოფლოუდერი". აღსანიშნავია, რომ ორივე ჯგუფი თითქმის ერთდროულად, 2003 წელს დაიშალა.

კენჭისყრა „დახურული" იყო, ანუ მაყურებელს შეთავაზებული სიიდან არჩევის ნაცვლად თავად შეეძლო დაესახელებინა უარესი ანსამბლი. მუსიკალური ექსპერტების გაოცება გამოიწვია იმან, რომ უარეს ანსამბლებზე საყოველთაოდ ცნობილი ჯგუფები „განს ენდ როუზის", „ბლური", „მეტალიქაც" კი დაასახელეს.

როგორც „უორლდის" ერთ-ერთმა ჟურნალისტმა განაცხადა, რეიტინგი უფრო საკუთარი კომპლექსების დემონსტრირებას დაემსგავსა, ვიდრე ყველა დროის უარესი ანსამბლის დასახელებას.

— მე, მაგალითად, „იუთუს" ვერ ვიტან, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყველაზე ცუდი ანსამბლია, გარდა ამისა, ნუთუ არ არსებობს „ქუინის" თუნდაც ერთი სიმღერა, რომელიც ოდნავ მაინც მოგეწონათ, — ამბობს ჟურნალისტი, — იმავდროულად სიაში ვერ მოხვდნენ „მუსიკის სირცხვილად" წოდებული „ჩუმბავუმბა", „სქაუთინგ ფორ გელს" და „ქრონბერის".

ყველაზე ცუდი ანსამბლების რეიტინგი ასე გამოიყურება „ნიქლბექ", რომელსაც რეიტინგის 19.8%-მა მისცა ხმა. შემდეგ მოდიან „ლაითჰაუს ფემილი" — 14.3, „თოფლოუდერ" — 11.8, „რეიზორლაით", — 9.8, „სეივიჯ გარდენ" — 8.4, „ემ ფიფლ" — 7.5, „მარუნ 5" — 6.6, „4 ნონ ბლონდის" — 5.5, „სნოუ ფეთროლ" — 5.2, „სფინ დოქტორს" — 3.6, „ბიუთიფულ საუთ" — 2, „სლიფერ" — 1.1, „ლაითნინგ სიდს" — 0.9, „თროგს" — 0.9, „ქრაუდიდ ჰაუს" — 0.5.

**გ.თ.**

## სკანვორდი



1. სიარულის უნარის დაკარგვა; 2. სინდისი; 3. „...დამაცადე"; 4. იაპონური თეატრის სახეობა; 5. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 6. მეექვსე ნოტი; 7. საიალქნე ძელი; 8. ბილიარდის ჯოხი; 9. კურკოვანი ხილი; 10. წლოვანება; 11. დაკარგულის პოვნის გასამრჯელო; 12. გამის მეხუთე საფეხური; 13. თავადზე დაბალა მდგომი; 14. ...გოგი; 15. 10 მეექვსე ხარისხში; 16. ცხენზე გადასაფარებელი ქსოვილი; 17. წვრილ-წვრილი სანადირო ტყვიები; 18. ზღვის დიდი კიბო; 19. ბუნებრივი საღებავი; 20. სიო; 21. ძველბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი; 22. ... კალანდაძე; 23. ქართველი ფეხბურთელი; 24. ჭამის სურვილი; 25. გამყოლ-გამცილებელი; 26. „...ერთ ნავში (თუ არ ჩავთვლით ძაღლს)"; 27. თბილი ქვეყნების მარადმწვანე ხე; 28. ნაბიჯი ცეკვაში; 29. სხვისი შვილის გამზრდელი; 30. უკრაინის პარლამენტი; 31. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 32. ბატკანი ერთ წლამდე; 33. მალაზია.

*შეადგინა ოლივერ კოხიაშ*

## 7 — 13 დეკემბერი

## ამინდის პროგნოზი

**სოხუმი**

07.12 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
08.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
09.12 ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 5-6
10.12 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 5-6
11.12 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
12.12 ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
13.12 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9

**ზუგდიდი**

07.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
08.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
09.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
10.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
11.12 ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 8-9
12.12 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 9-10
13.12 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 10-11

**ბათუმი**

07.12 ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 11-12
08.12 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 9-10
09.12 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 9-10
10.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
11.12 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 11-12
12.12 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 10-11
13.12 ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 11-12

**ქუთაისი**

07.12 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
08.12 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
09.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
10.12 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
11.12 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 8-9
12.12 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
13.12 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9

**გორი**

07.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 1-2
08.12 ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 0-1
09.12 ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -1-0
10.12 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
11.12 ღრუბელი, დღისით — 4-5, ღამით — 0-1
12.12 ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 4-5
13.12 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 3-4

**თბილისი**

07.12 ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
08.12 თოვლი, წვიმა, დღისით — 1-2, ღამით — -4 -3
09.12 ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -2 -1
10.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 1-2, ღამით — -3 -2
11.12 წვიმა, დღისით — 5-6, ღამით — -2 -1
12.12 ღრუბელი, დღისით — 4-5, ღამით — 1-2
13.12 ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 1-2

**გურჯაანი**

07.12 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
08.12 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
09.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
10.12 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
11.12 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 8-9
12.12 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
13.12 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9

**მანგლისი**

07.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 3-4, ღამით — -2 -1
08.12 თოვლი, წვიმა, დღისით — 1-2, ღამით — -2 -1
09.12 ღრუბელი, დღისით — 3-4, ღამით — -2 -1
10.12 თოვლი, დღისით — 2-3, ღამით — -2 -1
11.12 ღრუბელი, დღისით — 1-2, ღამით — 1-2
12.12 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
13.12 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 2-3

**დმანისი**

07.12 ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -10 -9
08.12 თოვლი, დღისით — -4 -3, ღამით — -12 -11
09.12 ღრუბელი, დღისით — -5 -4, ღამით — -12 -11
10.12 თოვლი, დღისით — -5 -4, ღამით — -12 -11
11.12 თოვლი, დღისით — -5 -4, ღამით — -9 -8
12.12 ღრუბელი, დღისით — -2 -1, ღამით — -10 -9
13.12 თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -11 -10

# მსახიობობა ლამაზ ქალებთან შეხვედრის მიზნით გადავწყვიტე

დასაწყისი მე-10 გვერდზე

უოლბერგი შესანიშნავები არიან, დიკაპრიოსა და დეიმონზე რომ არაფერი ვთქვათ. ქალები — ვერა ფარმიგი და კირსტენ დალტონი, რომელმაც ჩემი ექსტრემალი სექსპარტნიორის როლი ითამაშა. მაგრამ მსახიობების ვარსკვლავური ნაკრები ფილმის წარმატებას არ უზრუნველყოფს.

— *„განდგომილებამდე“ თქვენ სამ კომედიაში ითამაშეთ, „შიდდტის შესახებ“, „მრისხანების დამორჩილება“ და „სიყვარული წესებით და წესების გარეშე“. ჯამბაზობა მოგბეზრდათ?*

— ჯამბაზობა ყოველთვის მინდოდა, მაგრამ ეს კომედიური ტრილოგია 11 სექტემბრის რეაქცია წარმოადგენდა. ჩემ თავს მაშინ ვუთხარი, „კატასტროფა მოხდა, რაღაც ძალიან სასაცილო უნდა გავაკეთო“. ამ სამი კომედიის შემდეგ „ცუდი ბიჭის“ თამაში მომინდა, ფრენ კასტელო კი მართლაც ძალიან ცუდია, მისთვის არ არსებობს რაიმე წმინდა, არც ეკლესია, არც ბავშვები. ნამდვილი მონსტრია.

— *თუ გაქვთ ნანახი ორიგინალური ფილმი „ორმაგი როქი“?*

— არა, სპეციალურად არ ვნახე. სკორსეზეს ფილმზე ვიყავი კონცენტრირებული, იმაზე, რასაც ჩვენ ვაკეთებდით. ერთი მხრივ, განგსტერული თრილერის კანონების დაცვა გვინდოდა, მეორე მხრივ, მასალისადმი ნოვატორულად მიდგომას ვცდილობდით. მე მგონი, გამოგვივიდა.

— *რას ეუბნება ეს ფილმი მაყურებელს?*

— ძალიან ხშირად ხდება, რომ ადამიანი გადაწყვეტილებას მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობით იღებს. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ფილმი შეახსენებს მაყურებელს, საზოგადოება სულაც არ არის ისეთი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. ძნელია აღიარო ის, რომ გარემოზე ჩვენი წარმოდგენა ძალიან ხშირად ოფიციალური პროპაგანდის პროდუქტია. როგორც რეი უინსტონის პერსონაჟი, მისტერ ფენჩი ამბობს, „ჩვენ ვირთხების ერად ვიქეცით?“

— *ფილმისადმი დაწერილ მრავალ რეცენზიაში აღნიშნულია საწოლ ოთახში გადაღებული სცენები თქვენი პერსონაჟის მონაწილეობით.*

— მე მარტინს ვუთხარი, რომ კასტელოს მტაცებლური ხასიათი კიდევ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, თუკი ვაჩვენებდით, რომ ინტიმურ ცხოვრებაში იგი საკუთარ თავს არ ღალატობს — ისეთივე ავისმომასწავებელია და სკორსეზე დამეთანხმა.

— *მსახიობობა რატომ გადაწყვიტეთ?*

— ვოცნებობდი, რაც შეიძლება მეტ ლამაზ ქალს შევხვედროდი.

— *როდის მიხვდით, რომ ნიჭი გქონდათ?*

— იმაზე გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ამას სხვები მიხვდებოდნენ.

— *თქვენ ხუთი ცოლი გყავდათ, თქვენი ოფიციალური მეგობარი ქალების სია კი მთელ გვერდს იკავებს. სექს-სიმბოლოს წოდებაზე რა აზრის ხართ?*

— მიყვარს სექსი, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ სიმბოლოდ ყოფნა მომწონს. ქალთან დაახლოების შემდეგ ხშირად დარწმუნებული ვიყავი, რომ აღარასოდეს გავშორდებოდი, მაგრამ ასე არ ხდებოდა. ალბათ, მონოგამია ჩემთვის შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით ბევრს ძალიან უცნაურად მივაჩნივარ, თუმცა მე საკუთარ თავზე ჯერ ხელი არ ჩამიქნევია.

— *მეგობრების წრეში ყოფნა გიყვართ?*

— ახლა არც ერთ წრესთან არ მაქვს კავშირი.

— *ჰოლივუდში თქვენ საიმედო მეგობრად გიცნობენ. რას ნიშნავს თქვენთვის მეგობრობა?*

— მეგობრობას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ბავშვობის მეგობრებთან ურთიერთობა დღემდე შევინარჩუნე. კარგი მეგობარი განძია. ასე რომ, მე ძალიან მდიდარი ადამიანი ვარ.

— *ამბობენ, რომ თქვენ შეიძინეთ მარლონ ბრანდოს სახლი, ვისთანაც 30 წელი გვერდიგვერდ ცხოვრობდით.*

— ბრანდო რომ გარდაიცვალა, მისი სახლი ვიყიდე, იგი დარეკვას ჩემთან შემოვლას ამჯობინებდა ხოლმე და ხშირად ვლაპარაკობდით ყველაფერზე, რაც ამ ქვეყნად ხდება. ეს მთასავით კაცი სულ ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ აქ იჯდა ხოლმე. კარგი მეზობლები ვიყავით, ერთმანეთს არ ვაღიზიანებდით, ბრანდო ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ შინ ვეღარ ვჩერდებოდი, რამდენიმე თვით სადმე წასვლას ვცდილობდი.

— *თქვენ კმაყოფილი ხართ იმით, რომ თქვენი უმცროსი ქალიშვილი ლორეინი თქვენს კვალს გაჰყვა. მისი სამსახიობო მომავლის შესახებ რას იტყვით?*

— იგი ჩემს კვალს არ გაჰყოლია. მსახიობობა მისი საკუთარი არჩევანია. არ მიცდია გადამეთქმევინებინა, რადგან მასში არის რაღაც განსაკუთრებულად გემრიელი, რაც იმედის საფუძველს მაძლევს. დარწმუნებული ვარ, რომ ლორეინი და მისი ძმა რეიმონდი შესანიშნავი ადამიანები არიან, ჭკვიანი, ნიჭიერი, სასიამოვნო ურთიერთობაში. ძალიან მინდა შეცდომებისაგან დავიცვა, მოზარდები კი ხშირად, მშობლები რასაც ეუბნებიან, იმის საპირისპიროს აკეთებენ. მე მათ ვუთხარი, „არ ვაცხადებ პრეტენზიას მსოფლიოში საუკეთესო მამობაზე, რომელიც თავის მოზარდ შვილებზე უფრო ჭკვიანია, ამიტომ შეგიძლიათ ყური არ უგდოთ ჩემს ჭკუის დარიგებას, თუკი მათგან თავს კიდევ უფრო ცუდად იგრძნობთ“. სერიოზულად თუ გინდათ, ყოველთვის შეიძლება ბავშვებს თქვენი მოსაზრება გაუზიაროთ, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაგეთანხმებიან.

— *მართალია, რომ თქვენი დაბადების საიდუმლო ჟურნალ „თაიმსში“ 30 წლის ასაკში შეიტყვეთ (მანამდე მშობლებად ბებიას და პაპას მიიჩნევდა, ბიოლოგიურ დედას კი — დად). ეს თუ ასეა, რა იგრძენით?*

— მადლიერება.

— *თქვენ ტოროლა ხართ თუ ბუ?*

— ბუ. დილის 11 საათზე ვიღვიძებ, რადგან 4 საათამდე ვკითხულობ.

— *ახლა რას კითხულობთ?*

— ჯორკ კრაილის ბესტსელერს, ტექსასელი სენატორის, ჩარლი უილსონის შესახებ „ჩარლი უილსონის ომი“.

— *არ გწყინთ, როდესაც ბულვარული პრესა ხშირად თქვენი პირადი ცხოვრებიდან ამოგლეჯილი ფაქტების ჰიპერბოლირებას ცდილობს, ან სულაც ტყუილებს ბეჭდავს.*

— ბულვარულ პრესას პორნოჟურნალებს ვამჯობინებ.

— *წინ სამუშაო გელოდებათ თუ შვებულება?*

— მალე „უკანასკნელ სურვილში“ დავიწყებ გადაღებას. ჩემი პერსონაჟი კიბოთი ავადმყოფი ხანდაზმული ადამიანია, რომელმაც სიკვდილის წინ საკუთარი სურვილის ასრულება გადაწყვიტა.

— *თქვენ თუ გაქვთ აუსრულებელი სურვილი?*

— დიახ, ფრენჩ-ფრაიში ლანჩ-ჰამბურგერის შეკვეთა მინდა.

# მეხი ერთ ადგილს ორჯერ არ ეცემა?



ძველ საბერძნეთში ადამიანს, ვისაც მეხი დაეცემოდა, ღმერთების რჩეულად მიიჩნევდნენ ხოლმე და ამ მხრივ სამხრეთაფრიკელ ფერმერ მარტიენს ვან რიკის, ალბათ, აპოლონის ტაძრის ქურუმად გამოაცხადებდნენ — მას ორჯერ დაეცა მეხი და მაინც ცოცხალი გადარჩა.

პირველად მეხი პარასკევ დღეს, 13 რიცხვში დაეცა, რითაც ამ დღის „მავნე“ ხასიათი დაადასტურა. კოლეგებთან ერთად იგი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად, ვენტერსდორფის რაიონში მდებარე ფერმისაკენ გაემგზავრა.

ფერმის მფლობელი ნიკო ტრომპი, ვან დიკი და რამდენიმე მუშა მეხის დაცემის დროს ღობეს ამაგრებდნენ. დარტყმამ ვან რიკი გვერდზე მოისროლა, მან რამდენიმე წამით გონება დაკარგა, მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა.

გადაწყვიტა, რომ სამუშაო აუცილებლად უნდა დაემთავრებინა და მეორე დღეს კვლავ ფერმისაკენ გაემართა, ოღონდ კოლეგების გარეშე.

ნიკო ტრომპის თქმით, მეორედ მეხი ლითონის ბოძს დაეცა, რომელიც ამ მომენტში ვან რიკს ეკავა ხელში. ეს შემთხვევა დღის 1 საათზე მოხდა.

მეხის დაცემის შედეგად ვან რიკმა კვლავ გონება დაკარგა, მაგრამ ამჯერად გონს მხოლოდ საღამოს ექვსის ნახევარზე მოვიდა.

ზურგის ტკივილებითა და მრავალრიცხოვანი ტრავმებით მარტიენს ვან რიკმა დიდი გაჭირვებით მიაღწია სახლამდე. შინ დაბრუნებულს ცოლმა, ელზა ვან რიკმა, მეხის დაცემა არ აკმარა და სამსახურში მარტოდ წასვლისათვის კარგად გამოთათხა.

— ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხეულზე კანი მთლად დაჭმუჭნული მქონდა, — იხსენებს იგი.

თუმცა, მომხდარს რომ იხსენებს, ღმერთს მადლობას სწირავს, რომ ცოცხალი გადარჩა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**



მეუღლე მერი თოდრაძე, შვილები მაია, მანანა იუწყებიან

**ვაჟა ნიკიფორეს ძე ჭანუყვაძის**

გარდაცვალებას

დაკრძალვა: სამშაბათს, 8 დეკემბერს, ოზურგეთი, სოფ. შემოქმედი.

## სამგლოვიარო განცხადებები

ენგურჰესის დირექცია, პირველი გალის საზოგადოება, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები მწუხარებით იუწყებიან

**თორნიკე შონიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

რაჟდენ ქარდავა ოჯახით თანაუგრძნობს ნუნუ და დათო შონიებს საყვარელი მეუღლისა და მამის

**თორნიკე შონიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 7 დეკემბერი**

07.00 ჩვენი დილა 10.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.30 ქართ. ფ. **"მდგმურები"** 14.00 მეხსიერება — ანა კალანდაძე 15.00 სერ. **"პირისპირ"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" 19.05 "მეხსიერება" — ს. თაყაიშვილი 20.45 "ნანინა" 21.00 სერ. **"ანელიას სახე"** 22.00 თოქ-შოუ "არენა" 23.30 "ერთი ისტორია" 00.00 კიკბოქსინგი 01.30 ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფილმი **"მაჯესტიკი"** (12) (ჯ. ქერი)
ბ) მხ. ფილმი **"ხმალთევზა"** (12) (ჯ. ტრავოლტა)

19.00 ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" 19.25 ნანინა 19.40 პლანეტა ბასტი-ბუბუ 20.10 მეხსიერება 21.05 სერ. **"პირისპირ"** 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.50 მხ. ფ. **"მიმზიდველი"** (15)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** 11.00 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.40 კურიერი 12.20 სერ. **"გზა დიდებისკენ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. **"უფროხილდი ანგელოზს"** 15.25 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 15.50 სერ. **"გულის ძახილი"** 16.50 სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** 18.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 19.00 სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** 19.50 სერ. **"ანხელის საიდუმლო"** 22.00 ჯეოსტარი 00.00 საფეხბურთო ღამე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი **"სხეულის გამტაცებელთა შემოჭრა"** (18) (დ. საზერლენდი)

08.00 მულტფილმი "კონანი" 09.00 სერ. **"მარია ემილია"** 09.50 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.50 სერ. **"ტყუპები"** 11.50 სერ. **"სი-ეს-აი"** 12.40 მხ. ფილმი 15.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 15.50 მხ. ფილმი 18.00 სერ. **"ტყუპები"** 19.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 20.00 ზღაპარიყო 20.15 სიცილი მზეზე 21.25 ვიქტორინა "ქეშ შოუ" 22.30 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 23.30 სერ. **"სი-ეს-აი"** 00.30 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 10.00 სერ. **"ორმაგი თამაში"** 11.25, 14.35 ტვ-მარკეტი 11.45 სპეცრეპორტაჟი ვ. სანაისთან ერთად 12.30 ჟურნალისტის დღიური 15.00 ღამის შოუ 16.00 სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** 17.35 დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" 18.00 სერ. **"ლაბირინთი"** 1-ლი ს. 19.05 სერ. **"მარადიული გრძნობა"** 21.00 სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** 22.00 მხ. ფილმი **"ლექტერ ჰანიბალი: დასაწყისი"** (12) (ა. ტომასი) 00.00 სერ. **"სანდრა პაოლის კლანი"** (15) 01.00 მხ. ფილმი **"ნადირობა"** (18) (ჯ. ჰეკმანი) 03.00 ქრონიკა 03.15 სერ. **"კლონი"**

08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 08.15 მულტფილმი 08.45 მხ. ფილმი **"სახლი თავდაყირა"** 10.30, 19.30 სერ. **"ღირსების საქმე"** 11.45, 21.00 სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** 12.45 მხ. ფილმი **"ზე ფილმი"** 14.50 "ფერისცვალება" 15.20 მხ. ფილმი **"დაპყრობის ჯგუფი"** 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ნოვოსტი 21.25 ტელევიქტორინა 23.00 პერსონა 23.30 მხ. ფილმი **"ბენჟამინის ამოუცნობი ისტორია"**

ერთსულოვნება 09.10 დილის პროგრამა "განთიადი" 10.10 სატ. არქივიდან 10.55 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.10 მხ. ფილმი **"შერეკილები"** 13.30 კონცერტი 15.05 საეკლესიო კალენდარი 15.10 დოკ. სერ. "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 15.35 მხ. ფილმი **"ნინო"** 17.00 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 17.30 გაცოცხლებული წარსული 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.30 სატ. არქივიდან 19.15 მხ. ფილმი **"ნეილონის ნაძვის ხე"** 20.35 ძილი ნებისა 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 დედა ეკლესია 22.00, 00.00 სიახლენი 22.20 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 7 დეკემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

## ამინდის პროგნოზი 7 დეკემბრისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 5-16, ღამით — - 2-§

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-17, ღამით — 7-12

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 9-1, ღამით — -19 -8







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

შებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

''სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## ასტროპროგნოზი 7 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **კირჩხიბი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ლომი** — წარმატებული დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **სასწორი** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **ღრიანკალი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, უფროსობა გწყალობთ. **მშვილდოსანი** — ახალ საქმეს წამოიწყებთ, გაგიმართლებთ. **თხის რქა** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიტვირთებით. **მერწყული** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თევზები** — არ გადაიღალოთ, საქმე დინჯად აკეთეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი



**თარაზულად:** 4. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 6. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 8. პარაბოლის მოძრაობით წარმოქმნილი ზედაპირი; 10. სამკუთხედში წვეროდან დაშვებული მოპირდაპირე გვერდის შუაზე გამყოფი მონაკვეთი; 11. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 12. ადამიანთა გაერთიანება რაიმე სამეურნეო საქმის შესასრულებლად; 14. ხორციანი კორკოტი; 17. განთავისუფლებული ყმა; 19. ნელი ტემპი მუსიკაში; 20. მწნილი, მწნილეული; 21. ტიბეტური ხარი; 22. მოხეტიალე მლოცველი; 23. საზოგადოებრივი წესრიგის დამცავი ადმინისტრაციული ორგანო.

**შვეულად:** 1. ავაზა; 2. სამხედრო იარაღის საწყობი; 5. მღვდლის სამოსი; 5. ყველაზე უმცროსი შვილი; 7. ბალახით დაფარული ვაკე; 9. იტალიური მოხდილი ყველი; 13. იდუმალი რამ; 15. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 16. აღლუმი; 18. პატარა მზვერავი გემი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ.

## იუმორი



***

— სამოთხე კარგია, მაგრამ ჯოჯოხეთში უფრო მეტ ნაცნობს შეხვდები...

***

— ტელეფონს რატომ არ პასუხობდი?

— იცი, შენზე ისეთი ლამაზი მელოდია დავაყენე, რომ ბოლომდე მოსმენა მინდოდა...

***

მამა შვილს ეუბნება.

— წადი, სიგარეტი მომიტანე.

— ფული მომე.

— ფულით ყველა მოიტანს.

შვილმა არაფერი უთხრა, წავიდა, დაბრუნდა და მამას სიგარეტის კოლოფი გადაუგდო. მამამ გახსნა და:

— კი მაგრამ, ცარიელია.

— აბა, სავსე კოლოფს ყველა მოწევს...

გ.თ.

# ოლიმპი პირველი ადგილით გამოიზამთრებს

**საქართველოს 21-ე ჩემპიონატის მე-17 ტურის მატჩები ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებით ეს ბოლნისში გამართულ ლიდერთა მატჩზე ითქმის, სადაც ყველაფერი იყო — ბრძოლა ბურთით, ნერვებით, მსაჯებით. საბედნიეროდ, ეს მატჩი ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩამთავრდა.**



**„ოლიმპი" — „ზესტაფონი" 1:0**

1:0 აკინო (58პ)

**„ოლიმპი":** ჭანტურია, ს.თოდუა, ფრაგა, რეხვიაშვილი, გველესიანი, დობროვოლსკი, იმედაშვილი, ჯერონიმო, ბაბუნაშვილი (ზ.ჭელიძე 82), აკინო (მაჭავარიანი 89), ჭედია

**„ზესტაფონი":** მამალაძე, ბენაშვილი (კორღალიძე 75), გ.ონიანი, ხიდეშელი, ელიავა, დაუშვილი, ძარია, აფციაური, გრიგალაშვილი, დვალი (წინამძღვრიშვილი (84), გელაშვილი

**გაძევება:** გრიგალაშვილი (43), რეხვიაშვილი (62)

საინტერესო მატჩი გამოდგა, ლიდერებს რომ შეეფერებათ, ისეთი. მართალია, იდეალური არ ეთქმოდა ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, მაგრამ, როგორსაც ველოდით, ზუსტად ისე ჩატარდა. ნერვული, ხისტი თამაში იყო, მაგრამ უხეშობამდე საქმე არ მიდიოდა. ის 2 წითელი ბარათიც თავად ფეხბურთელებისა და მსაჯის სინდისზეა.

რადგან მსაჯი ვახსენეთ, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ, გავრცელებული ხმებით, მატჩის წინა დღეს ცნობილი ყოფილა, რომ თამაშს გიორგი ვადაჭკორია იმსაჯებდა, მაგრამ დაწყებამდე 3 საათით ადრე მთავარ მსაჯად უკვე ლევან კვარაცხელია დაუნიშნავთ. ეს ყველაფერი მატჩის შემდეგ რომ გაგვეგო, იქნებ ყურადღებაც არ მიგვექცია და წაგებული გუნდის მორიგ პროვოკაციად მიგვეჩნია, მაგრამ მანამდე შევიტყვეთ. ვერ ვიტყვით, რომ მსაჯობა იდეალური იყო — ნერვულ თამაშში მსაჯს აშკარად გაექცა ხელიდან სადავეები, ხოლო ყველაზე საეჭვოდ რუსთაველთა გატანილი გოლი მოჩანს, მაგრამ თანმიმდევრობით მივყვეთ მატჩის მსვლელობას.

ზესტაფონელები 4 ქულით ჩამორჩებოდნენ მთავარ კონკურენტს და სწორედ ბოლნისში უნდოდათ, ეს სხვაობა მინიმუმამდე დაეყვანათ, ამიტომ თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს და, უნდა ითქვას, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ფლობდნენ კიდეც უპირატესობას. როგორც ნამატჩევს განაცხადა რუსთაველთა მწვრთნელმა, თემურ მახარაძემ, მას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ იმერლებმა რამდენიმე დღის წინ საქართველოს თასზე 120-წუთიანი მატჩი ითამაშეს, მეორე ტაიმში ფიზიკურად გაუჭირდებოდათ და ამიტომ შეგნებულად დაუთმო ინიციატივა. შესაძლოა, მახარაძის ტაქტიკური სვლა სწორი იყო, მაგრამ „ზესტაფონს" პირველ ტაიმში მიზანი რომ გაესწორებინა, მეორე ტაიმში მატჩის შემოტრიალება რუსთაველებს აშკარად გაუჭირდებოდათ.

ანგარიშის გახსნა იმერლებს მეორე წუთზე შეეძლოთ, როდესაც ჯაბა დვალმა ოსტატური პასით ნიკა გელაშვილი პირისპირ შეატოვა გრიგოლ ჭანტურიას. თავდამსხმელმა ბურთი თავზე კი გადაუგდო მეკარეს, მაგრამ კარსაც გადააცილა.

მე-15 წუთზე კი უკვე ჭანტურიამ იხსნა თავისი გუნდი — ზესტაფონელთა კუთხური მცველებმა საჯარიმოს მისადგომებთან ამოიტანეს, სადაც თორნიკე აფციაური დაუხვდა და მძლავრად გაისროლა — ჭანტურიამ ისევ კუთხურზე გადააგდო, რომელსაც დვალის ახლო მანძილიდან თაური მოჰყვა, მაგრამ კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრა.

ერთი მომენტი რუსთაველებსაც ჰქონდათ — სტანდარტული სიტუაციის შემდეგ დავით იმედაშვილი უყურადღებოდ დარჩა საჯარიმოში, მაგრამ ზურაბ მამალაძეს ახლოდან თავით პირდაპირ ხელებში დაურტყა.

ტაიმის ბოლოს კი მოედნიდან შოთა გრიგალაშვილი იქნა გაძევებული. უნდა ალვნიშნოთ, რომ პირველი ყვითელი ბარათი ზესტაფონელმა ტყუილად

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## როგორი ხართ შვილებისთვის

ტესტი



***1. არის თუ არა თქვენი შვილი ისეთი, როგორზეც ოცნებობდით:***

ა) დიახ (0) ბ) უკეთესი (1); გ) კიდევ ბევრი დრო აქვს გამოსასწორებლად (2).

***2. შვილი ლეკვის ყიდვას გთხოვთ:***

ა) ეწინააღმდეგებით, მაგრამ მაინც თანხმდებით (0); ბ) ჰპირდებით, მაგრამ გამოსაცდელ ვადას უნიშნავთ (1); გ) შეეცდებით აუხსნათ, თუ რა რთულია შინ ცხოველის შენახვა (2).

***3. საინტერესო ფილმს უყურებთ, ბავშვები კი შეკითხვებით არ გასვენებენ:***

ა) შეეცდებით, ყველა შეკითხვას უპასუხოთ (0); ბ) თავიდან იშორებთ და ფილმის ყურებას აგრძელებთ (2); გ) მულტფილმზე გადართავთ (1).

***4. ბინის დალაგების დროს ბავშვმა თქვენი საყვარელი ვაზა გატეხა:***

ა) ჯობდა ტილოსთვის ხელი არ მოგეკიდა (2); ბ) დაამშვიდებთ, მაგრამ გააფრთხილებთ, აღარ დაიწყოს დალაგება (1); გ) შეეცდებით, ბავშვი გაამხიარულოთ (0).

***5. სამსახურიდან დაღლილი მოხვედით, მაგრამ ბავშვი სიხარულით შეგეგებათ და შეგახსენათ, რომ ზოოპარკში წაყვანას დაჰპირდით:***

ა) დაპირებას შეასრულებთ (0); ბ) შეეცდებით უარის მიზეზის მოძებნას (1); გ) პირდაპირ ეტყვით, რომ დაღლილი ხართ და არსად არ წახვალთ (2).

***6. ბავშვის გაკაჟება გადაწყვიტეთ:***

ა) სპორტულ სექციას თავად შეურჩევთ (1); ბ) დილით ვარჯიშს დააწყებინებთ (2); გ) სპორტს მასთან ერთად მოჰკიდებთ ხელს (0).

***7. თქვენმა ბავშვმა ეზოში იჩხუბა:***

ა) აუხსნით, რომ ჩხუბი ურთიერთობის გარკვევის საშუალება არ არის (1); ბ) დეტალებში წვდომის გარეშე ჩხუბის მონაწილეთა მშობლებს შვილების დასჯას მოსთხოვთ (0); გ) ხელჩართული ბრძოლის რამდენიმე ილეთს ასწავლით (2).

***8. ბავშვთან ერთად სეირნობის დროს ყური მოჰკარით, რომ მეზობლებმა იგი აუგად მოიხსენიეს:***

ა) „თქვენს შვილებს მოუარეთ" (2); ბ) ყურადღებას არ მიაქცევთ (0); გ) შინ წაიყვანთ ბავშვს (1).

***9. ბავშვი ძვირი სათამაშოს ყიდვას გთხოვთ:***

ა) თავს მოიკლავთ და ფულს იშოვით (0); ბ) რაიმე სხვა ვარიანტს შესთავაზებთ (2); გ) ოდესმე გიყიდი (1).

***10. როდის გრძნობთ თავს დამნაშავედ ბავშვის წინაშე:***

ა) როდესაც თხოვნას არ უსრულებთ (0); ბ) როდესაც დაუმსახურებლად სჯით (1); გ) არასდროს (2).

### პასუხები

**15-20 ქულა:**

ბავშვებისათვის არაფერს იშურებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად ეკითხებით, რა სურს თქვენს შვილს. მისი საქციელის შეფასებისას მხოლოდ საკუთარი წარმოდგენებით ხელმძღვანელობთ. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ უფრო კარგად იცით, რა არის კარგი და სწორი და ბავშვისათვის ამის განსჯა მიუწვდომელია. თქვენ მზად ხართ, ყველაფერი გააკეთოთ ბავშვისთვის, ოღონდ ის, რაც თქვენ მიგაჩნიათ მართებულად. რა თქმა უნდა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებთ, მაგრამ წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ მისთვის შეიძლება წყლის პისტოლეტი უფრო ძვირფასი იყოს, ვიდრე დაბადების დღეზე ნაჩუქარი მეტად რთული თამაში.

**8-14 ქულა:**

საკუთარი ბავშვისათვის მეტად ცოტა დრო გრჩებათ, მაგრამ ამ წუთების დღესასწაულად ქცევას ცდილობთ. თქვენ უცვლელი თოვლის ბაბუა ხართ და ყოველ ახალ წელს საჩუქრებით ავსებთ ბავშვს, ალბათ იმიტომ, რომ ბევრი დრო არ გაქვთ, ცდილობთ, ბავშვთან გატარებული დრო ნამდვილ დღესასწაულად აქციოთ და გულწრფელად გტკივათ გული, როცა ბავშვის თხოვნაზე უარის თქმა გიხდებათ.

**0-7 ქულა:**

შეიძლება დიდი ალტრუისტი არა ხართ, მაგრამ ბავშვისათვის მზად ხართ, ქვა გახეთქოთ. მუშაობით დაღლილიც კი სამსახურიდან მოსული მზად ხართ, ბავშვთან ერთად ითამაშოთ. ცხადია, ბავშვები ამას აფასებენ და ძალიან უყვარხართ. თქვენ ბედნიერი ხართ თუნდაც იმით, რომ თქვენი შვილის სახელზე მადლობის ღიმილს ხედავთ, ხოლო თუ ბავშვი მოგეხვიათ, უკვე ცრემლი მოგდით და დაღლილობა გავიწყდებათ. თქვენი მოწოდებაა ბავშვებისათვის კეთილ ჯადოქრად ყოფნა.

გ.თ.